

კახური "სიტკბო" რუსეთს
A2



ცოცხალი ჯაჭვი რუსეთის საელჩოს გარშემო
A3



თბილისის თვითმმართველობის სათავეებთან
A6



www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 5 ოქტომბერი, 2006 წელი. №220 (1372)

ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge



თიბისი-ფოსტა

გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?

გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?

გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.


## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.

*მისამართი:*
*თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 5/10 | 6/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 24 | 24 |
| ბათუმი | 28 | 30 |
| სოხუმი | 27 | 30 |
| ქუთაისი | 29 | 31 |
| გორი | 22 | 22 |
| თელავი | 23 | 23 |
| ონი | 22 | 22 |
| ზუგდიდი | 29 | 32 |
| ახმეტა | 23 | 23 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7380 |
| ევრო | 2.2085 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2773 |
| რუბლი | 0.0649 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სპორტი | A 8 |


# ისტერიული აგრესია

## მოსკოვის არაადეკვატური ქმედებები გრძელდება

დიმიტრი ავალიანი

*რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ შემოღებული სანქციების გაუქმებას არ აპირებს. მეტიც, მოსკოვში ახალ სანქციებზე ფიქრობენ. კერძოდ, ოფიციალური მოსკოვი უკვე ემუქრება რუსეთში ქართველ მიგრანტებსა და ქართულ ბიზნესს. საქართველოს განადგურება რუსეთმა ღირსების საქმედ გამოაცხადა და ამ "დიადი მიზნის" გარშემო საზოგადოების მობილიზებას ცდილობს. მოსკოვი საერთაშორისო არენაზეც აქტიურობს, სადაც სულ უფრო არაადეკვატურ და გაუგებარ განცხადებებს აკეთებს. "სააკაშვილის რეჟიმი" - რუსული ოფიციოზი საქართველოს ხელისუფლებას ყველა საერთაშორისო თავყრილობაზე მხოლოდ ასე მოიხსენიებს.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*პუტინმა რუს კანონშემოქმედებს საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.*

# მეტრომედიას საინვესტიციო მადა დაეკარგა

**B**

*ამერიკულმა კორპორაციამ* Metromedia International Group, Inc. *საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტელესაკომუნიკაციო კომპანიის კუთვნილი აქტივების გაყიდვის შესახებ წინასწარ შეთანხმებას მიაღწია.*
*კომპანიის ქართულ სატელეკომუნიკაციო აქტივებს 480 მილიონ აშშ დოლარად საერთაშორისო კონსორციუმი შეიძენს, რომელშიც ორი საინვესტიციო კომპანია და ერთი კომერციული ბანკია გაერთიანებული.*
*კონსორციუმის შემადგენლობაში შედიან საინვესტიციო კომპანია* Istithmar *(არაბთა გაერთიანებული საემიროების რეზიდენტი), ოფშორული საინვესტიციო კომპანია* Salford Capital Partners Inc. *(ამ ბიზნეს-სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი აქვს ბადრი პატარკაციშვილს), კომერციული ბანკი* Emergent Telecom Ventures *(რომელიც საინვესტიციო ფონდის* Gramercy Communications Partners *თანამფლობელს მუჰამედ ამერსს ეკუთვნის).*



# შერეკილები გაფრინდნენ

გიგა გურასაშვილი

*ელვა: პროფესორ დიშელს. ფრენოლოგები გაფრენისთვის ემზადებიან. რუსებმა საქართველოს საჰაერო სივრცე მაინც დაარღვიეს, ოღონდ შემოვლითი გზით - სომხეთიდან შემოფრინდნენ, გუშინ კი მცხეთაშიც იფრინეს.*
*ვინ დაგიჯერებთ, რომ გაფრინდით. დაეშვით დედამიწაზე. სამთავროს დედათა მონასტრის გალავნიდან მორჩილები იცქირებოდნენ. იქვე სითბურ აეროსტატებს შლიდნენ. პირველად ჩვენი ქვეყანა ჰაერნაოსნობაში საქართველოს ღია ჩემპიონატს მასპინძლობს.*
*აბა, თქვი, აბი გლუკოზა... შერეკილები გაფრინდნენ.*

გაგრძელება A8 გვერდზე



გოგიტა ბახაძის ფოტო

*პრეზიდენტის რწმუნებულმა ვასილ მაღლაფერიძემ ჰაერნაოსნებს ჯილდოდ ვეფხისტყაოსანი დაუწესა.*

# გაერო-ს ტრიბუნა - საქართველო-რუსეთის ფრონტის ხაზი

## "რუსეთის პროექტი უკუგდებულია," - აცხადებს ირაკლი ალასანია "24 საათთან" საუბარში

გიორგი ასანიშვილი

რუსეთის დიპლომატია დღემდე უშედეგოდ ცდილობს გაერო-ს ტრიბუნის გამოყენებას საქართველოს გასაკიცხად და დასასჯელად. მას შემდეგ, როდესაც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მის მიერ საქართველოს შესახებ მომზადებულ განცხადების პროექტს გაერო-ს უშიშროების საბჭო მხარს არ დაუჭერდა, მოსკოვმა ტაქტიკა შეცვალა: რუსეთის დელეგაციამ დოკუმენტი უშიშროების საბჭოდან უკან გაიწვია და ახლა ცდილობს, მისი ძირითადი დებულებები დამკვირვებლებისთვის მანდატის ვადის გაგრძელების შესახებ რეზოლუციაში ასახოს, რომლის მიღებასაც გაერო, სავარაუდოდ, 15 ოქტომბერს აპირებს.

რუსები არ მალავენ, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოზე ანტიქართული განცხადების პროექტის ვერგატანით უკმაყოფილონი არიან. გაერო-ში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის ვიტალი ჩურკინის თქმით, საქმე წაახდინა უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი წევრის მიერ მომზადებულმა შესწორებებმა. მართალია, რუსი დიპლომატი ამ წევრის ვინაობას არ ასახელებს, მაგრამ ისედაც ცნობილია, რომ რუსეთის მიერ მომზადებული პროექტში ცვლილებების შეტანაზე დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი მუშაობდა. ჩურკინის განცხადებით, ეს შესწორებები მთლიანად ცვლიდა განცხადების არსს და რუსეთის მიერ მომზადებული დოკუმენტის მიღებას აზრს უკარგავდა. ვიტალი ჩურკინმა საყვედურით აღნიშნა, რომ **"დელეგაციას, რომელმაც შესწორებები მოამზადა, არ ესმის შექმნილი სიტუაციის სერიოზულობა".**

გაგრძელება A3 გვერდზე

# "უცნაური" არჩევნები

*დღეს თვითმმართველობის არჩევნებია. ნებისმიერ ამომრჩეველს, რომელსაც არჩევნებზე მისვლის სურვილი აქვს, საარჩევნო უბანზე დილის რვა საათიდან ელოდებიან. ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელსაც ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებისას საკმაო ჯაფა დაადგა, მეტ-ნაკლებად კმაყოფილია - პირველად, ბოლო რვა წლის განმავლობაში საარჩევნო ადმინისტრაციებმა ამ კუთხით მეტ-ნაკლები წესრიგის დამყარება შეძლეს. ცესკო-ს თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი აცხადებს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციები კენჭისყრის დღისთვის მზად არიან. ახლა ჯერი ამომრჩეველზეა.*

თამარ მჭედლიშვილი

როგორ შეიძლება დავახასიათოთ წინასაარჩევნო პერიოდი? პასუხი ზედაპირზე ძევს: ქართული პოლიტიკური ცხოვრების ტრადიციებიდან გამომდინარე და წინა არჩევნების გამოცდილების გათვალისწინებით, ამ პერიოდს სრულიად თამამად შეიძლება ვუწოდოთ "უცნაური", რადგან ასე პასიურად, ასე უინტერესოდ და ასე უხალისოდ არც ერთი წინა არჩევნების მოსამზადებელი პერიოდი არ წარმართულა.

ეს კი, პირველ რიგში, ოპოზიციის "დამსახურებაა" - მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქვეყანაში მრავლად არიან ისეთი ადამიანები, რომელსაც მმართველი პარტიის მიმართ საფუძვლიანი პრეტენზიები აქვთ, ოპოზიციამ ეს ელექტორატი, ფაქტობრივად დაკარგა, რადგან ვერაფრით შეძლო დაერწმუნებინა ისინი, რატომ უნდა მისცენ ხმა ამ ადამიანებმა რომელიმე მათგანს და არა მმართველი პარტიის კანდიდატებს.

თითოეული ოპოზიციური პარტიის წინასაარჩევნო სლოგანი თავისი შინაარსით გაჭრილი ვაშლივით წააგავდა ერთმანეთს. მართალია, სხვადასხვა სიტყვებით, მაგრამ ოპოზიციური პარტიები გვარწმუნებდნენ, რომ ხმა აუცილებლად მათთვის უნდა მიგვეცა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ქართველებზე ნადირობა

*პოლიტიკური დაძაბულობა ყველაზე მეტად მოსკოვში მცხოვრებმა ქართველებმა იგრძნეს. ქართველებთან ანგარიშსწორების მიზნით მოსკოვის მილიციამ და ადგილობრივმა კრიმინალებმა ერთობლივად აამოქმედეს ძალადობრივი ბერკეტები.*
*"ქართველებზე დაწყებული ნადირობა" რუსული მასმედიის წამყვანი თემა გახდა.*

მოსკოვში რუსული აგრესიის პირველი და მთავარი ობიექტი - რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩო კვლავ თავდასხმის ობიექტია. აქციებს, რომლებმაც უკვე პერმანენტული ხასიათი მიიღო, გავრცელებული ინფორმაციით, ქართველების მიმართ აგრესიულად განწყობილი სხვადასხვა პოლიტიკური ძალები უწევენ ორგანიზებას.

**"საქართველოს საელჩოს წინ აგრესიულად განწყობილმა ახალგაზრდების ჯგუფმა ჩაატარა სანქცირებული მიტინგი, რომელთა ნაწილმაც კვერცხების სროლით პირდაპირი იერიში განახორციელა საქართველოს დიპლომატიური მისიის შენობაზე. სამწუხაროდ, მიუხედავად რუსეთის სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან არაერთი ოფიციალური დაპირებისა, რომ გაამკაცრებენ უსაფრთხოების ზომებს, კვლავ ადგილი ჰქონდა სერიოზულ ინციდენტს, რომელიც შესაბამისმა ორგანოებმა დროულად არ აღკვეთეს,"** - აღნიშნულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში.

ქართველმა დიპლომატებმა, რუსი კოლეგებისთვის 1961 წლის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის შეხსენების გარდა, საერთაშორისო თანამეგობრობასაც მოუწოდეს, სათანადო შეფასება მისცენ საქართველოს საელჩოს მიმართ განხორციელებულ აგრესიას, რუსი სამართალდამცველი ორგანოების დანაშაულებრივ უმოქმედობას, ასევე დიპლომატიური მისიისა და ქართველი დიპლომატების წინააღმდეგ რუსეთის პოლიტიკური ძალების მიერ ორგანიზებულ აგრესიულ ქმედებებს.

გაგრძელება A4 გვერდზე

## უფასო საზოგადოებრივი ტრანსპორტი

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, დღეს თბილისის მოსახლეობას საზოგადოებრივი ტრანსპორტი უფასოდ მოემსახურება. ამის შესახებ გუშინ ჟურნალისტებს თბილისის მერმა გიგი უგულავამ განუცხადა.

მისი თქმით, არჩევნებისთვის მოსახლეობას უფასოდ შეეძლება გადაადგილება, როგორც მეტროთი, ასევე ავტობუსებით და ტროლეიბუსით.

5 ოქტომბერი უქმე დღედ არის გამოცხადებული. ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოს არჩევნებისთვის სახელმწიფო ორგანიზაციები, საჯარო სკოლები და ბაღები არ იმუშავებს. **ინტერპრესნიუსი**

## არასამთავრობოები პარალელურად დათვლას განახორციელებენ

არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა" თბილისსა და ქვეყნის ოთხ ქალაქში 5 ოქტომბერს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს არჩევნების შედეგების პარალელურად დათვლას განახორციელებს.

ორგანიზაციის თავმჯდომარის კოკი იონათამიშვილის განცხადებით, თბილისის არჩევნების პარალელური დათვლა ორგანიზაციის დროებით ოფისში, კოსტავას 14 ნომერში ინტერნეტკაფე "ვებერში" ჩატარდება.

შედეგების დათვლა დაიწყება 5 ოქტომბერს, 22 საათსა და 30 წუთზე და სავარაუდოდ, ორი საათის განმავლობაში გაგრძელდება. აქ განთავსებული იქნება 35 ოპერატორი, რომელიც ქალაქის სხვადასხვა უბნიდან ტელეფონით მიიღებენ ინფორმაციას არჩევნების მიმდინარეობის შესახებ.

ამავე მისამართზე დღის განმავლობაში არჩევნების მიმდინარეობის შესახებ პრესკონფერენციები გაიმართება. იონათამიშვილის განცხადებით, ქვეყნის დანარჩენ ოთხ ქალაქში - ქუთაისში, ბათუმში, ფოთსა და რუსთავში პარალელური დათვლის შედეგები შედარებით მოგვიანებით გამოქვეყნდება. არჩევნების პროცესზე დაკვირვებას უბნებზე ორგანიზაციის 2500 დამკვირვებელი განახორციელებს. **ინტერპრესნიუსი**

## იორდანიაში "ჰამასის" ერთ-ერთი დაჯგუფების მეთაური მოკლეს

იორდანიის დასავლეთ სანაპიროზე პალესტინის ავტონომიის მმართველი მოძრაობა "ჰამასის" ერთ-ერთი დაჯგუფების მეთაური მუჰამედ ოდეხი მოკლეს. გავრცელებული ინფორმაციით, ოდეხს მეჩეთიდან გამოსვლისას სამმა ნიღბიანმა მამაკაცმა ესროლა. თვითმხილველთა თქმით, ნიღბიანები ებრაული ნომრის მქონე მანქანით მიიმალნენ. მუჰამედ ოდეხი მიყენებული ჭრილობებისგან საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

*ინტერპრესნიუსი*

## თავისუფალი სიტყვა

FM უცნობი 92.0

*ახალი მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13.00 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ მაია ჭალაგანიძეს. სტუდიის სტუმრები არიან ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის არჩევნების პროექტის კოორდინატორი გიორგი ჩხეიძე და ორგანიზცია "სამართლიანი არჩევნების" ხელმძღვანელი თამარ ჟვანია.*

**მაია ჭალაგანიძე:** საინტერესოა, როგორ აფასებენ დამკვირვებელი არასამთავრობო ორგანიზაციები საარჩევნო პროცესს ერთი დღით ადრე და რას ელიან ხვალინდელი დღისგან?

ჯერ კიდევ ცსკო-ს ლეგენდარული თავმჯდომარე, ჯუმბერ ლომინაძე ამბობდა, სიები არჩევნების ქვაკუთხედიაო. ჩვენც სიებით დავიწყოთ...

**გიორგი ჩხეიძე:** ხვალისთვის სიები, ფაქტობრივად, დახურული იქნება. შეუძლებელია, არჩევნების დღეს სიებში დამატება მოხდეს. გამონაკლისს წარმოადგენენ მოქალაქეები, რომელბიც უცხოეთში იმყოფებოდნენ და ისინი, რომლებიც საპატიმროდან გამოვიდნენ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სიები იყოს გამართული. სხვაგვარად სამართლიან არჩევნებს ვერ ჩავატარებთ.

**მაია ჭალაგანიძე:** ყოველი არჩევნების წინ დგას სიების პრობლემა. რა განაპირობებს ამას - ტექნოლოგიების უქონლობა, ამ საქმის მცოდნე პირთა დეფიციტი, თუ მთავარი ფაქტორი პოლიტიკური მომენტია?

**გიორგი ჩხეიძე:** ტექნოლოგიური პრობლემები თავს ყოველთვის იჩენს, მაგრამ ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია მოქალაქეთა აქტიურობა. კანონმდებლობა იძლევა იმის საშუალებას, რომ არჩევნებამდე მოსახლეობამ მიმართოს კომისიებს და მოითხოვოს სიებში არსებული შეცდომების გასწორება. ამდენად, მოქალაქეთა აქტიურობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სიების გამართულობას.

**მაია ჭალაგანიძე:** თამარ ჟვანიას მივმართავ შეკითხვით. "სამართლიანი არჩევნები" ზურაბ ჭიაბერაშვილთან ასოცირდება. საკმაოდ გამართული ორგანიაზაცია იყო. რა მემკვიდრეობა გერგოთ?

**თამარ ჟვანია:** "სამართლიანი არჩევნები" არასოდეს ყოფილა ერთი კაცის ორგანიაზცია, ძალიან ბევრ ადამიანთან ასოცირდება. იგი ყოველთვის იყო და არის იმ ადამიანების ორგანიზაცია, რომლებიც აქ მუშაობდნენ და დღესაც მუშაობენ.

**მაია ჭალაგანიძე:** თქვენმა ორგანიზაციამ რამდენიმე დღის წინ ცსკო-ს რეკომენდაციები წარუდგინა. მოკლედ გვიამბეთ, რას ეხება ეს რეკომენდაციები?

**თამარ ჟვანია:** ჩვენი რეკომენდაციები უშუალო კავშირშია სიებთან, ამიტომ სიების საკითხს უნდა დავუბრუნდე. სიების გაუმართაობა უშუალოდ უკავშირდება სამოქალაქო რეგისტრაციის პრობლემას. სამოქალაქო რეგისტრაციის საკითხი ქვეყანაში აბსოლუტურად მოუწესრიგებელია. პირველი ეტაპი სიების შედგენისა, რომელიც მოქალაქეთა რეგისტრაციას ეფუძნება, დიდ ცდომილებას გვაძლევს. ეს საკითხი ქვეყანაში წლების განმავლობაში ვერ მოგვარდა. მეორე პრობლემა არის დროის სიმცირე. როცა ასეთი მოუწესრიგებელი სიები არსებობს, საჭიროა გარკვეული სტრატეგიის შემუშავება, კარგად უნდა დაიგეგმოს, რა დრო და მექანიზმები სჭირდება სიების მოწესრიგებას.

**მაია ჭალაგანიძე:** ეუთო-ს შუალედური დასკვნა სერიოზულ ბრალდებებს შეიცავდა. ამის თაობაზე რას იტყოდით?

**თამარ ჟვანია:** შუალედური დასკვნა ეხება ისეთ სერიოზულ ხარვეზებს, როგორიცაა უფლებამოსილების შეწყვეტა წინასარჩევნო პერიოდში, თბილისის საარჩევნო სისტემას და რაც მთავარია, სერიოზულ საკანონმდებლო ხარვეზებს. პირდაპირ ვიტყვი: როდესაც კანონი და საარჩევნო სისტემა კონკრეტულად ამ არჩევნებზე არის მორგებული, ეს არის კანონის, როგორც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ბრწყინვალე ნიმუში. ამის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება იგივე თბილისის სარჩევნო სისტემა მოვიყვანოთ.

**გიორგი ჩხეიძე:** გეთანხმებით, მართლაც სერიოზული საკანონმდებლო ხარვეზები არსებობს. ეს განსაკუთრებით თბილისთან მიმართებაში შეინიშნება. ამის თაობაზე ჩვენ ხანგრძლივი სასამართლო დავა გვქონდა ცსკო-სთან, მაგრამ, სამწუხაროდ, სასამართლოში დადებით შედეგს ვერ მივაღწიეთ.

# კახური "სიტკბო" რუსეთს

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*გუშინ გურჯაანის ზვრებში დარჩენილი ბოლო მტევნები სოფლის მეურნეობისა და თავდაცვის მინისტრებმა მოკრიფეს და ამ პროცესს პოლიტიკური დარტვირთვაც მისცეს. რთველის "გენერალმა" ირაკლი ოქრუაშვილმა და "პოლკოვნიკმა" მიხო სვიმონიშვილმა ბერიკაშვილების ვენახში დარჩენილი ორი მტევანი ყურძენი კრემლს და რუსეთის მთავარ სანიტარიულ ექიმს გენადი ონიშჩენკოს გაუგზავნეს.*



*ქართული რთველის ნაყოფი კრემლსაც შეხვდა.*

თავდაცვის მინისტრმა გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში, გურამ ბერიკაშვილის ვენახებში ქართული ღვინის და ყურძნის ღირსებებზე საუბრის შემდეგ, ვაზზე შემორჩენილი ბოლო მტევნები სოფლის მეურნეობის მინისტრთან მიხო სვიმონიშვილთან ერთად მოკრიფა. ირაკლი ოქრუაშვილმა საფოსტო გაზავნილების - კომპანია "DHL"-ის საშუალებით ორი მტევანი ყურძენი კრემლს და გენადი ონიშჩენკოს გაუგზავნა. თავდაცვის მინისტრის განცხადებით, მას შემდეგ, რაც რუსეთმა ქართულ ღვინოზე ემბარგო დააწესა, პუტინის გუნდის წევრებს ორგანიზმში ნახშირწყლების, იოდის და ტანინის ნაკლებობა გაუჩნდათ. **"ეს კი ადამიანებში ცუდ ემოციებს იწვევს. ალბათ ამითაა განპირობებული ის სანქციები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ შემოიღო რუსეთმა, მაგრამ წლევანდელმა რთველმა აჩვენა, რომ მათ პრაქტიკულად ვერაფერი დაგვაკლეს, რადგან ამ პრობლემის მოგვარების მიზნით ქვეყანა იყო ერთიანი,"** - განაცხადა ოქრუაშვილმა.

თავდაცვის მინისტრს ყურძნის და ღვინის გარდა ვენახებში საუბარი მისი რუსი კოლეგის სერგეი ივანოვის მიერ საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების დაჩქარებული ტემპებით გაყვანის თაობაზე გაკეთებულ განცხადებებზეც უწევდა. ოქრუაშვილს მიაჩნია, რომ **"რუსეთს ბაზების შეჩერების სურვილიც რომ ჰქონდეს, ვერ შეაჩერებს. ეს არის შეუჩერებელი, ისტორიული პროცესი, რომელიც ქართველი ხალხის ნება-სურვილზეა დამოკიდებული".**

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ დღითიდღე იზრდება, ირაკლი ოქრუაშვილი განრისხებული მეზობლის მოქალაქეებს ხელშეუხებლობას ჰპირდება. **"ჩვენ თუ რამით შეიძლება ვიტრაბახოთ და თავი მოვიწონოთ, ეს არის ჩვენი სტუმართმოყვარეობა, მასპინძლობა, ტოლერანტობა. ეს ჩვენ მსოფლიოსაც დავანახეთ. თითქოს ნებისმიერ რუს სამხედროს რომ რაიმე საფრთხე ემუქრება - ეს ასე არ არის",** - აცხადებს ოქრუაშვილი და იქვე კომენტარს ფულადი გზავნილების შეჩერების შესახებაც აკეთებს: **"ფული ყოველთვის მონახავს თავის გზას და ვერანაირი პუტინი და ვერანაირი ონიშჩენკოები ამას ვერ შეაჩერებენ",** - მიაჩნია ოქრუაშვილს.

ერთადერთი, რაზეც ჯერ რუსეთს აკრძალვა არ დაუწესებია, საფოსტო გზავნილებია. რთველის "გენერალსა" და "პოლკოვნიკს" სწორედ ეს აძლევთ იმის იმედს, რომ მათ მიერ გაგზავნილი საფოსტო ყუთი კრემლს ორდ დღეში მიუვა.

## "სეპარატისტებს აფხაზეთის ექსკლუზიურ ფლობაზე პრეტენზია აღარ უნდა ჰქონდეთ"

ზემო კოდორში ინფრასტრუქტურის მშენებლობაში შეტანილი წვლილისთვის გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ღირსების ორდენებითა და მედლებით 17 მოქალაქე დააჯილდოვა.

ღირსების ორდენები მიიღეს პოლკოვნიკმა სიმონ ქარჩაიძემ, აფხაზეთის მთავრობის აპარატის უფროსმა ირაკლი ჯობავამ, "საქართველოს რკინიგზისა" და "ტრანსმშენის" თანამშრომლებმა ნუგზარ ჭაჭაღუამ და რამაზ კოშიტაძემ, აგრეთვე დავით ელოშვილმა, აკაკი ხაშიაშვილმა და ჯაჭვლიანმა.

ღირსების მედლები გადაეცათ კაპრალებს - გიორგი კუთხაშვილს, ვლადიმერ თოფჩიშვილს და ვასილ მჭედლიშვილს, მასტერ-სერჟანტებს - ალექსანდრე მებონიას, ავთანდილ ზაზაძეს და გოდერძი ლომიძეს, ასევე, უფროს სერჟანტებს - იური ვასილევს, პაატა ბექაურს, ალგაზარ ჩხაიძეს და ზაურ გვინდაძეს.

"საერთაშორისო ურთიერთობებისა და საარჩევნო ბატალიების მიუხედავად, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რაც ზემო აფხაზეთში გაკეთდა, პირველ რიგში, ამ ტერიტორიაზე კონტროლის დამყარების თვალსაზრისით. ამ საქმეში თქვენ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეთ", - განაცხადა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, მთავრობა მომავალშიც გააგრძელებს ზემო კოდორში სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რის შემდეგაც გზების რეაბილიტაცია ბზიფის ხეობაში იგეგმება.

"ბზიფის ხეობაში რამდენიმე დასახლებასაც შევქმნით, რათა ხეობაზე კონტროლი დავამყაროთ და ჩრდილოეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესია ავიცილოთ", - განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ სეპარატისტებს აფხაზეთის ექსკლუზიურ ფლობაზე პრეტენზია აღარ უნდა ჰქონდეთ.

*ინტერპრესნიუსი*

## საქართველოში აკრედიტებული დიპლომატები რუსული სკოლის წინააღმდეგ

საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი საქართველოს მიმართ რუსეთის ქმედებით და ბავშვების სკოლებიდან გამოყრის ფაქტით აღშფოთებულია. საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის სახელით გუშინ პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართული დახურული შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებისთვის კომენტარი გერმანიის ელჩმა საქართველოში პატრიცია ფლორიმ გააკეთა.

ელჩის განცხადებით, "უკიდურესად აღმაშფოთებელია რუსეთის სახელმწიფოს ქმედება, კერძოდ ქართველი ბავშვების სკოლაში არშეშვების ფაქტი".

პატრიცია ფლორის შეფასებით, მსგავსი ფაქტები ევროპისთვის უცხო და მიუღებელია. მისი თქმით, გუშინ დილით მოსკოვის, თბილისისა და ბათუმის სკოლებში მომხდარი ინციდენტის შესახებ ელჩები საკუთარი ქვეყნების მთავრობებს დეტალურ ინფორმაციას მიაწვდიან.

*ინტერპრესნიუსი*

# ვის შეუძლია ხელისუფლების კონსტრუქციული ოპონირება?

ია ანთაძე

რა შედეგებს აჩვენებს ოპოზიცია 5 ოქტომბრის არჩევნებზე? ეს კითხვა გაცილებით აქტუალური იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი "ნაციონალურ მოძრაობას" გაერთიანებული ოპოზიცია დაუპირისპირდებოდა და გიგი უგულავას საპირწონედაც საერთო კანდიდატს წარადგენდა. ამ შემთხვევაში, თითოეული ამომრჩეველი მარტივად გადაწყვეტდა, ხელისუფლებას დაუჭერდა მხარს თუ ოპოზიციას. ახლა საქმე გართულებულია, რადგან საზოგადოებრივი ინტერესი დაცილებულია როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის ინტერესებისგან.

ოპოზიციის გაერთიანების შემთხვევაში, ცხადი გახდებოდა, რამდენად უჭერს მხარს საზოგადოება "ნაციონალურ მოძრაობას", თუმცა, გაურკვეველი დარჩებოდა, თავად ოპოზიციურ პარტიებს შორის როგორ არის გადანაწილებული მოსახლეობის ნდობის მაჩვენებელი. შესაძლოა, სწორედ ამის გამო თქვა უარი გაერთიანებაზე სალომე ზურაბიშვილმა. მისი გადაწყვეტილება ზოგმა მისივე პოლიტიკური გამოუცდელობით ახსნა, ზოგმა - რთული ხასიათით. სინამდვილეში, შეუძლებელია, ოპოზიციის ერთიანობის დანგრევაზე ზურაბიშვილს პასუხისმგებლობა ისე ეტვირთა, რომ ამ ნაბიჯში პოლიტიკური მიზანშეწონილობის მოტივი არ ჩაედო. რა მოტივი შეიძლებოდა ჰქონოდა ახლად დაარსებული პარტიის ლიდერს იმისათვის, რომ პირველსავე არჩევნებში მაინცდამაინც საკუთარი გუნდით მოენდომებინა გამოსვლა? ყველაზე ლოგიკური ორი ვერსია ჩანს: პირველი ისაა, რომ სალომე ზურაბიშვილმა ხელისუფლების დაკვეთა შეასრულა. მეორე ვერსიის თანახმად კი, შესაძლოა, დამწყებ, მაგრამ ამბიციურ პოლიტიკურ ლიდერს სურდა, თავიდანვე ზუსტად განესაზღვრა თავისი გუნდის შესაძლებლობები, რათა სწორად დაეგეგმა სამომავლო ამოცანები. გრძელვადიანი პერსპექტივის ჭრილში, შესაძლოა, ცალკე გუნდად გამოსვლა მართლაც უფრო თანამიმდევრულ ნაბიჯად გამოიყურებოდეს "საქართველოს გზისთვის", ვიდრე შედარებით ძლიერ პარტიებში ათქვეფა. სალომე ზურაბიშვილის განმარტებები სწორედ იმას გულისხმობდა, რომ მას არ სურდა, მერის პოსტზე ოპოზიციური პარტიების მძევალი გამხდარიყო.

თუ ამ ლოგიკას გავყვებით, არჩევნებისთვის მზადება გადავიდა იმ რეჟიმში, როდესაც ოპოზიციურმა ლიდერებმა ერთმანეთს უნდა დაუმტკიცონ, ვის ჰყავს უფრო მეტი ამომრჩეველი და ვის აქვს უკეთესი პერსპექტივა სამომავლოდ. არჩევნებამდე ორიოდე დღით ადრე შექმნილია ვითარება, როდესაც "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" წარმატებისთვის დიდი თეორიული წანამძღვრები და კიდევ მეტი პრაქტიკული შანსი აქვს; ხოლო ოპოზიციური პარტიები უფრო ერთმანეთს ექიშპებიან მეორე და მესამე ადგილისთვის, ვიდრე ხელისუფლებას უპირისპირდებიან არჩევნების მოსაგებად. ამ პირობებში, ხელისუფლების ღირსეული ოპონირება შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ერთ ძალას - საზოგადოებას.

ცნობილია, რომ ძალაუფლება რყვნის და აბსულუტური ძალაუფლება აბსოლუტურად რყვნის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ "ნაციონალური მოძრაობა" ოპონენტების გარეშე არ დარჩეს და ძალაუფლების ის ხარისხი არ მოიპოვოს, რაც მას განუკითხავად მართვის საშუალებას მისცემს. საზოგადოებას სჭირდება ძლიერი და კონსტრუქციული ოპოზიცია ყველა არჩევით ორგანოში; უპირველეს ყოვლისა, თბილისის საკრებულოში. პოლიტიკისგან შორს მყოფი ადამიანისთვის სულერთია, არჩევნების შედეგების მიხედვით მეორე ან მესამე ადგილს კონკრეტულად რომელი პარტია დაიკავებს. მაგრამ ნებისმიერი ამომრჩევლისთვის მნიშვნელოვანია, იქნება თუ არა თბილისის საკრებულოში ის გარემო, როდესაც პირველ ადგილზე გასულ პარტიას პოლიტიკური ოპონენტები გააკონტროლებენ; როდესაც ხელისუფლების გადაწყვეტილებებს საკრებულოს ოპოზიციონერი წევრები შეაფასებენ და, საჭიროების შემთხვევაში, საზოგადოებასაც მიაწვდიან ინფორმაციას გზადაგზა წარმოქმნილი საფრთხეების შესახებ.

ქართველი ამომრჩეველი მიჩვეულია, რომ არჩევნებში ხმას აძლევს იმ პოლიტიკურ ლიდერს, რომელიც სხვებზე მეტად მოსწონს. მაგრამ ახლა უფრო რთული ამოცანაა გადასაჭრელი. ერთიანი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, თითოეულმა ამომრჩეველმა, რომელსაც დემოკრატიული განვითარების აუცილებელ პირობად ოპოზიციის არსებობა მიაჩნია, საკუთარ თავზე უნდა აიღოს ხელისუფლების კონსტრუქციული ოპონენტის ფუნქცია. ეს ნიშნავს, რომ 5 ოქტომბერს დემოკრატიულად განწყობილმა ამომრჩეველმა თითოეულ ოლქში თავისი ხმა უნდა წააშველოს იმ ოპოზიციურ პარტიას, რომელსაც კონკრეტულ ოლქში არჩევნების მოგების მეტი შანსი აქვს - იმის მიუხედავად, მოსწონს თუ არა ეს პარტია ან მისი ლიდერი. მხოლოდ ამგვარად გააზრებულ არჩევანს შეუძლია, დაჯაბნოს როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის ინტერესები და დემოკრატული განვითარების პროცესი გადაარჩინოს. რა დოზითაც საზოგადოება დაძლევს თავის პოლიტიკურ გემოვნებას და რაციონალურ არჩევანს გააკეთებს, იმ დოზით მივიღებთ საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმს თბილისის საკრებულოში.

*მასალა გამოქვეყნებულია "რადიო თავისუფლების" ეთერით*

## მოკლედ

### ლომაია რუსული სკოლიდან ქართველების გარიცხვას რასიზმის კვალიფიკაციას აძლევს

ბათუმში მყოფი განათლების მინისტრი კახა ლომაია თბილისში არსებული რუსული სკოლიდან ქართველი ბავშვების და საქართველოს მოქალაქეების არშეშვების ფაქტს გმობს და მას რასიზმის კვალიფიკაციას აძლევს.

განათლების მინისტრი აცხადებს, რომ ყველა ღონეს იხმარს, რათა ეს ბავშვები სხვადასხვა სკოლებში გადანაწილდნენ. რაც შეეხება პედაგოგებს, მათ კახა ლომაია ქართულ სკოლებში დასაქმებას პირდება. გუშინ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების შტაბთან არსებული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლიდან საქართველოს მოქალაქეები - მოსწავლეები და პედაგოგები გამოყარეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ სკოლაში 2 ოქტომბერს რუსეთიდან სპეციალური ბრძანებულება მივიდა, რომლის თანახმადაც 4 ოქტომბრიდან აღარ დაიშვებიან საქართველოს მოქალაქე ბავშვები და პედაგოგები.

აღსანიშნავია, რომ სკოლა მათი გარიცხვით პედაგოგიური პერსონალის ნახევარს დაკარგავს. **ინტერპრესნიუსი**

### მედიისთვის შეზღუდვები ამოქმედდა

გუშინდელი დღიდან მედიისთვის საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული შეზღუდვები ამოქმედდა.

როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, არჩევნების წინა დღეს პრესითა და ტელევიზიის საშუალებებით არჩევნებში მონაწილე სუბიექტების წინასაარჩევნო აგიტაცია იკრძალება. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონდამრღვევს ადმინისტარციული კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები დაეკისრება. არჩევნების დღეს მედიას ეკრძალება კენჭისყრის საათებში სხვადასხვა კვლევითი ცენტრების მიერ შედგენილი რეიტინგების, ეგზიტპოლებისა და პარალელური გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება.

ამის უფლება ჟურნალისტებს 20.00 საათიდან, არჩევნების დასრულების შემდეგ მიეცემათ. **ინტერპრესნიუსი**

### "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" არჩევნებს დააკვირდება

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს დააკვირდება.

ორგანიზაციის ცხელი ხაზების საშუალებით ნებისმიერ პიროვნებას საშუალება ექნება ასოციაციის იურისტებს დაუკავშირდეს. ცხელი ხაზის ნომრებია: 96 35 39 ან 45 18 44.

ასოციაციის თანამშრომლები არჩევნების დღეს მობილური ჯგუფების საშუალებით და საკუთარი წარმომადგენლების მეშვეობით, საარჩევნო ოლქებსა და უბნებზე არჩევნებს დააკვირდებიან და მიმდინარე პროცესების შესახებ საზოგადოებას ობიექტურ ინფორმაციას მიაწვდიან. დღეს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ცენტრალურ ოფისში 11.00, 14.00, 17.00, 20.00 და 23.00 საათებზე პრესკონფერენციები გაიმართება. **ინტერპრესნიუსი**

### ცხრა შვილის დედა ხმის მიცემის უფლების მოთხოვნით შიმშილობს

ცხრა შვილის დედამ მარინე დახუნდარიძემ გუშინ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის ძეგლთან შიმშილობის აქცია დაიწყო.

მრავალშვილიანი დედა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ხმის მიცემის უფლების წართმევას აპროტესტებს. დახუნდარიძის განცხადებით, იგი საარჩევნო სიაში არ არის და მის ნაცვლად გარდაცვლილი მეზობლები არიან დაფიქსირებული.

მარინე დახუნდარიძე შიმშილობის შეწყვეტას მანამ არ აპირებს, ვიდრე ხმის მიცემის უფლება არ აღუდგება. ქუთაისის N59 საარჩევნო ოლქის ხელმძღვანელის ავთანდილ ოსეფაიშვილის განცხადებით, "მოშიმშილე ქალბატონი პროვოკატორია და მისი საქციელი საარჩევნო პროცესების ხელის შეშლას ემსახურება, რასაც ვერ მიაღწევს". **ინტერპრესნიუსი**

### კონდოლიზა რაისი ისრაელში ჩავიდა

ისრაელში გუშინ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ჩავიდა. ვიზიტის ფარგლებში რაისი პალესტინის ლიდერთან მაჰმუდ აბასსა და ისრაელის პრემიერ-მინისტრ ეჰუდ ოლმერტთან მოლაპარაკებების გამართვას გეგმავს.

ისრაელში ჩასვლამდე კონდოლიზა რაისმა განაცხადა, რომ პალესტინელი ხალხი იმგვარ ხელისუფლებას საჭიროებს, "რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობასთან თანამშრომლობა შეეძლება".

უკანასკნელ დღეებში პალესტინაში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ხელისუფლებაში მყოფ რადიკალურ მოძრაობა "ჰამასსა" და მაჰმუდ აბასის მოძრაობა "ფატხს" შორის დაპირისპირების შედეგად 10-მდე პალესტინელი დაიღუპა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მხარეებს ძალადობის აღკვეთისკენ მოუწოდა და ხაზი გაუსვა, რომ არსებული ვითარება "სრულიად უდანაშაულო პალესტინელებს ვნებს". **ინტერპრესნიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფარუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ისტერიული აგრესია

პირველი გვერდიდან

**"ქვეყანაში ყველა საზოგადოებრივი ძალის კონსოლიდაცია, სრულიად ნათელია, რუსეთის მოქალაქეების უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობს, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი მოქალაქეების უფლებების დაცვას ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში. მე, რასაკვირველია, საქართველოსთან მიმართებაში ვსაუბრობ. და არავის ვურჩევ რუსეთს შანტაჟისა და პროვოკაციების ენით ელაპარაკოს,"** - ეს ბუნდოვანი განცხადება რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა გუშინ სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გააკეთა. მან დეპუტატებს მადლობა გადაუხადა საქართველოს წინააღმდეგ სანქციების მხარდამჭერი დადგენილების მიღებისათვის.

პუტინმა შემდგომ ნაბიჯებზე ისაუბრა, რაც რუსეთმა "საკუთარი მოქალაქეების უფლებების დაცვისთვის" უნდა გადადგას. კერძოდ, მისი აზრით, აუცილებელია **"საიმიგრაციო კანონმდებლობის ყურადღებით გადასინჯვა"**, ასევე - იმ კანონმდებლობისა, რომელიც უცხოელებს შრომითი და კომერციული საქმიანობის უფლებას აძლევს. ანუ, რუსეთის სახელმწიფო უწყებებმა რუსეთში მოღვაწე ქართველი მეწარმეებისა და რიგითი მოქალაქეების შევიწროების დაწყების განკარგულება მიიღეს.

**"საიმიგრაციო ნაკადები უნდა დავარეგულიროთ, თანაც ისე, რომ ეს რეგულირება ჩვენი მოქალაქეების სასარგებლოდ მოხდეს, რათა ჩვენმა მოქალაქეებმა ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში თავი შევიწროებულად არ იგრძნონ,"** - განმარტა პუტინმა. მისი თქმით, **"სამართალდამცავი ორგანოები ამჟამად იმ ადამიანებს ამოწმებენ, რომლებიც უკანონო საქმიანობაში არიან ეჭვმიტანილნი და შსს-ს თვალთახედვის არეში სათამაშო ბიზნესის რამდენიმე ობიექტი მოხვდა."**

რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ გუშინ "საფუძვლად მიიღო" განცხადება "საქართველოს ხელისუფლების ანტირუსული და ანტიდემოკრატიული ქმედებების შესახებ". დეპუტატებმა მიიჩნიეს, რომ **"რუსეთს უფლება აქვს, გაატაროს ზომები ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების, რუსეთის მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად, მათ შორის, რიგი სანქციები საქართველოს წინააღმდეგ, უპირველეს ყოვლისა - საფინანსო-ეკონომიკური,"** - ნათქვამია მიღებულ განცხადებაში.

**"ანტირუსული ქმედებების გაგრძელების შემთხვევაში, რაც საფრთხეს შეუქმნის სტაბილურობას რეგიონში, რუსეთს უფლება აქვს სხვა, უფრო მკაცრი ზომებიც მიიღოს,"** - ასე განუსაზღვრეს საკუთარ თავს უფლებები რუსმა დეპუტატებმა. ტექსტში განმარტებულია, რომ "ანტირუსულ" და "ანტიდემოკრატიულ" ქმედებებში **"ოპოზიციური ორგანიზაციების წარმომადგენელთა მასობრივი დაპატიმრებები"** და **"რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფის უსაფუძვლო დაკავება"** იგულისხმება.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე გამოსვლისას ევროპის ქვეყნებს "სააკაშვილის რეჟიმის" მხარდაჭერისთვის უსაყვედურა და ევროპელ კოლეგებს ხსენებული "რეჟიმის" არალეგიტიმურად ცნობა მოსთხოვა. **"მე არ მახსოვს, საპარლამენტო ასამბლეას განეხილოს, თუ როგორ მოვიდა ეს რეჟიმი ხელისუფლებაში, ეს კი არცთუ კონსტიტუციური გზით მოხდა,** - განაცხადა ლავროვმა, - **მე დარწმუნებული ვარ, რომ თბილისის რეჟიმის ანტირუსული ხაზის წახალისება არის იმის მიზეზი, რომ ეს რიჟიმი ზრდილობის ყველა საზღვარს გადადის."**

გარდა ამისა, ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარესთან კარელ დე გუხტთან საუბრისას ლავროვმა ორ ქვეყანას შორის კონფლიქტის მოგვარებაში შუამავლობის ყველა წინადადება უარყო. **"საქართველოსთან ურთიერთობის გაუმჯობესების პერსპექტივა სააკაშვილის რეჟიმის შემდგომ ქცევაზეა დამოკიდებული, რომელმაც მშვენივრად იცის, თუ რა უნდა გააკეთოს საკუთარი ანტირუსული კურსის კარდინალური კორექტირებისათვის... შესაბამისად, ეუთო-ს თუ სხვისი შუამავლობის აუცილებლობაზე საუბარი არ არის და არც შეიძლება იყოს,"** - განუცხადა დე გუხტს ლავროვმა.

ამავე დროს, დასავლეთის ქვეყნები რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ შემოღებული სანქციების გაუქმებას ურჩევენ. **"ჩვენ იმედგაცრუებულნი ვართ იმით, რომ რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ რიგი დამატებითი სანქციები შემოიღო,"** - განაცხადა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის მოადგილემ ტომ კეისიმ. **"ჩვენ ძალიან გვინდა, მათ ეს** (გადაწყვეტილება) **გადასინჯონ,"** - განაცხადა კეისიმ და ორივე მხარეს მოუწოდა **"ყველა საკითხის დასარეგულირებლად ერთობლივად, პოზიტიური სულისკვეთებით იმუშაონ."**

თავის მხრივ, ნატო-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ გუშინ განაცხადა, რომ ნატო-ს რუსეთის მიერ საქართველოსთვის დაწესებული სანქციების მოხსნის იმედი აქვს.

**"შექმნილ სიტუაციაში, ჩემი აზრით, ორივე მხარისთვის აუცილებელია შეინარჩუნონ გონიერება და მომხდარზე თავშეკავებული რეაქცია ჰქონდეთ. ასეთი რჩევა ქართული მხარის წარმომადგენლებს მივეცით. მაგრამ ჩვენ რუსეთსაც მოვუწოდებთ, გააუქმოს სანქციები და თავშეკავება გამოიჩინოს,"** - განაცხადა საგარეო და ევროპის სამზობლო პოლიტიკის საკითხების ევროკომისარმა ბენიტა ფერერო-ვალდნერმა, რომელიც საქართველოში ვიზიტით რამდენიმე დღის წინ იმყოფებოდა.

ქართული მხარე, როგორც ჩანს, ევროკომისრის რჩევას ითვალისწინებს და რუსეთში სულ უფრო მზარდ ისტერიაზე მშვიდად რეაგირებს. ამავე დროს, რუსეთი საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციას აქტიურად ცდილობს. თუმცა, ჯერჯერობით, მას მხოლოდ საკუთარი თავის დისკრედიტაცია გამოსდის. სიტუაციის განვითარება კი დიდწილად დასავლეთის რეაქციაზეა დამოკიდებული, რომელიც, ჯერჯერობით, რუსეთს სანქციების მოხსნას საკმაოდ რბილად სთხოვს.

# ცოცხალი ჯაჭვი რუსეთის საელჩოს გარშემო

ოპოზიციამ რუსეთის საელჩოს გარშემო ცოცხალი ჯაჭვი შეკრა. ასეთი ფორმით, ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა რუსეთს საქართველოს შიდა ერთიანობის შესახებ და ძალადობის წინააღმდეგ სიგნალი მისცეს. აქციის გამართვის ინიციატივა "რესპუბლიკურ" და "კონსერვატიულ" პარტიებს ეკუთვნოდათ, საელჩოსთან კი მათ "მრეწველთა პარტიის" წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

**"მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას ოპოზიციაში ვუდგავართ და ერთმანეთისაგან განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებები გვაქვს, როცა საქმე ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს ეხება, ჩვენ შორის განსხვავება უკვე აღარ არსებობს. გვინდა, ეს მთელ მსოფლიოს, განსაკუთრებით კი, ჩრდილოელ მეზობელს დავანახოთ. საქართველოს არჩევანი ნატოზე, ევროგაერთიანებასა და დემოკრატიული ევროპული ოჯახის წევრობაზე უალტერნატივოა",** - აღნიშნა "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" ერთ-ერთმა ლიდერმა თინათინ ხიდაშელმა.



*რუსული საფრთხის წინააღმდეგ ოპოზიცია საქართველოს ერთიანობის დემონსტრირებას ცდილობს.*

როგორც "კონსერვატიული" პარტიის ლიდერმა კობა დავითაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რუსეთმა უნდა შეიგნოს, რომ ისეთ ვითარებაში, როგორიც ამჟამად რუსეთ-საქართველოს შორის არის შექმნილი, ოპოზიციას და ხელისუფლებას ერთიანი პოზიცია აქვს, თუმცა დასძინა, რომ მაშინ, როცა ოპოზიცია ასეთი აქციით ხელისუფლების პოზიციას იზიარებს, ხელისუფლებაც ვალდებულია ოპოზიციის გვერდით იდგეს.

**"ველოდი, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები აქციას შემოუერთდებოდნენ. მიუხედავად ამისა, აქციაზე მმართველი პარტიიდან არავინ გამოჩენილა",** - განაცხადა დავითაშვილმა.

*24 საათი*

# "უცნაური" არჩევნები

პირველი გვერდიდან

რატომ? იმიტომ, რომ "სააკაშვილი უზურპატორი, დიქტატორი და, უბრალოდ, მატყუარაა". სხვა მიზეზი ოპოზიციამ, ფაქტობრივად, ვერ დაგვისახელა.

საკმაოდ გამოცდილმა პოლიტიკოსებმა (მაგალითად, იგივე კობა დავითაშვილმა ან გოგი თოფაძემ) ვერ აუხსნეს ამომრჩეველს, რა მნიშვნელობა აქვს საკრებულოს, რა ფუნქციები და მოვალეობები დააკისრა ახალმა კანონმა თვითმმართველობას და რაოდენ მნიშვნელვანია, რომ ახალ ვითარებაში ერთპარტიული საკრებულოები არ მივიღოთ.

ცოტა ხნის წინ "24 საათი" წერდა იმ ფუნქციებზე, რომელიც პარლამენტმა თვითმმართველობას მიანიჭა. კერძოდ:

- პარლამენტმა მიიღო კანონი "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ", რომელმაც ცენტრსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ქონების გამიჯვნის პროცესი უნდა უზრუნველყოს (იმის მიუხედავად, რომ თავად კანონი 2005 წელს მიიღეს, გარდამავალ დებულებაში ნათქვამია, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შემდეგ უნდა დაიწყოს. თუმცა, ამავე დათქმის თანახმად, ეს არ ეხება იმ ქალაქებს, რომელიც 2006 წლის პირველი იანვრისთვის რაიონის შემადგენლობაში არ შედიან - ანუ თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი და ბათუმი, სადაც ქონების გამიჯვნის პროცესი უკვე აქტიურად მიმდინარეობს).

ამ კანონის თანახმად, თვითმმართველ ერთეულებს საკუთრებაში გადაეცათ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე შემდეგი სახის ძირითადი ქონება: გზები, ხიდები, გვირაბები, ქუჩები, მიწისქვეშა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები, მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები და ნაპირსამაგრი ნაგებობები. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, საკრებულოების საკუთრებაში გადადის ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი მათზე მიმაგრებული მიწის ფართობით, ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საინფორმაციო საშუალებები, ადგილობრივი საინფორმაციო ცენტრებისა და მათი მუშაობისთვის აუცილებელი შენობა-ნაგებობები, ასევე, სასაფლაოები, პანთეონები, კრემატორიუმები და ა.შ.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ ქონების გასხვისების წესი. მართალია, ამ კანონის თანახმად, ქონება ორ კატეგორიადაა დაყოფილი - ძირითად (განუსხვისებელ) და დამატებით (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილ ან შეძენილ) ქონებად, მაგრამ ორივეს გასხვისების საშუალებას ეს კანონი იძლევა. ქონების გასხვისებას კი საკრებულოს დადგენილება სჭირდება.

ამავე სტატიაში ვწერდით, რომ დღეს საკრებულოებს ნამდვილად აქვთ წონა. შესაბამისად, ამ არჩევნებში გამარჯვება (რაც დღესდღეობით მხოლოდ საჭირო ბარიერის გადალახვაში უნდა გამოხატულიყო) ოპოზიციისათვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა ყოფილიყო და პარტიებს სამზადისი არა ზაფხულის მიწურულს, არამედ თუნდაც ამ კანონის მიღებისთანავე უნდა დაეწყოთ. მით უფრო, რომ საკრებულოებისათვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭების პარალელურად, საპარლამენტო უმრავლესობამ საარჩევნო კოდექსში ცვლილებები შეიტანა და ოპოზიციას საკრებულოებში მოხვედრის პროცედურა საგრძნობლად გაურთულა.

ოპოზიციურმა პარტიებმა არ გააფრთხილეს ამომრჩეველი, რომ ერთპარტიული საკრებულოების მიღების შემთხვევაში, შეიქმნება იმის საშიშროება, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწვეტილებები ჩუმად, გაუმჭვირვალედ მიიღონ. მათ იმაზეც არ იზრუნეს, ნორმალურად აეხსნათ ჩვენთვის, რა არის, საერთოდ, თვითმმართველობა.

პასიური ოპოზიციის ფონზე მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანია საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა. ამიტომ სავსებით რეალურია, დღეს მმართველმა პარტიამ ალალად და დაუყვედრებლად გაიმარჯვოს.

# ჩინეთი ჩრდილოეთ კორეას თავშეკავებისკენ მოუწოდებს

ჩრდილოეთ კორეის ოფიციალურ პირთა თქმით, ქვეყანა ბირთვული გამოცდების ჩატარებას აპირებს, რასაც ჩინეთის მხრიდან კრიტიკა მოჰყვა. ოფიციალური პეკინის აზრით, უმჯობესი იქნება თუ კი ფხენიანი თავშეკავებას გამოიჩენს და დასახულ მიზნებზე უარს იტყვის. ამასთან დაკავშირებით ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ლიუ ძიანჩაომ მხარეებს მოლაპარაკებების გაგრძელება და ვითარების შემდგომი ესკალაციის თავიდან არიდების მიზნით საერთო ენის გამონახვა ურჩია. ჩრდილოეთ კორეის ექვსმხრივი მოლაპარაკებები ჩიხში გასულ წელს შევიდა. მოლაპარაკებებში ჩართული მხარეები არიან ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა, იაპონია, ჩინეთი, რუსეთი და აშშ.

აშშ-ს დამოკიდებულება ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამისადმი ცნობილია, როგორც სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი არაერთხელ აღნიშნავს ხოლმე, ბირთვული გამოცდის ჩატარების შემთხვევაში ეს აქტი ფხენიანის მხრიდან "პროვოკაციული ნაბიჯად" შეფასდება. საბოლოო შეფასებამდე კი აშშ ჯერ კიდევ განიხილავს ჩრდილოეთ კორეის მუქარაზე საპასუხო გზების ვარიანტებს. ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლები კი, თავის მხირვ, ბრალს აშშ-ს სდებენ. მათი თქმით, ასეთი გადაწყვეტილების მიღებას მათ თეთრი სახლი აიძულებს.

თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკელთაგან დიდად განსხვავებული პოზიცია არც იაპონიას აქვს. იაპონელ მაღალჩინოსანთა თქმით, ფხენიანის მიერ ასეთი ნაბიჯის გადადგმა უპატიებელი შეცდომა იქნება.

ჩრდილოეთ კორეის სასარგებლოდ, რასაკვირველია, არც სამხრეთ კორეელ ოფიციალურ პირთა განცხადებები მეტყველებს. სამხრეთ კორეელებს ყველაზე მეტად ჩრდილოეთ კორეის ხელში სრულყოფილი ბირთვული იარაღის აღმოჩენა აშფოთებთ.



*ფხენიანს "პროვოკაციული ნაბიჯების" გადადგმაში ადანაშაულებენ.*

შედარებით ზომიერი განცხადებები გაერო-ს მხრიდან კეთდება, გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი ჩრდილოეთ კორეას მშვიდი ტონით მოუწოდებს სიფრთხილისკენ.

დამოუკიდებელ ექსპერტთა აზრით კი, ჩრდილოეთ კორეა უკვე ფლობს იმ მასალას, რაც 6-8 ბირთვული იარაღის დასამზადებლადაა საკმარისი, მაგრამ კორეელებს ჯერჯერობით ტექნოლოგიების დეფიციტი აქვთ, რაც ქობინების წარმოებაში უშლით მათ ხელს.

უფრო იდეალისტური ჩანს რუსეთის პოზიცია თუ გავითვალისწინებთ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებას, რომელიც ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის პრობლემის გადაწყვეტას შესაძლებლად მიიჩნევს ექვსმხრივი მოლაპარაკებების აღდგენის შემთხვევაში.

*ბი-ბი-სი*

# გაერო-ს ტრიბუნა - საქართველო-რუსეთის ფრონტის ხაზი

პირველი გვერდიდან

**"ასეთ ვითარებაში გადავწყვიტეთ, ჩვენი განცხადება ოფიციალურად მოგვეხსნა, მაგრამ ამავდროულად გვინდა, რომ ის გაერო-ს დამკვირვებელთა შესახებ რეზოლუციაში შევიდეს, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, გაერო-ს უშიშროების საბჭოს ხელში საკმაოდ ძლიერი იარაღია,"** - აცხადებს გაერო-ში რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი. ჩურკინი სინანულით იმასაც შენიშნავს, რომ რუსეთი არაერთხელ შეეცადა, უშიშროების საბჭოს ყურადღება "საქართველოს ხელისუფლების უპასუხისმგებლო და პროვოკაციულ ქმედებებზე" გადაეტანა, მაგრამ ასეთი ქმედებების შესაბამის შეფასებას ვერაფრით მიაღწია.

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის დიპლომატიის მთელი ძალისხმევა ამიერიდან უკვე იმისკენ არის მიმართული, რომ მოსკოვის პოზიცია დამკვირვებლებისთვის მანდატის ვადის გაგრძელების შესახებ რეზოლუციაში დაფიქსირდეს.

ამ რეზოლუციის ერთგვარ პროლოგად შეიძლება ჩაითვალოს გაერო-ს გენერალური მდივნის მოხსენება "აფხაზეთში (საქართველო) არსებული მდგომარეობის შესახებ", რომელშიც კოფი ანანი იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მანდატი მორიგი ექვსთვიანი ვადით - 2007 წლის 15 აპრილამდე გაგრძელდეს.

**"დღეს ძნელია მოლაპარაკებების გზით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგება, რადგან წლების განმავლობაში ორივე მხარის პოზიცია, აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით, კიდევ უფრო დასცილდა ერთმანეთს",** - ნათქვამია კოფი ანანის მოხსენებაში.

გაერო-ს ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის დაძაბულობა განსაკუთრებით გაძლიერდა კოდორის ხეობაში განხორციელებული სპეცოპერაციის შემდეგ. ამასთან, კოფი ანანი მიუთითებს, რომ კონფლიქტის ზონებში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ნათლად მეტყველებენ იმ საფრთხეებზე, რომლებსაც საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ე.წ "გაყინული კონფლიქტები" შეიცავენ. გაერო-ს გენერალური მდივანი მსოფლიო თანამეგობრობას საქართველოს ხელისუფლების იმ წინადადებასაც შეახსენებს, რომელიც გულისხმობს სამშვიდობო პროცესის ფორმატის შეცვლას, ორი მთავარი პრინციპის (დაპირისპირებულ მხარეებს შორის პირდაპირი დიალოგი და კონფლიქტის მოგვარებაში საერთაშორისო თანამეგობრობის უფრო ფართოდ მონაწილეობა) გათვალისწინებით...

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრია და ამით კონფლიქტების მოწესრიგების პროცესზე ზემოქმედების საკმაოდ ძლიერი ბერკეტი გააჩნია, მაინც არ შეიძლება იმის თქმა, რომ გაერო-ში "თამაში ცალ კარში მიმდინარეობს". მართალია, საქართველოს გაერო-ში რუსეთის მსგავსი მაღალი სტატუსი არ გააჩნია, მაგრამ მოსკოვს, როგორც სწორი სწორს, ისე ეპაექრება. ამის დასტურია გაერო-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის ირაკლი ალასანიას მიერ გაკეთებული საკმაოდ მკაცრი განცხადებაც.

ქართველი დიპლომატის თქმით, **"რუსეთის ფედერაციის ქმედებები საქართველოს კონფლიქტურ ზონებში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, სიტუაციის შემდგომ დესტაბილიზაციას იწვევს".**

გაერო-ს შტაბ-ბინაში გამოსვლისას, ირაკლი ალასანიამ საქართველოს ტერიტორიული წყლების მახლობლად მიმდინარე რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ფართომასშტაბიან წვრთნებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ასეთი ქმედება გაერო-ს წესდების დარღვევას წარმოადგენს.

გაერო-ში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ხაზგასმით მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სამხედრო წვრთნები რუსეთმა საქართველოს ეკონომიკური ზონის წყლებში ოფიციალური თბილისისთვის შეტყობინების გარეშე დაიწყო. ალასანიამ წვრთნების დაუყოვნებლივ შეწყვეტა მოითხოვა, რადგან ის **"საქართველოს ნაციონალური ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული და საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას მთელ რეგიონში".**

ირაკლი ალასანია რუსი მზვერავების დაკავების თემასაც ეხმაურება და გაოცებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველოს მიერ უსაფრთხოების სფეროში თავისი ნაციონალური ინტერესების ლეგიტიმური დაცვა მოსკოვმა არაადეკვატურად აღიქვა და ის "სახელმწიფო ტერორად და მძევლების აყვანად" მონათლა. ქართველი დიპლომატი გაკვირვებულია იმით, რომ საქართველოს ხელისუფლების კეთილი ჟესტის პასუხად, რაც რუსი ჯაშუშების ეუთო-სთვის გადაცემაში გამოიხატა, მოსკოვმა თბილისთან სატრანსპორტო მიმოსვლა და საფოსტო მომსახურება შეწყვიტა...

რაც შეეხება რუსეთის განზრახვას, რომ საქართველოს შესახებ თავისი პოზიცია გაერო-ს დამკვირვებლებისთვის მანდატის გაგრძელების შესახებ რეზოლუციაში ასახოს, ამასთან დაკავშირებით ირაკლი ალასანიამ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა: **"ჩემი აზრით, გამორიცხულია, რომ რუსეთის ეს ინიციატივა გავიდეს. ეს ისეთი დოკუმენტია, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს ინტერესებს და ამიტომ, დარწმუნებული ვარ, რომ "საქართველოს მეგობართა ჯგუფი" (რა თქმა უნდა, რუსეთის გამოკლებით) და უშიშროების საბჭოს სხვა წევრები რუსეთის ინიციატივას არ გაიზიარებენ. მეტსაც გეტყვით: უკვე არსებობს ალტერნატიული პროექტი, რომელიც გერმანიამ, როგორც "მეგობართა ჯგუფის" კოორდინატორმა, შეიმუშავა და მსჯელობა უკვე მის ირგვლივ მიმდინარეობს. რუსეთის პროექტი კი, პრაქტიკულად, უკუგდებულია".**

# პრეზიდენტის საგანგებო წინასაარჩევნო მიმართვა

სანამ ხელისუფლება ერთიანია და მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის თანამდებობაზეა, საქართველოს მტრებს ქვეყანაში არეულობა არ გამოუვათ, - ასეთი განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ საღამოს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ, მოსახლეობისადმი მიმართვისას გააკეთა. მან ყველა მოქალაქეს არჩევნებში აქტიურობისაკენ მოუწოდა.

**"ჩვენს არაკეთილმოსურნეებს ესიზმრებათ, რომ 5 ოქტომბერს საქართველოს პასიურს და დაქსაქსულს დაინახავენ, მაგრამ ჩვენ ვანახოთ სიმტკიცე, სიმშვიდე და აქტიურობა, რითაც საბოლოოდ დავასამარებთ მათ იმედებს, საქართველოს ხელახლა დამონების შესახებ",** - განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, ხვალინდელი არჩევნები ყველაზე დიდი გამოცდაა და ქართველმა ერმა მთელ მსოფლიოს უნდა დაანახოს, რომ საქართველო ეფექტური სახელმწიფოა და მას საკუთარი ინტერსების დაცვა შეუძლია.

*ინტერპრესნიუსი*

# დსთ-დან გამოსვლის დრო ჯერ არ დამდგარა

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი დარწმუნებულია, რომ დსთ-ს სივრციდან საქართველოს გამოსვლის საკითხი ამ ეტაპზე საქართველოს ხელისუფლებამ არ უნდა დააყენოს, რადგანაც ყველა დეტალი ამ საკითხთან დაკავშირებით ასაწონ-დასაწონია.

პარლამენტარის განცხადებით, უნდა იყოს გათვლილი ყველა აქტივი და პასივი, რაც საქართველოს დსთ-ს სივრციდან გამოსვლას მოჰყვება. ამ ეტაპზე, მისი პირადი პოზიციაა, რომ ჯერ არ დამდგარა დრო, რომ ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება მიიღოს.

ბეჟაშვილს ასევე მიაჩნია, რომ რუსეთის ხელისუფლებისა და რუსეთის დუმის მიერ გაკეთებულ არც ერთ განცხადებაზე საქართველოს ხელისუფლებამ და პარლამენტმა რეაგირება არ უნდა მოახდინოს.

"ჩვენ გვაქვს ჩვენი საქმე, სახელმწიფოს და არმიის აღმშენებლობა უნდა გავაგრძელოთ და საქართველოს სამომავლო გეგმებს უნდა მივხედოთ. სირთულეებს ველოდებით, რუსეთის მხრიდან განხორციელებული კონტრღონისძიებები საქართველოს აზარალებს, მაგრამ ეს ის პროცესებია, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივ მშენებლობას ვერ შეაჩერებს", - განაცხადა ლევან ბეჟაშვილმა.

*ინტერპრესნიუსი*

## მოკლედ

### პატრულის და "ხიდაშელი, დავითაშვილი, ბერძენიშვილის" დაპირისპირება

საპატრულო პოლიციასა და ბლოკ "ხიდაშელი, დავითაშვილი, ბერძენიშვილის" წარმომადგენლებს შორის ინციდენტი მოხდა. საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა ქალაქის სხვადასხვა უბანში აღნიშნული ბლოკის საარჩევნო პლაკატები ჩამოხიეს. პატრულის წარმომადგენლებმა აღნიშნული ფაქტი იმით ახსნეს, რომ საარჩევნო პლაკატების მსგავს ადგილებში გაკვრა კანონით დაუშვებელია. ბლოკის ერთ-ერთი ლიდერის თინა ხიდაშელის განცხადებით, მათი წარმომადგენლები პლაკატებს სამშენებლო ბორდიურებზე აკრავდნენ, რაც კანონით არ იკრძალება. **ინტერპრესნიუსი**

### პოლიციელთა ახალმოსახლეობა ახლციხესა და ასპინძაში

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ახალციხეში პოლიციის სამმართველოს ახლად გარემონტებული შენობა გახსნა. მინისტრთან ერთად რეგიონს გენერალური პროკურორის მოადგილე კახა კობერიძეც ესტუმრა. ახალციხეში არსებული ყველა სამართალდამცველი სტრუქტურა ახლად გარემონტებულ, ოთხსართულიან შენობაში განთავსდება, რომელიც განათლების სამინისტრომ ახალციხის საოლქო პროკურატურას წლების წინ გადასცა. შენობის სარემონტო სამუშაოები გაზაფხულზე დაიწყო. აღნიშნულ შენობაში წლების განმავლობაში აფხაზეთიდან დევნილი 7 ოჯახი ცხოვრობდა. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის საოლქო პროკურორის დავით ნარიმანიშვილის განცხადებით, შვიდივე ოჯახმა დროებითი საცხოვრებელი მას შემდეგ დატოვა, რაც ისინი შესაბამისი ფართით დაკმაყოფილდნენ. გუშინვე ვანო მერაბიშვილმა პოლიციის ახლად გარემონტებული შენობა დაბა ასპინძაშიც გახსნა. **ინტერპრესნიუსი**

### თემურ ჟორჟოლიანის დისთვის გამომძიებლის ქმედება გაუგებარია

სახელმწიფოს გადატრიალების შეთქმულებისთვის ბრალდებულის, კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის ლიდერის თემურ ჟორჟოლიანის დის ცაცო ჟორჟოლიანის ინფორმაციით, გამომძიებელმა "საქართველოს კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის" დალუქული ოფისი გახსნა. გახსნის პროცესს ოპერატორი ვიდეოკამერით აფიქსირებდა. ცაცო ჟორჟოლიანის თქმით, ვიდეოდათვალიერებას პარტიის გენმდივანი, პოლიტიკური მდივანი და ოფის მენეჯერიც დაასწრეს.

ცაცო ჟორჟოლიანისთვის და პარტიის წევრებისთვის აღნიშნული ქმედება გამომძიებლის მხრიდან გაუგებარია. მათ ეჭვი აქვთ, რომ ოფისში გადაღებული ოფისის განლაგებას ცრუმოწმეებს უჩვენებენ და ცრუ ჩვენებებს კიდევ უფრო გააყალბებენ. მისი თქმით, ამ ეჭვს ამძაფრებს სამართალდამცველების მხრიდან თემურ ჟორჟოლიანის ადვოკატების მოთხოვნაზე უარის თქმა. ბრალდებულის დამცველებს მოწმეთა ჩვენებებს დღემდე არ აცნობენ, რაც საქმის სრულფასოვან წარმოებაში უშლით ხელს. **ინტერპრესნიუსი**

### ადვოკატი პატიმრის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანას ითხოვს

ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე მისი დაცვის ქვეშ მყოფი "კანონიერი ქურდის" გოჩა ჯინჭარაძის საავადმყოფოში გადაყვანას მოითხოვს. ადვოკატის ინფორმაციით, თბილისის N7 საპყრობილეში იმყოფება მძიმე ავადმყოფი, 34 წლის გოჩა ჯინჭარაძე, რომელიც საქართველოში ორი დღის წინ გადმოიყვანეს. ხაჭაპურიძის თქმით, გოჩა ჯინჭარაძეს მძიმე ჭრილობა აქვს და ბარძაყის მიდამოში ჩადგმული აქვს რკინის კონსტრუქცია. ამის გამო, იგი პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში უნდა იმყოფებოდეს. ცნობისთვის, გოჩა ჯინჭარაძე რუსეთიდან ორი დღის წინ გამოაძევეს. თავდაპირველად, იგი ბაქოში აღმოჩნდა, საიდანაც ქართველმა სამართალდამცველებმა თბილისში გადმოიყვანეს. ადვოკატის ინფორმაციით, გოჩა ჯინჭარაძე უკვე მოინახულეს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა. **ინტერპრესნიუსი**

### სკოლის მიწის ნაკვეთი გაყიდეს

ახალციხის განათლების განყოფილების ყოფილი გამგის ნანა იოსელიანის მიმართ ახალციხის საოლქო პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. იოსელიანი თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაშია ეჭვმიტანილი. მას ბრალდება ქალაქის N5 საშუალო სკოლის კუთვნილი ტერიტორიიდან 167 კვ. მეტრის გასხვისება. როგორც ირკვევა, ნანა იოსელიანმა სკოლის კუთვნილი მიწის ნაკვეთი მოქალაქე ეთერ კურტანიძეს მიჰყიდა, რის გამოც, სკოლის საქვაბის ფუნქციონირება შეუძლებელი გახდა. ეთერ კურტანიძე მზადაა, სახელმწიფოს ტერიტორია დაუბრუნოს. განათლების განყოფილების ყოფილი გამგის ნანა იოსელიანის წინააღმდეგ კი საქმე 352-ე მუხლის I ნაწილით აღიძრა, რაც 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. **ინტერპრესნიუსი**

### დირექტორი ბილეთების ფულს მალავდა

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სამმართველომ მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე შპს "საქართველოს რკინიგზის" ფილიალის "სადგური ძეგვის" დირექტორის თეიმურაზ მემენიშვილის მიმართ გამოძიება დაიწყო. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, სადგურის ხელმძღვანელობა ბილეთების რეალიზაციის შედეგად მიღებულ თანხას სრულად არ ასახავდა. სამართალდამცველები სადგურის ხელმძღვანელობას სხვა თანხების მითვისებასაც ედავება. დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები. ფინანსურ პოლიციაში გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით დაიწყო, რაც "მითვისებას ან გაფლანგვას" გულისხმობს. **ინტერპრესნიუსი**

### ნოვოროსიისკის პორტში საქართველოს დროშით მცურავი ორი გემია

ნოვოროსიისკის პორტში საქართველოს დროშით მცურავი ორი გემი დააკავეს. შემოწმების შემდეგ ორივე გემი სუბსტანდარტულად იქნა აღიარებული, რაც იმას ნიშნავს, რომ გემი საერთაშორისო ნორმებს არ აკმაყოფილებს. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო "რია ნოვოსტი" "ნოვოროსიისკის საზღვაო პორტის ადმინისტრაციის" ხელმძღვანელზე ვლადიმერ ერიგინზე დაყრდნობით ავრცელებს.

ერიგინის განცხადებით, პორტში ქართული დროშით მცურავი გემი ცოტაა.

მისივე თქმით, მიუხედავად სატრანსპორტო შეზღუდვებისა, "მესამე ქვეყნის გემებსა და სატრანზიტო ტვირთს, რომლებიც საქართველოს პორტებიდან გადის, ნოვოროსიისკის პორტი იღებს". ერიგინის განცხადებით, არსებობს საერთაშორისო ნორმები, რომელთა დარღვევაც არ შეიძლება. "მაგალითად, თუ გემს, ბულგარეთის დროიშით, გადმოაქვს სომხეთის ტვირთი ფოთის პორტიდან, ის აკრძალვას არ ექვემდებარება". **ინტერპრესნიუსი**

### სამალავი მანქანაში

ფინანსურმა პოლიციამ საქართველოს მოქალაქე სამედ ჰუსეინოვი მაშინ დააკავა, როცა ის "წითელი ხიდის" საბაჟო-გამშვები პუნქტით აზერბაიჯანში ავტომანქანის ნაწილების და ღვინო "ქინძმარაულის" გადატანას ცდილობდა. ჰუსეინოვს "იკარუსის" მარკის ავტობუსში სპეციალური სამალავები ჰქონდა მოწყობილი, რისი მეშვეობითაც ტვირთი საბაჟოს გვერდის ავლით უნდა გადაეტანა. დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები, ტვირთს კი ექსპერტიზა უტარდება. ექსპერტიზის დასრულების შემდეგ დამალული საბაჟო გადასახადის ზუსტი რაოდენობა განისაზღვრება. ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრულია 214-ე მუხლით - "საბაჟო წესის დარღვევა". **მედიანიუსი**

# ქართველებზე ნადირობა





*რუსეთში დაკავებული ქართველები.*

პირველი გვერდიდან

მოსკოვში გრძელდება ქართველების დაკავებაც. წლების განმავლობაში რუსეთის დედაქალაქში უპრობლემოდ მცხოვრებ ქართულ ოჯახებს, თითქოსდა, სათანადო დოკუმენტების არარსებობის გამო, სამშობლოში აბრუნებენ. 29 სექტემბერს რუსეთის მილიციის მიერ დაკავებული 13 ქართველიდან 8 - რუსულმა მხარემ საქართველოში საკუთარი ხარჯებით გამოამგზავრა. რამდენიმე დღის წინ დაკავებული და უკვე საქართველოში დეპორტირებული 8 საქართველოს მოქალაქის ბედი გაიზიარეს მოსკოვში, პროსპექტ იასნიეს N19-ში მცოვრებმა ქართულმა ოჯახებმა, რომლებიც გუშინ მილიციის განყოფილებაში გადაიყვანეს.

**"ამ სახლში, უკვე 15 წელია, ქართული ოჯახები ცხოვრობენ. ისინი აფხაზეთიდან დევნილები არიან. ადამიანები მილიციის განყოფილებაში, უბრალოდ, ეროვნული ნიშნით მიჰყავთ,"** - განუცხადა "რია ნოვოსტის" ადამიანის უფლებათა დამცველმა ლიუდმილა ალექსეევამ.

მოსკოვში, პეროვოს რაიონის სასამართლოში მოსკოვის უნივერსიტეტის ის სტუდენტები გაასამართლეს, რომლებსაც საპასპორტო რეჟიმის შემოწმებისას რუსმა მილიციონერებმა საბუთებში უმნიშვნელო უზუსტობები აღმოუჩინეს.

დაკავებულმა სტუდენტებმა მთელი ღამე ნოვოგირეევოს რაიონულ მილიციაში გაატარეს. ერთ-ერთი დაკავებულის ძმის დუგლას ფარნავაზიშვილის ინფორმაციით, დაკავებულებს, საპასპორტო რეჟიმის დარღვევის გამო, ფულადი ჯარიმა გადაახდევინეს, რის შემდეგაც მათი საქართველოში დეპორტაცია განხორციელდება.

შექმნილი სიტუაცია საბედისწერო გახდა ცნობილი ქართველი მკლავჭიდელის გია გვიჩიანისთვის, რომელიც მოსკოვში ორი დღის წინ მოკლეს.

**"გია გვიჩიანი ძალიან პერსპექტიული მკლავჭიდელი იყო. იგი რუსეთში მატერიალური პრობლემების გამო გაემგზავრა და იქ რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა. გია ძალიან პატიოსანი ადამიანი იყო და კონფლიქტი არავისთან ჰქონია. სავარაუდოდ, იგი რუსეთ-საქართველოს შორის ბოლოდროინდელ გართულებულ მდგომარეობას შეეწირა",** - მიიჩნევს საქართველოს მკლავჭიდელთა ფედერაციის პრეზიდენტი სოსო ჯაჭვლიანი.

ჯაჭვლიანის განცხადებით, მას რუსეთის დედაქალაქიდან დაუკავშირდა გვიჩიანის ნათესავი, რომელმაც გარდაცვლილის სამშობლოში გადმოსვენებაში დახმარება სთხოვა.

**"ვინაიდან სატრანსპორტო სივრცე რუსეთთან ჩაკეტილია, სავარაუდოდ, გვიჩიანს ბაქოს გავლით ხვალ გადმოასვენებენ",** - განაცხადა ჯაჭვლიანმა.

პოლიტიკური დაჭერების პარალელულად, რუსი სამართალდამცველები ქართველი კრიმინალების წინააღმდეგაც გააქტიურდნენ. ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციით, მოსკოვში მილიციის თანამშრომლებმა ქართველ და აფხაზ დამნაშავეთა ჯგუფი დააკავეს. გამოძიების მონაცემებით, ბანდა მოსკოვში შეკვეთილ მკვლელობებზე, გამოძალვაზე, თანამდებობის პირთა მოსყიდვაზე და უძრავი ქონების სფეროში თაღლითურ ოპერაციებზე მუშაობდა.

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, დაჯგუფებაში 20 კაცი იყო გაერთიანებული. როგორც მილიციამ დაადგინა, დამნაშავეები უკანონოდ ისაკუთრებდნენ მოსკოველთა ბინებს, ბინის მეპატრონეებს კლავდნენ, შემდეგ კი მათ ბინებს სხვა ადამიანებზე აფორმებდნენ გაყიდვის მიზნით. რუსი სამართალდამცველების ინფორმაციით, დაკავებულებმა დაკითხვისას შვიდი მოსკოველის მკვლელობა აღიარეს, რის შემდეგაც მოკლულთა ცხედრები კრიმინალისტებმა ტვერის მხარის კალიაზინის რაიონის ტყეში აღმოაჩინეს.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, მოსკოვში ქართველი "კანონიერი ქურდის" გიორგი გიორგაძის დაკავების შესახებ. 45 წლის გიორგი გიორგაძე სამართალდამცველებმა გვიან ღამით კაზინო "კრისტალის" სათამაშო ავტომატების დარბაზიდან გამოსვლისას დააკავეს და ჩხრეკისას რამდენიმე გრამი ჰეროინი აღმოუჩინეს. მოსკოველი მილიციელების განცხადებით, გიორგაძე არაერთხელ არის ნასამართლევი ქურდობისა და ნარკოტიკის შენახვისთვის. საერთო ჯამში, მან სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში 10 წელი გაატარა.

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქართული კრიმინალური დაჯგუფებების შიშით მუშაობის უფლება შეუჩერა კაზინო "გოლდენ-პალასს" და "კრისტალს.

**"დაწესებულებები დაიხურა შსს-ს ეკონომიკური უსაფრთხოების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, რადგან მას საქართველოდან ჩამოსული კრიმინალები აკონტროლობდნენ. დაწესებულებების 84 სათამაშო მაგიდა და 259 სატამაშო ავტომატი დოკუმენტაციის გარეშე ფუნქციონირებდა",** - აცხადებენ დეპარტამენტში.

რუსი სამართალდამცველები დანაშაულის კვალს გუშინ არბატზეც ეძებდნენ - ქართული კულტურის ცენტრ "თბილისში", "მზიურსა" და კაფე "წინანდალში". 15-მდე მილიციელი იქ ჩხრეკას ატარებდა. თუმცა, რას ეძებდნენ ან რატომ შევიდნენ სამართალდამცველები ქართულ დაწესებულებებში, კომენტარი არავის გაუკეთებია.

*24 საათი*

# ნასამართლევი გამგებლის მოადგილე, ახლა ბრალდებულია

*პროკურატურა მცხეთის რაიონის გამგებლისა და მისი მოადგილის საქმიანობით დაინტერესდა. მას შემდეგ, რაც გამგებლის მოადგილე ქრთამის აღებაში ეჭვმიტანილად ცნეს, სამართალდამცველებმა მისი ბიოგრაფია მოიკვლიეს და აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო მოხელის - გამგებლის მოადგილის თანამდებობა ნასამართლევ პირს ეკავა, მისი დანიშვნის ბრძანება კი გამგებელმა გასცა.*

ამჟამად მცხეთა-მთიანეთის რაიონულ პროკურატურაში გამოძიება მიმდინარეობს მცხეთის რაიონის გამგებლის მიერ სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბეჟან ლორთქიფანიძე მცხეთის გამგებლის მოვალეობას ასრულებდა 2004 წლის 18 თებერვლიდან და, როგორც სახელმწიფო მოხელეს, ევალებოდა გამგეობის წევრებს შორის ფუნქციების განაწილება; იწვევდა და თავმჯდომარეობდა გამგეობის სხდომებს, შეიმუშავებდა და საკრებულოს წარუდგენდა შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტებს, ხელს აწერდა გამგეობის დადგენილებებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემდა ბრძანებებსა და განკარგულებებს.

"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 22-ე მუხლის თანახმად, ბეჟან ლორთქიფანიძე უფლებამოსილი იყო, გამგეობაში თანამდებობაზე დაენიშნა პროფესიონალი კადრი. იმავე კანონის მე-17 მუხლის თანახმად, იგი ვალდებული იყო, საჯარო სამსახურში არ მიეღო პირი, თუ ის იყო ნასამართლევი განზრახ ჩადენილი დანაშაულისთვის და მოხსნილი არ ჰქონდა ნასამართლობა.

როგორც პროკურატურა ირწმუნება, ლორთქიფანიძემ არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები და მცხეთის რაიონის გამგებლის მოადგილის თანამდებობაზე დანიშნა ნასამართლევი პირი. კერძოდ, პროკურატურის ინფორმაციით, ლორთქიფანიძემ გამგებლის მოადგილედ დანიშნა გიორგი წიკლაური, საშუალო განათლების მქონე, 2001 წლის 6 მაისს გასამართლებული თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება) პირველი და მეორე ნაწილით და 362-ე მუხლის (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) პირველი ნაწილით გათვალისწინებული განზრახ დანაშაულის ჩადენისთვის. პროკურატურის განცხადებით, წიკლაურის თანამდებობაზე დანიშვნის საფუძველი გახდა მხოლოდ პირადი საანკეტო ბარათი და გაყალბებული ავტობიოგრაფია.

პროკურატურის ბრალდებით, გიორგი წიკლაურმა არაკანონიერად ისარგებლა დაკავებული თანამდებობით და ჩაიდინა ახალი დანაშაული. პროკურატურის ახალი ბრალდებით, იგი დადანაშაულებულია სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით - ქრთამის აღებაში.

მცხეთის ახლა უკვე ყოფილ გამგებელს ბეჟან ლორთქიფანიძეს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა ბრალდება და მხილებულია სამსახურებრივ გულგრილობაში. მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაოს გადახდა 10 ათასი ლარის ოდენობით. ამჟამად საქმის გამოძიება დამთავრების სტადიაშია და უახლოეს დღეებში ის განსახილველად მცხეთის რაიონულ სასამართლოში გადაიგზავნება.

სხვათა შორის, მცხეთის გამგებლისა და მისი მოადგილის პასუხისგებაში მიცემამდე პროკურატურა სიღნაღის რაიონის გამგებლის ბერდო ასანიშვილისა და მისი მოადგილის მამუკა მანგოშვილის საქმიანობითაც დაინტერესდა. გამგებელი და მისი მოადგილე თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში დაადანაშაულეს. საუბარია სიღნაღში მიწების იჯარით უკანონოდ გაცემასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებაზე, რომელიც ჯერ არ დასრულებულა.

*24 საათი*

# შსს-ს თანამშრომლებს ქურდობისთვის გაასამართლებენ

თბილისის პროკურატურა შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ენერგეტიკისა და სხვა ობიექტების დაცვის სამმართველოს თანამშრომლების - ზურაბ გიგუაშვილის, თემურ ედიშერაშვილისა და რევაზ არევაძის წინააღმდეგ ქურდობის მუხლით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს იძიებს. საქმე ისაა, რომ შინაგან სამეთა სამინისტროს თანამშრომლებს გამოძიება სააქციო საზოგადოება "საქართველოს ელექტროკავშირის" 12 ათასი ლარით დაზარალებაში ედავება.

გამოძიების ინფორმაციით, უკვე დადგენილია, რომ ზურაბ გიგუაშვილს განზრახული ჰქონდა თავისი დაცვის ქვეშ მყოფი ობიექტის, "საქართველოს ელექტროკავშირის კომპანიის" N62 სადგურის ტერიტორიაზე განთავსებული საცავიდან ფარულად, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდა სპილენძის შემცველ სატელეფონო სადენებს. ჩანაფიქრის განსახორციელებლად ის დაუკავშირდა თავის მეგობრებსა და თანამშრომლებს - თემურ ედიშერაშვილს და რევაზ არევაძეს, რომლებთან ერთადაც შეიმუშავა ელექტროსადენების ქურდობის გეგმა.

გიგუაშვილმა, ედიშერაშვილმა და არევაძემ მორიგეობის პერიოდში, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში საცავში უკანონოდ არაერთგზის შეღწევით ფარულად გამოიტანეს სატელეფონო სადენები და მოათავსეს დაცულ ტერიტორიაზე, შემდეგ კი სადენები ფერადი ლითონების ჩამბარებელ პუნქტში ჩააბარეს.

**"ამით "საქართველოს ელექტროკავშირის კომპანია" 12 ათლარით დაზარალდა. ამჟამად საქმეზე მიმდინარეობს ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების დადგენისა და დაკავებისთვის",** - აცხადებენ თბილისის პროკურატურაში.

*24 საათი*

# ე.წ. სამხრეთ ოსეთის შს სამინიტრო უსაფრთხოების ზომებს ამკაცრებს

ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინიტრომ გუშინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოს სპეცსამსახურებმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე საქმიანობა გაააქტიურეს. ამასთან დაკავშირებით, ოსური წყაროს ცნობით, კოკოითის სამართალდამცველმა სტრუქტურებმა "საკუთარი რესპუბლიკის ტერიტორიაზე" საქართველოს სპეცსამსახურების საქმიანობის გამანეიტრალებელი ღონისძიებები შეიმუშავა. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის სააგენტო, ოსური შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, იუწყება, რომ "სამხრეთ ოსეთის სამართალდამცველმა სტრუქტურებმა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, რიგი ღონისძიებები შეიმუშავა. ამ ღონისძიებებში შედის ქუჩებისა და დედაქალაქის სხვადასხვა რეგიონის გაძლიერებული პატრულირება, საეჭვო ავტოტრანსპორტისა და არარეგისტრირებული იარაღის გაძლიერებული კონტროლი. ოსური მხარე, ასევე, აღნიშნავს, რომ დაკავებული იქნება ყველა პიროვნება, ვინც მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ჩაიდენს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# თბილისის თვითმმართველობის სათავეებთან

ნინო სატყოევა
საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმის სწავლული მდივანი

*ქვეყანაში მიმდინარე ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნების მსვლელობისას, რომლის შედეგები დიდად განსაზღვრავს ამ სფეროში ჩატარებული რეფორმების აკარგიანობას, ისტორიული ტრადიციების შესწავლას და გარკვეული გამოცდილების გათვალისწინებას ამ საკითხში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.*



ქალაქის მმართველობის პირველი შენობა.



ქალაქ თფილისის გერბი.

თბილისის საქალაქო მმართველობა საკმაოდ ადრეულ ეტაპზე შეიცავდა თვითმმართველობის ელემენტებს, რამაც XI საუკუნის 40-ანი წლებიდან უკვე შედარებით გამოკვეთილი ფორმა მიიღო, 80-ანი წლებიდან 1222 წლამდე კი "ქალაქ-კომუნად", "ქალაქ-რესპუბლიკად" ჩამოყალიბდა. ქალაქის გამგებლობა ამ დროს 12 კაცისგან შემდგარი "ქალაქის ბერების", "უხუცესთა საქალაქო კრებულის" ანუ, როგორც ამას უცხოური წყაროები განმარტავენ, "თბილისის კეთილშობილთა ჯგუფის", "თბილისის ხალხის" ხელში გადავიდა, რომლებიც რიგ-რიგობით, თითო თვე ("ქალაქის მთავარი") მართავდნენ ქალაქს და სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ. მათ ებარათ "ქალაქის კლიტენი" და ემორჩილებოდათ "ციხენი ქალაქისანი"; ისინი წყვეტდნენ ომის გამოცხადების თუ ზავის დადების საქმეს, აწარმოებდნენ სამართალს მოქალაქეთა შორის, აწესრიგებდნენ საგადასახადო სისტემას, ჭრიდნენ მონეტას და სხვა; ერთი სიტყვით, იყვნენ უზენაესი ხელისუფალნი თბილისში.

ეს ფაქტი იმის დასტურიცაა, რომ საქართველო არათუ არ ჩამორჩებოდა საერთო ევროპულ პროცესებს, ზოგიერთ შემთხვევაში მნიშვნელოვნად უსწრებდა კიდეც ბევრ მათგანს.

"ქალაქ-რესპუბლიკას" ბოლო მოუღო დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღებამ და გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქად მის გამოცხადებამ. ქალაქში ქართველი მეფის ხელისუფლება დამყარდა, რომელსაც მეფის მიერ დანიშნული მოხელე მართავდა.

მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო თვითმმართველობის იდეამ საქართველოში ვერ პოვა შემდგომი განვითარება. ევროპაში კი ამ მოვლენამ სრულყოფილი სახე მიიღო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების დროს. მაგ: საფრანგეთის დიდ რევოლუციას "მუნიციპალური რევოლუციის" სახელწოდებითაც მოიხსენიებენ.

თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის შემდეგი ეტაპი უკავშირდება 1801 წლიდან რუსული მმართველობის დამყარებას საქართველოში. 1840 წ. აგვისტოს გამოიცა დებულება "თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის შესახებ", რომლის მიხედვითაც ქალაქის მოსახლეობას ეძლეოდა საშუალება აერჩია ქალაქის თავი და სათათბირო 6 ხმოსნის შემადგენლობით. პირველი ქალაქის თავი იყო ივანე იზმიროვი. იმის გამო. რომ ქალაქის თავისა და სათათბირო შესაძლებლობები შეზღუდული იყო და ასეთი მმართველობა არ გამოხატავდა ქალაქის მთელი საზოგადოების ინტერესებს, 1866 წელს შემუშავდა ახალი დებულება, რომლის საფუძველზეც არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა ოთხი სოციალური კატეგორიის (4 თანრიგი), 21 წელს მიტანებულ, გარკვეული ქონებრივი ცენზის მქონე და ქალაქის სასარგებლოდ გადასახადის გადამხდელ მოქალაქეებს. ისინი ირჩევდნენ 100 კაცისგან შემდგარ საქალაქო საკრებულოს (საკანონმდებლო ორგანო), რომლის წიაღიდანაც აირჩეოდა 8-კაციანი (თითოეული ფენიდან ორ-ორი) საქალაქო განმკარგულებელი ორგანო (აღმასრულებელი ორგანო) და ქალაქის თავი. ამას ემატებოდა მეთვალყურის რწმუნებით აღჭურვილი, ხელისუფლების მიერ დანიშნული ერთი პირი. ეს იყო ბოლო ცვლილება თბილისის მმართველობაში 1870წ. 16 ივნისის დიდი საქალაქო რეფორმის წინ.

1870 წ. 16 ივნისს იმპერატორმა ალექსანდრე II ხელი მოაწერა ახალ "საქალაქო დებულებას" ("საქალაქო წესდებულება"), რომელიც რუსეთის იმპერიის რიგ ქალაქებში თვითმმართველობას აწესებდა და როგორც იმდროინდელი პრესა წერდა: "გახდა ახალი ერის დასაწყისი ქალაქების ისტორიაში" ("დროება"). დებულების თანახმად, არჩევნებში ყურადღება მიექცა ამომრჩეველთა არა სოციალურ წარმოშობას, არამედ ეკონომიკურ მდგომარეობას. სულ ჩამოყალიბდა სამი თანრიგი, სამი საარჩევნო კრება. ესენი იყვნენ: მსხვილი, საშუალო და წვრილი გადამხდელები. უპირატესობა პირველ თანრიგს ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის არც ერთ ქვეყანაში თვითმმართველობის იდეა ისე არ იყო დამახინჯებული, როგორც რუსეთში, ამ მოვლენას მაინც დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან იგი წარმოადგენდა ადგილობრივი მმართველობის ისეთ ფორმას, რომელიც არჩევით პრინციპებს ემყარებოდა, წარმომადგენლობითი იყო, სადაც მოსახლეობის სხვადასხვა ფენები იღებდნენ მონაწილეობას; ეს კი პარლამენტარიზმისა და პოლიტიკური პარტიების არარსებობის პირობებში ქმნიდა პროგრესული ძალების სამოქმედო ასპარეზს, რაზეც ილია ჭავჭავაძეც ამახვილებდა ყურადღებას "ივერიის" 1893 წ. ერთ-ერთ ნომერში: "ჩვენში სულ რაღაც ოცი წელიწადია, რაც გამოგვიჩნდა თითოოროლა საგანი საზოგადო მოღვაწეობისა, გაიშალა მცირეოდენი ასპარეზი საქვეყნო და სამოქალაქო სამსახურისა".

1870 წ. 16 ივნისის დებულება საქართველოში გვიან გატარდა. არჩევნები 1874 წ. ნოემბერში დაინიშნა. ამ დროისთვის რუსეთის მთელ რიგ ქალაქებს თვითმმართველობის გარკვეული გამოცდილება უკვე ჰქონდათ.

თბილისში შეიქმნა საარჩევნო კომისიები. ამომრჩეველთა სიები აგვისტოში უკვე მზად იყო. ე. წ. "აღრჩევითი კამისია" აცხადებდა: "ვისაც რაიმე პრეტენზია ექნება, ის ორი კვირის განმავლობაში უნდა გამოცხადდეს საზოგადო საქალაქო კრების ზალაში და შეიტანოს თფილისის ქალაქის თავის სახელზედ აზრი სიების უკანონოდ შედგენაზედ და იმათ ნაკლოვანებებზედ" - "დროება" 1873 წ., აგვისტო.

სიების მიხედვით თბილისში ხმის უფლებით სარგებლობდა 4494 კაცი (მოსახლეობის 4-5 პროცენტი). პირველი თანრიგის ამომრჩეველთა სიაში იყო 45 კაცი და ირჩევდა 24 ხმოსანს, მეორეში - 221 და ირჩევდა 24-ს, ხოლო მესამეში - 4228, ანუ ამომრჩეველთა 94 პროცენტი და ისიც ირჩევდა 24 ხმოსანს. ამომრჩევლები ირჩევდნენ საკანონმდებლო ფუნქციით აღჭურვილ 72-კაციან საქალაქო სათათბიროს ("რჩევას"), რომელიც შემდეგ ირჩევდა 4-კაციან აღმასრულებელ ორგანოს - გამგეობას. აქედან ერთი კაცი ქალაქის თავი, "ქალაქის მოთავე" - ხდებოდა.

დაიწყო აქტიური წინასაარჩევნო კამპანია. იმდროინდელი პრესის ფურცლებზე თავის აზრს გამოთქვამდნენ ერის ცნობილი საზოგადო მოღვაწენი. ს. მესხი "დროების" 1874 წ. 15 ნოემბრის ნომერში წერდა: "თუ ყოველი ამომრჩეველი თავის საკუთარ საქმეს ისე შეხედავს, როგორც საზოგადო ქალაქის საქმესა და ქალაქის საქმეს ისე, როგორც თავის საკუთარ საქმესა, - აი, მხოლოდ მაშინ გაკეთდება რამე, მხოლოდ მაშინ მიეცემა ქალაქსაცა და იმის მცხოვრებლებსაც წარმატება; მხოლოდ მაშინ ეღირსება ჩვენ ქალაქს ის, რაც ასე სჭირდება.

თბილისი ღარიბი ქალაქი არ არის; თუ ქალაქის გამგეობა და მოთავე თავიანათ მოიქცევიან, თუ ქალაქის შემოსავალ გასავალსა და საკუთრებას გონიერად, პატიოსნურად ასარგებლებენ და მოიხმარენ, დარწმუნებული იყავით, ყველაფრის გაკეთება შეიძლება, რაც კი ქალაქისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

აირჩიეთ ისეთი კაცები, რომელთაც საზოგადო სარგებლობისათვის გული შესტკივათ, ისეთი კაცები, რომელთაც გაეგებათ, თუ რითი და როგორ შეიძლება საზოგადო საჭიროების დახმარება და ხელის მომართვა."

მოხდა ასეთი ფაქტიც - ქალაქის თავის მოვალეობის შემსრულებელს გაუგზავნია ზოგიერთი ამომრჩევლისთვის წერილი, ჩამოთვალეთ ის 24 ადამიანი, რომელსაც ირჩევთ და ქვევით ხელის მოწერით დაადასტურეთო. ს. მესხმა ეს გააპროტესტა და განაცხადა, რომ "არჩევნები დაფარულიაო".

იყო საარჩევნო მოწოდებებიც. მაგ., გაზეთი "მშაკის" რედაქცია წინასაარჩევნოდ ქალაქის მესამე თანრიგის ამომრჩევლებს ურჩევდა, რომ რადგან ისინი მშრომელი და ღარიბი ხალხი იყო, ქალაქის გამგეობაში თავის წარმომადგენლებად აერჩიათ ისეთი კაცები, რომელთაც "იციან იმათი მდგომარეობა და დახმარებაც შეუძლიათ. მდიდრები მდიდრებს ირჩევენ, ისინი ქეიფიანათ ატარებენ დროს, ღარიბების დარდი არა აქვთ. თქვენ კი თქვენი თანამგრძნობი კაცები უნდა ამოირჩიოთ"-ო.

საარჩევნო თანრიგების მიხედვით არჩევნები სამ სხვადასხვა დღეს ჩატარდა. პირველი - ეს იყო 18 ნოემბერი, ორშაბათი, საქალაქო მმართველობის შენობა (დღევანდელი მერია). ამომრჩევლები იყვნენ მსხვილი გადამხდელები - სახლთმფლობელები და მსხვილი ვაჭარმრეწველნი. სხდომა გაიხსნა ქალაქის თავის - იასონ თუმანიშვილის სიტყვით, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა თბილისის საქალაქო მმართველობის ისტორია, საზოგადოებას გააცნო ახალი "საქალაქო დებულების" ის ადგილები, რომლებიც ხმოსანთა უფლება-მოვალეობებსა და მათი არჩევის წესს შეეხებოდა. ბოლოს მან წაიკითხა ამომრჩეველთა სიები.

ასეთი ცერემონიის შემდეგ დაიწყო ხმოსანთა არჩევის პროცესი. არჩევნები წარმოებდა ფარულად. ე.წ. "საარჩევნო კენჭების" მეშვეობით. შედეგები მაშინვე გამოცხადდა; ქალაქის სათათბიროს პირველი ხმოსნები გახდნენ ქალაქსა და მთელს ქვეყანაში ცნობილი ვაჭარ-მრეწველნი: ირ. გრუზინსკი, გ. თამამშევი, ა, ყორღანოვი, ზუბალოვები, ა. ზალცმანი და სხვები. სხვათა შორის იყო ცნობილი სომეხი მწერალი და დრამატურგი გ. სუნდუკიანცი.

1874 წ. 20 ნოემბერს იგივე შენობაში ჩატარდა მე-2 თანრიგის ამომრჩეველთა (საშუალო გადამხდელთა) არჩევნები. ხმოსნებად გავიდნენ: ნ. არღუთინსკი, კონსტ. მამაცოვი (მამაცაშვილი), გრ. არწრუნი, ირ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, გ. ხატისოვი, ჩეხი ნ. პრიბილი და სხვები.

1874 წ. 23 ნოემბერს, ე. წ. "მუხრანსკის სახლში" ("თფილისის კლუბი" - ამჟამად ამ სახლის ადგილას კავშირგაბმულობის სამინისტროა) ჩატარდა მე-3 თანრიგის არჩევნები. არჩეულ იქნენ: თავადი დ. სუმბათოვი (სუმბათაშვილი), ილია წინამძღვროვი (წინამძღვრიშვილი), დ. ფორაქიშვილი, ს. მირიმანოვი და სხვები. არჩევნები ხალხის აქტიურობით არ გამოირჩეოდა. ამ ოლქში 2086 ამომრჩევლიდან გამოცხადდა 350.

თბილისის არჩევნების პარალელურად, იმავე დღეებში, ადგილობრივი მმართველობის არჩევნები ჩატარებულა საფრანგეთში, სადაც რესპუბლიკელებს გაუმარჯვიათ. ვნახოთ, რა შედეგები მივიღეთ თბილისის არჩევნებისგან. ეს შედეგები მართლაც კანონზომიერი იყო არსებული კანონმდებლობისა და მაღალი ქონებრივი ცენზის არსებობის პირობებში. "დროება" 1883 წ. 1.VI. N102-ში წერდა: "უმთავრესი ნაკლულევანება "ქალაქის დებულებისა" ის არის, რომ ქალაქების მთელი ბატონობა და პატრონობა მოვაჭრე ხალხს ჩაუგდო ხელში, და უფრო განათლებული ნაწილი საზოგადოებისა კი, ვისაც ქალაქებში უძრავი ქონება არა აქვს, დაშორებულია ქალაქების საქმეებიდან და არაფერი ხმა არა აქვს."

გამოიკვეთა ერთი ტენდენციაც - ესაა სათათბიროს ეროვნული შემადგენლობა, რაც მომდევნო წლებში სერიოზულ პრობლემად ჩამოყალიბდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ს. მესხს, რომელიც ჩივის გაზეთის ფურცლებზე: "რაც უნდა ძალიან ეწყინოს ნამდვილ ქართველს (თუკი სადმე მოიპოვება ამ ჟამად ჩვენში "ნამდვილი ქართველი") - რაც უნდა ეწყინოს, მაინც უნდა გავტყდეთ, რომ ერთ დროს ქართველთა სატახტო ქალაქი - თფილისი - დღეს სომხების საკუთრებად შექმნილა ... სამოცდა თორმეტ ქალაქის დეპუტატში მხოლოდ სამი თუ ოთხი ქართველია მგონი, ერთი თუ ორი რუსი და ერთიც გერმანელი" - "დროება". 1874წ.

არჩევნები ოფიციალურად ჩატარებულად გამოცხადდა. საარჩევნო ფურცლები "საქალაქო დებულების" 42 მუხლის თანახმად გადაეცა ქალაქის განმკარგულებელ სამმართველოს.

1874 წ. 8 დეკემბერს ჩატარდა ქალაქის თავის არჩევნები. ამ პოსტზე სულ 3 კანდიდატი იყო. ერთ-ერთი მათგანი იყო ყოფილი მერი - იასონ თუმანოვი (თუმანიშვილი), რომელმაც უარი თქვა კენჭისყრაზე ავადმყოფობის გამო, მაგრამ მას წერილობით თხოვნით მიმართეს ხმოსნებმა, აგრეთვე ამქრებმა და მათმა ხელმძღვანელობამ, რის გამოც 11 დეკემბერს მან იყარა კენჭი და გაიმარჯვა კიდეც. მისი მეტოქე მერის თანამდებობის დასაკავებლად იყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, გენერალი კონსტანტინე მამაცაშვილი. 22 დეკემბერს გამარჯვებულმა ი. თუმანოვმა ფიცი მიიღო. ქალაქის თავს დაენიშნა წელიწადში 5 ათასი მან.

იასონ თუმანოვი ავადმყოფის გამო რამდენიმე თვეში მაინც გადადგა. 1875 წ. 14 ქრისტეშობისთვეს, კვირა დღეს, დაინიშნა ახალი არჩევნები. "არასოდეს არ ღირსებია ქალაქის გამგეობის ზალას იმდენი ხალხის ერთად ხილვა, რამდენსაც წასულს კვირას ეღირსა, კანდიდატები ერთ გაუწყნარებულ ფაცა-ფუცში და მოძრაობაში არიან. იხვეწებიან, იმუქრებიან, არწმუნებენ, იმედს იძლევიან.... ცდილობენ... ღამე ძილი და დღე მოსვენება აღარ აქვთ... ამ კანდიდატებში ჩვენ გავიგონეთ ერთი პირის სახელი, რომელიც თვითონ არავის არ ეხვეწება, არაფერს არ ჰპირდება, არავის არაფერში არწმუნებს, მაგრამ რომელიც საკმაოდ ცნობილია ყველასაგან, რომლის ერთი დასახელებაც ყველას დაარწმუნებს იმის უპირატესობაში სხვა კანდიდატებზედ.

ჩვენ ვამბობთ დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანზე.

... "ბედნიერი ჰაზრი მოსვლია ვინც ეს კანდიდატი დაასახელა პირველად ამაზე უკეთეს ქალაქისთავს ახლა ჩვენ ვერ მოვძებნით."

კანდიდატებად ცხრა კაცი იყო ჩაწერილი. შვიდმა კენჭისყრაზე უარი თქვა, დარჩა ორი: დიმიტრი ყიფიანი და იერემია არწრუნი (ყოფილი ქალაქის თავი). 36 თეთრით 28 შავის წინააღმდეგ გაიმარჯვა დიმიტრი ყიფიანმა. აღსანიშნავია, რომ დიმიტრი ყიფიანისთვის ხმა მიუცია მისი მეტოქის იერემია არწრუნის შვილს - გრიგოლს. ეს ის გრიგოლ არწრუნია, რომელსაც არაერთხელ გაუმართა პოლემიკა ეროვნულ საკითხზე ილია ჭავჭავაძემ.

1875 წ. 1 იანვარს ქალაქის მმართველობის დარბაზში ჩატარდა ახლად არჩეული საქალაქო სათათბიროს პირველი სხდომა. ქალაქის თავმა იასონ თუმანოვმა სათათბიროს მუშაობა ოფიციალურად გახსნილად გამოაცხადა. ამავე სხდომაზე "ქალაქის დებულებისა" და თბილისის თვითმმართველობის დამკვიდრების საქმეში გაწეული დიდი წვლილისთვის კავკასიის მთავარი სამმართველოს უფროსს ბატონ ალექსანდრე ნიკოლაის გამოეცხადა მადლობა და ქალაქის სახელით გადაეცა დიპლომი თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ.

ბოლოს სამღვდელოებამ აკურთხა სათათბიროს ეს შემდგენლობა, თითოეულმა ხმოსანმა დაიფიცა სახარებასა და ჯვარზე.

პირველივე სხდომის შემდეგ კავკასიის მეფისნაცვალს მიღება გაუმართავს ქალაქის ახლად არჩეული სათათბიროსა და ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს მთელი შემადგენლობისთვის, რომელსაც მხარის გუბერნატორიც ესწრებოდა.

შემდეგ გამოვიდა მისი იმპერატორობითი უმაღლესობის კარის კამერგერის ჩინით აღჭურვილი, ნამდვილი "სტატსკი სოვეტნიკი," ქალაქის თავი, თავადი იასონ თუმანიშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა მეფისნაცვალს ქალაქისა და ქალაქელთა სახელით თბილისისთვის თვითმმართველობის მისანიჭებლად გაწეული ღვაწლისთვის.

ასე გამოვიდა სამოქმედო ასპარეზზე თბილისის თვითმმართველობა, რომელიც სულ უფრო დიდ როლს ასრულებდა თბილისელთა ცხოვრებაში.



# აფიშა

**5 ოქტომბერი**

თეატრი

**თეატრალური სარდაფი**
კლოდ მანიე
"ოსკარი"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 20.00

კინო

**"ამირანი"**

**დიდი დარბაზი**
"გორფილდი 2"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 18.00
"პატარა კაცი"
დასაწყისი: 16.00; 20.00; 22.00

**"რუსთაველი"**
"მსოფლიო სავაჭრო ცენტრი"
დასაწყისი: 14.30
"ჩემი ყოვლისშემძლე შეყვარებული"
დასაწყისი: 17.00;18.45;20.30;22.15

გალერეა

**"ქარვასლა"**
"მთელი ქალაქი"
გერმანიის უცხოეთთან ურთიერთობის ინსტიტუტის ფოტოგამოფენა

**"ჰობი"**
შერეული გამოფენა

**"ვერნისაჟი"**
თენგიზ და გიორგი მირზაშვილების გამოფენა

# "ჩვენებურები" საფრანგეთში

ეკა ჩიქვაიძე

უკვე სამი წელია ფესტივალი "ჩვენებურები" საშუალებას აძლევს უცხოეთში მოღვაწე ქართული სიმღერის მოყვარულებს, საქართველოში წარმოაჩინონ საკუთარი თავი.

წელს "ჩვენებურებში" საფრანგეთში მოღვაწე ქართულმა ანსამბლმა "ირინოლამ" მეორედ მიიღო მონაწილეობა. ანსამბლი, რომელიც ორი ქართველისა და ხუთი ფრანგისგან შედგება, საფრანგეთში მოღვაწე ფრენკ ქეინმა 1998 წელს ჩამოაყალიბა. ამჟამად ანსამბლს ხელმძღვანელი არ ჰყავს, ქართული სიმღერები კი საფრანგეთში ჩასულ ლოტბარებთან სტაჟირებით აქვთ შესწავლილი, კერძოდ, შალვა ჯაფარიძისგან, პოლიკარპე ხუბულავასგან, ლევან აბაშიძისგან...

ანსამბლ "ირინოლას" ერთ-ერთმა მონაწილემ იზაბელ ბოლინელმა (ამჟამად უკვე ქმრის გვარზე გადასულმა სეხნიაშვილმა), ქართული სიმღერები ძეგვის ბავშვთა თავშესაფარში მუშაობისას შეისწავლა: "ვუყურებდი, როგორ მღეროდნენ ბავშვები აღმზრდელებთან ერთად და ნელ-ნელა მეც ვსწავლობდი ქართულ სიმღერებს. რაც შეეხება ანსამბლში მოხვედრას, ეს სრულიად შემთხვევით მოხდა. ერთხელ ვახშამზე ქართულ ვაჟთა ანსამბლ "მარანთან" ერთად მოვხვდი. მათგან შევიტყვე, რომ რამდენიმე ქალბატონი ჯგუფის შექმნას აპირებდა. მეც სიამოვნებით შევუერთდი მათ.

წლევანდელი სიმპოზიუმით ძალიან კმაყოფილი ვარ. ბევრი ახალი სიმღერა შევისწავლე და ვაღიარებ, რომ ჩემს ყურებს ამდენი არასდროს უმუშავია".

ამჟამად ანსამბლი უკვე საფრანგეთში განაგრძობს მოღვაწეობას. შემოთავაზება კი ბევრია...

# ქეთი მელუამ წყალქვეშ კონცერტი გამართა



ორშაბათს ჩრდილოეთის ზღვის ფსკერზე, 300 მეტრ სიღრმეზე, ნავთობსაქაჩ პლატფორმა statoil troll-ზე ბრიტანეთის პოპულარულმა მომღერალმა ქეთი მელუამ კონცერტი გამართა.

გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამ ფაქტს შეიტანენ გინესის წიგნში, როგორც "ყველაზე წყალქვეშა კონცერტს".

კონცერტის დაწყებამდე ქეთის და მის მუსიკოსებს სრული სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდათ. მათ ასწავლეს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ავარიულ სიტუაციაში. მომღერლის თქმით, პლატფორმის ძირითადი ნაწილიდან შახტის ბოლომდე ისინი ცხრა წუთის განმავლობაში ჩადიოდნენ.

22 წლის ქეთი მელუა დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ პოპულარულ მომღერლად ითვლება. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ის გასტროლებზე იყო ამერიკაში.

ევროპის უდიდეს ზღვის პლატფორმაზე კონცერტს უყურებდნენ მენავთობეები და გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლები. დანარჩენ მსურველებს კი ნორვეგიულ ტელეარხ nrk-ზე შეეძლოთ მისი ყურება.

ქეთი მელუა ბათუმში, ქირურგ-კარდიოლოგის ოჯახში დაიბადა. როდესაც ქეთის ცხრა წელი შეუსრულდა, ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ირლანდიაში, სადაც მამამისმა ერთ-ერთ პრესტიჟულ საავადმყოფოში - "როიალ ვიქტორიაში" დაიწყო მუშაობა.

15 წლის ქეთი უკვე მრავალი მუსიკალური ფესტივალის გამარჯვებული იყო. ამიტომ მისი პროფესიული მიღწევები არავის გაჰკვირვებია.

ქეთი მელუას პირველი ალბომი Call Of The Search 2003 წლის ნოემბერში გამოვიდა და მაშინვე პირველი ადგილი დაიკავა ბრიტანულ ჰიტ-პარადებში.

მეორე ალბომი Piece By Piece, 2005 წლის სექტემბერში გამოვიდა და სულ მალე ბესტსელერად იქცა.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ- "საქართველოს განათლების სისტემაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის ფონდი "ირმის ნახტომი" აცხადებს ორეტაპიან ტენდერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ არაქართულენოვანი სკოლებისთვის გამოცემული ქართული ენის სახელმძღვანელო "თავთავის" მიხედვით **ქართული ენის დისტანციური სწავლების კურსის შექმნასა და დანერგვაზე**..

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.

ქართული ენის დისტანციური სწავლების კურსის შექმნა-დანერგვა უნდა მოიცავდეს:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ არაქართულენოვანი სკოლებისთვის გამოცემული ქართული ენის სახელმძღვანელო "თავთავის" მიხედვით ქართული ენის დისტანციური სწავლების კურსის შექმნას და მის დანერგვას-პილოტირებას საქართველოს არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის.
2. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:

ა) კლიენტ-სერვერული არქიტექტურა;
ბ) პლატფორმა - Apache, MySQL, PHP;
გ) ინტუიციური ინტერფეისი;
დ) მრავალენოვანი ინტერფეისების მხარდაჭერა.

ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და პირველადი სატენდერო წინადადებები (ღირებულების გარეშე) უნდა წარმოადგინონ დახურულ კონვერტებში სატენდერო მოსაკრებლის (ორასი ლარის) გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად ქართულ ენაზე 3 (სამ) ეგზემპლიარად (ერთი ორიგინალი და ორი ასლი), 2006 წლის 16 ოქტომბრის 12 საათამდე, მისამართზე: სსიპ ფონდი „ირმის ნახტომი", დ.უზნაძის ქ. №68, თბილისი, საქართველო. მესამე სართული, ოთახი №11.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს:

1. ქართული ენის დისტანციური სწავლების კურსის შექმნისა და დანერგვა-პილოტირების გეგმას.
2. დისტანციური სწავლების პროგრამულ უზრუნველყოფის ტექნიკურ პროექტს:

ა) სისტემის ძირითადი სერვისების აღწერა;
ბ) სისტემის არქიტექტურა;
გ) მონაცემთა ბაზების სტრუქტურა;
დ) სამომხმარებლო და ადმინისტრირების ინტერფეისების აღწერა;
ე) სისტემის გამოყენების დიაგრამები.

სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხულ უნდა იქნას:

- მიმღები: ერთიანი ანგარიში
- მომსახურე ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი
- ბანკის კოდი: 220101107
- ანგ. №200122900
- საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი: 302003000
- გადახდის დანიშნულება - სსიპ ფონდ "ირმის ნახტომის" მიერ გამოცხადებული ტენდერის მოსაკრებელი (ორგანიზაციული კოდი 0122).

დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას: როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:

- ინფორმაცია პრეტენდენტის ან პროექტში ჩართულ პირების მიერ გაწეული ანალოგიური ინტელექტუალური მომსახურებისა და განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ;
- პროექტში ჩართულ პირთა ბიოგრაფიები.

სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, საკონტაქტო ინფორმაციას, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელსა და გვარს;

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: სსიპ ფონდი „ირმის ნახტომი". თბილისი, დ.უზნაძის ქ. №68, მესამე სართული, ოთახი №11. ტელ: (995 32) 91-05-52. ელ.ფოსტა: info@dlf.ge www.dlf.ge ფონდ "ირმის ნახტომის" სატენდერო კომისია. საკონტაქტო პირი: ვასილ მარდალეიშვილი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს **საავაციო ბენზინის** შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი:302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**- ლოტი: 1 - სავიაციო ბენზინი** AV GAS 100LL - **100000 ლიტრი.**

3. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი და ან ქ. ქუთაისი.
4. მიწოდების ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ბოლომდე..
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 25 ოქტომბერის 10.00 საათიდან 12.30 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

ბ) ცნობა შესაბამისი უწყებიდან ,რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
8. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.
9. გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი 2% ოდენობით.
10. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.
11.. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 27-28-32.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს საერთაშორისო ტენდერს **ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების** შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი:302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**ლოტი: 1 -**ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალება - 100 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ოთხკარიანი სედანის ტიპის.
- საწვავის ხარჯი: ბენზინი. .
- ძრავის მოცულობა 1,8კ.ბ - 2,0 კბ.სმ.
- სიმძლავრე 100 - 120 ცხენის ძალა.
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი მექანიკური 5 წინა, 1 უკანა.
- გამოშვების წელი - 2006 წელი.

3. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი გ.გულუას N8.
4. მიწოდების ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ბოლომდე.
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 25 ოქტომბერის 10.00 საათიდან 12.00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;
ბ) ცნობა შესაბამისი უწყებიდან ,რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.
გ) ცნობა საგადასახოდან რომ ბიუჯეტის მიმართ არ გააჩნია დავალიანება.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
8. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.
9. გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი 2% ოდენობით.
10. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.
11.. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 27-28-32.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# სს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი" განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**სს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი" აცხადებს აუქციონს BRENT ტიპის 5500 მ/ტ +/-10% და URALS ტიპის 600 მ/ტ +/-10% გაყიდვასთან დაკავშირებით და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს.**

**1. აუქციონის ჩატარების პირობები**

**ა) სს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი" პოტენციურ მყიდველს სთავაზობს ნავთობის ხარისხის მაჩვენებლების შემდეგ მაქსიმალურ და მინიმალურ ზღვარს:**

**BRENT სიმკვრივე 200C-ზე 820-845 გრ/სმ³**
**გოგირდი მაქსმ. წონითი 0.3%**
**წყალი მაქსმ. 1%**

**URALS სიმკვრივე 200C-ზე 900-920 გრ/სმ3**
**გოგირდი მაქსმ. წონითი 0.6%**
**წყალი მაქსმ. 2,8%**

**ბ) მიწოდების პირობები - FCA (სადგური ვაზიანი BRENT; სადგური სუფსა URALS)**

**2. დოკუმენტაცია, რომელიც უნდა წარმოადგინოს პოტენციურმა მყიდველმა**
**ა) ინფორმაცია კომპანიის მიერ ანალოგიურ საქმიანობაში გამოცდილების შესახებ;**

**ბ) დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლის განხილვის შედეგად სს "საქნავთობი" დარწმუნდება, რომ მყიდველს აქვს შესაძლებლობა უსაფრთხოდ უზრუნველყოს შეძენილი ნავთობის გადაზიდვა.**
**გ) მოლაპარაკების წარმოების დაზღვევის საბანკო გარანტია 50000 აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც მყიდველს დაუბრუნდება გაყიდვის პროცესის დასრულების შემდგომ.**

**3. გადახდის პირობა**
**წინასწარი გადახდა**

**4. სხვა პირობები**

**აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 12 ოქტომბერს, 18 საათზე სს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობის" ოფისში.**

**მინიმალური პარტია 3000 მ/ტ**
**აუქციონის ჩატარების შესახებ წინამდებარე განცხადების პირობებით დაინტერესებულმა კომპანიებმა დამატებითი ინფორმაციის მისაღებად უნდა მიმართონ სს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობის" კომერციულ დეპარტამენტს შემდეგ მისამართზე:**

**საქართველო,**
**თბილისი 0175,**
**მ. კოსტავას N65.**
**საკონტაქტო პირები: რეზო გორდელაძე, ბესო ჯაჯანიძე.**
**ტელ/ფაქსი: (995 32) 333133**
**ელექტრონული ფოსტა:**
**rg.noc@saknavtobi.ge**
**ma.noc@saknavtobi.ge**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს ღია ტენდერს მზომი ხელსაწყოების შეძენაზე (2 ლოტი)

| № | მოსაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების სასურველი ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | ვოლტამპერფაზომეტრი "Парма ВАФ-А» ან ექვივალენტური | 2 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 2 | ტექნიკური სიხშირის გენერატორი ან ექვივალენტური | 3 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 3 | მეგაომმეტრი ЭСО 210/3-Г ან ექვივალენტური | 3 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 4 | მრავალფუნქციური ვამეტრი FW96-1 ან ექვივალენტური | 3 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 5 | სარელეო დაცვის მარტივი რელეების შესამოწმებელი უნივერსალური პორტატული ხელსაწყო РЕТОМ-11 ან ექვივალენტური | 1 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |

ლოტი №2

| № | ტექნიკური პარამეტრები | რაოდენობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების სასურველი დრო |
|---|---|---|---|---|
| 1 | სიხშირმზომი(ტელემეტრია) | 10 | ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 2 | ვოლტმეტრი(ტელემეტრია) | 25 | ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 3 | ვარმეტრი ტელემეტრია | 10 | ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 4 | ვატმეტრი(ტელემეტრია) | 100 | ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |

საქონლის მოწოდების სასურველი ვადა არის შემსყიდველის მოთხოვნიდან 40 დღის განმავლობაში. ანაზღაურება მოხდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში.

ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2, დაფინანსების წყარო ---- საზოგადოების სახსრები.

ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 ოქტომბრის 12:00 საათამდე (თბილისის დროით), ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2006 წლის 20 ოქტომბრის 12:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა --- მე-4 სართული

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან,
2. ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
3. ცნობა სასამართლოდან ან/და საგადასახადო ინსპექციიდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან სანაციის საქმის წარმოების პროცესი, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)

ფიზიკური პირებისათვის

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი; საკონტაქტო რეკვიზიტები,
2. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

საქართველოში არ რეგისტრირებულმა პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ მათ ქვეყანაში არსებული შესაბამისი ორგანოებიდან.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით:

პრეტენდენტის დასახელება, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სატენდერო კომისიას. ტენდერი N T 0906 G 0234

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე:

ტელ: +995 989816; ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. N2. შესყიდვების სამსახური.

# ცისარტყელას იქით სამშობლოა

### "ჩვენებურები" მომავალ წელს თურქეთში ჩატარდება

ია ვეკუა



წევანდელი "ჩვენებურები" თურქეთის ქართველობისთვის მალე იმ ზღაპარივით იქცევა, რომელშიც თაობებს მოუთხრობენ, როგორ დაბრუნდა ერთ-ერთი მათგანი შორეულ სამშობლოში. გუშინ საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე შეემატა - მამია დუმბაძე - თურქეთის ქალაქ ინეგოლის ქართველობის წარმომადგენელი და ბავშვთა ანსამბლის ხელმძღვანელი. საქართველოს პრეზიდენტმა მას ფესტივალის დასკვნით კონცერტზე პირდაპირ სცენაზე გადასცა იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ ამიერიდან მამია დუმბაძე ორმაგ მოქალაქეობას ატარებს და ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქეობაა.

საერთაშორისო ფესტივალი "ჩვენებურები", რომელიც თბილისში 30 სექტემბრიდან მიმდინარეობდა, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საზეიმოდ დაიხურა. მასში ფესტივალის ყველა მონაწილე კოლექტივი და ადგილობრივი ფოლკლორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ეს იყო წლის ყველაზე სევდიანი და ნოსტალგიური წარმოდგენა. სამშობლოდან შორს მცხოვრები ეთნიკური ქართველები აქაურებს საქართველოს სიყვარულში ეჯიბრებოდნენ. გამარჯვების ქულა აშკარად მათ ეკუთვნოდათ - ადამიანებს, რომელთა უმეტესობა პირველად იყო ისტორიულ მიწაზე, ალბათ ყველაზე მეტად უყვარდათ ამ ოთხ დღეში მოქცეული სამშობლო.

წელს "ჩვენებურები" მესამედ გაიმართა. შარშანდელისგან განსხვავებით, შედარებით ნაკლები მონაწილე ჩამოვიდა, თუმცა მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ექვსი ქვეყნის დელეგაციაში არ იყვნენ ეთნიკურად ქართველი წევრები. კორეელებმა, ესტონელებმა, ჰოლანდიელებმა, ბერძნებმა და სხვებმა ქართული სიმღერები, მათ შორის, მრავალხმიანი ფოლკლორის ნიმუშები შეასრულეს.

ბერძნულმა ტრიომ თავს იმის უფლებაც კი მისცა, რომ "მრავალჟამიერი" ემღერა, თუმცა მათი ხმა მალევე გადაფარა ქუთაისის მომღერალთა ანსამბლმა. ჰოლანდიელმა ლია დე ჰაასმა ჰოლანდიის ქართული დიასპორის ბავშვებთან ერთად ჩაწერილი სიმღერა წარმოადგინა, ხოლო კორეელთა ანსამბლმა "სეჯონგ სინგერმა" ესტონელთა ტრიოსთან და საფრანგეთიდან ჩამოსულ ქართველებთან ერთად "სულიკო" იმღერა.

აქვე იყო მოსკოვში 1957 წელს დაარსებული ანსამბლის "კოლხიდას" სამი წარმომადგენელიც. ეს ანსამბლი საბჭოთა კავშირის პერიოდიდან არის ცნობილი. წელს "კოლხიდამ" საქართველოში სამი წარმომადგენელი გამოგზავნა - კატია პონამარიოვა, ოლია კრიტკოვა და დათო ფორჩხიძე. ეს უკანასკნელი წარმოშობით გალიდანაა და რვაწლიანი განშორების შემდეგ პირველად იყო სამშობლოში.

საინტერესო იყო საინგილოდან ჩამოსული ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლის გამოსვლა. ინგილო გოგონების მიერ წარმოდგენილი უძველესი, თითქმის ავთენტიკური ცეკვა ბევრმა პირველად იხილა. მათგან განსხვავებით, პირველი არ იყო ფერეიდნელი ქართველების გამოსვლა. ანსამბლმა, რომელიც არაპროფესიონალებითაა დაკომპლექტებული, შარშანდელის მსგავსად, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მათ კიდევ ერთხელ გვიმღერეს, რომ საქართველო თითოეული ფერეიდნელისთვის საოცნებო და ზღაპრული ქვეყანაა, სადაც მხოლოდ ცისარტყელას ქვეშ გავლით თუ მოხვდები.

ეს ორი წელია ფერეიდნელებისთვის ცისარტყელას როლს ფესტივალი ასრულებს.

"ჩვენებურები" 30 სექტემბერს ვაკის პარკში საზეიმოდ გაიხსნა. კონცერტზე ფესტივალის ყველა მონაწილე კოლექტივი მღეროდა და ცეკვავდა. წინა დღეს კი ქარვასლამ მეტად საინტერესო გამოფენას უმასპინძლა. საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავებში დაცულმა საუკუნის წინანდელმა ფოტოებმა, რომლებზეც საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველები არიან გამოსახულნი, დიდი ინტერესი გამოიწვია, განსაკუთრებით ჩამოსულ ჩვენებურებში, რომლებიც ამ ფოტოებში საკუთარი წინაპრების ამოცნობას ცდილობდნენ.

ფოტოგამოფენის პარალელურად იქვე ფერეიდნელი რეზო რაჰიმის (რამიშვილის) მიერ გამოყვანილი მცენარეების გამოფენა მიმდინარეობდა. ორი დღის შემდეგ კი გაიმართა თურქეთში მცხოვრები ფაჰრეთინ ჩილოღლუს (ფარნა ჭილაძე) წიგნის პრეზენტაცია, რომელშიც საქართველოს თემატიკაზე შექმნილი მოთხრობები და ქართულ ენაზე დაწერილი ლექსებია თავმოყრილი.

როგორც ფესტივალ "ჩვენებურების" ორგანიზატორები გვპირდებიან, მომავალ წელს ეს პროექტი უფრო გაფართოვდება და შესაძლოა თურქეთშიც ჩატარდეს.

## გლაზგო ტურისტებისთვის საუკეთესო ქალაქად გამოცხადდა



შოტლანდიური ქალაქი გლაზგო დიდ ბრიტანეთში აღიარებული იქნა საუკეთესო ტურისტული ღირშესანიშნაობების ქალაქად. ასეთია ყოველწლიური გამოკითხვის შედეგები, რომელიც ჩაატარა გავლენიანმა ჟურნალმა Conde Nast Traveller-მა. ჟურნალის მკითხველებმა აღნიშნეს აქტიური ღამის ცხოვრება, სასტუმრო ქსელების განვითარება და გლაზგოს მცხოვრებლების კეთილგანწყობა. "დიდი ბრიტანეთის საუკეთესო ქალაქების სიაში" პირველ ადგილზე მყოფმა ლონდონმა მესამეზე გადაინაცვლა, ხოლო მას წინ გაასწრო ედინბურგმა. დიდი ბრიტანეთის საზღვრებს გარეთ მყოფ ქალაქებს შორის უმაღლესი ქულა 2006 წელს დაიმსახურა რომმა, ხოლო იტალია Conde Nast Traveller-ის მკითხველებმა აღიარეს დასასვენებლად საუკეთესო ქვეყანად. 2005 წლის რეიტინგის ლიდერები იყვნენ ნიუ ორკი და ახალი ზელანდია.

## ჯეკი ჩანი პორნოფილმებში



ჯეკი ჩანი გამოტყდა, რომ 31 წლის წინ მონაწილეობა მიიღო პორნოგრაფიულ ფილმში. "ყველა ოჯახში" ჰქვია იმ პორნოგრაფიულ ფილმს, სადაც ვმონაწილეობდი", - იხსენებს 52 წლის მსახიობი.

მისი სიტყვებით, ასეთ ფილმში მონაწილეობის მიღება მოუხდა მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი არსებობა შეეცნო და დაამატა, რომ მე-20 საუკუნის 70-ან წლებში პორნოფილმები უფრო კონსერვატული ხასიათის იყო, ვიდრე ახლა.

ფილმი ჯეკი ჩანის მონაწილეობით პოპულარული იყო ბევრ ქვეყანაში, მაგრამ ამერიკაში პოპულარობის მოპოვება მხოლოდ 1998 წელს შეძლო, როდესაც ეკრანებზე გამოვიდა ფილმი "პიკის საათი". ამასთანავე იგი მონაწილეობდა კიდევ ორ ფილმში "პანდა კუნ-ფუ" და პიკის საათი-3".

ჯეკი ჩანი ჰონკონგში 1954 წელს დაიბადა, მშობლებმა მას ჩან კონგსანი დაარქვეს. მან ჩინეთის დრამის აკადემია დაამთავრა და გადაწყვეტილი ჰქონდა ოპერის მომღერალი გამხდარიყო, მაგრამ ამ დროისათვის ოპერის პოპულარობა დაღმა დაეშვა.

ჩანმა ბევრი საქმე მოსინჯა, გარკვეული დროის განმავლობაში ავსტრალიაშიც ცხოვრობდა და 1976 წელს დაბრუნდა ჰონკონგში მხოლოდ იმიტომ, რომ კინოს გადაღებებში მიეღო მონაწილეობა.

# საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება" საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ინფორმაცია

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ვაქვეყნებთ 2006 წლის 6 სექტემბერს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ღია ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტების და ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით შესყიდული საქონლის მიმწოდებლების სიას**

| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | ლოტი № | შესასყიდი საქონლის დასახელება | განზ. | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| ღია ტენდერი | | | | | | | |
| დამატებითი სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები | | | | | | | |
| შპს "იბერია | ლოტი №1 | საქართველოს სასაზღვრო პოლიციის №6 რეგ. სამმ. (ლაგოდეხი) მიმდებარე მშენებლობაზე დამატებითი სამშენებლო სამუშაოების შესრულება | | | | 126047.60 | |
| სს სამშენებლო კომპანია "თბილისი" | ლოტი №2 | საქართველოს სასაზღვრო პოლიციის №5 რეგ. სამმ. (დედოფლისწყარო) მიმდებარე მშენებლობაზე დამატებითი სამშენებლო სამუშაოების შესრულება | | | | 29031 | |
| სს სამშენებლო კომპანია "თბილისი | ლოტი №3 | საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სწრაფი რეაგირების რაზმის შენობა-ნაგებობების კაპიტალური სარემონტო სამუშაოები | | | | 1059393 | |

| ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდით შესყიდული საქონელი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| შპს "ჯეო-შტურმი" | | გოროტექსის საველე ფორმა (შარვალი და ქურთუკი) | კომპ | 382 | 310 | 118420 | |
| | | ზაფხულის საველე ფორმა (შარვალი და ქურთუკი) | კომპ | 300 | 120 | 36000 | |
| | | კეპი (რიპ-სტოპი) | კომპ | 300 | 16 | 4800 | |
| | | ქუდი ნაქსოვი (პოლარტეკ) | ც | 300 | 26 | 7800 | |
| | | ფეხსაცმელი მაღალყელიანი | ც | 300 | 115 | 34500 | |
| | | საბრძოლო ჟილეტი | წყ | 300 | 100 | 30000 | |
| | | ზურგჩანთა (დაზგასთან ერთად. 55 ლიტრი) | ც | 300 | 120 | 36000 | |
| | | პარალონი | ც | 300 | 35 | 10500 | |
| | | საძილე ტომარა (დაბალ ტემპერატ.) | ც | 301 | 80 | 24080 | |
| | | კარავი ორკაციანი | ც | 100 | 130 | 13000 | |
| | | ქურთუკი თბილი (პოლარტეკი. 200 მარკა) | ც | 300 | 90 | 27000 | |
| | | საწვიმარი ლაბადა (გარეზინებული რიპ-სტოპი) | ც | 300 | 50 | 15000 | |
| | | გოროტექსის შიდა სათბუნებელი (ოფლშემწოვი 100 მარკა) | ც | 300 | 60 | 18000 | |
| | | სათვალე ქარის | ც | 300 | 60 | 18000 | |
| | | ხელთათმანი თბილი | ც | 300 | 21 | 6300 | |
| | | ხელთათმანი ტყავნარევი | წყ | 300 | 60 | 18000 | |
| | | ფანარი | წყ | 300 | 20 | 6000 | |
| | | დანა (სამეურნეო) | ც | 300 | 50 | 15000 | |
| სულ | | | | | | 438400 | |
| შპს "ბი & ეიჩ სსბიაი" | | გოროტექსის ან გეპლექსის საველე ფორმა (შარვალი, ქურთუკი და კეპი) | კომპ | 300 | 280 | 84000 | |
| | | სვიტრი თბილი (პოლარტეკი. 200 მარკა) | ც | 300 | 90 | 27000 | |
| | | ფეხსაცმელი მაღალყელიანი | წყ | 300 | 110 | 33000 | |
| | | მათარა შალითით | ც | 300 | 10 | 3000 | |
| | | ქამარი წელის | ც | 300 | 15 | 4500 | |
| | | ქამარი შარვლის | ც | 300 | 7 | 2100 | |
| სულ | | | | | | 153600 | |

# განჩინება

### 13 სექტემბერი 2006 წელი ქ. ქუთაისი

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ანა ღელეყვამ, რაჟდენ კუპრაშვილის მდივნობით, განმცხადებლის დავით დავითულიანის, სს "ქუთბარიტი"-ს დირექტორის სერგო ცაგარეიშვილის, ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენლის ტარიელ კოპალიანის მონაწილეობით ღია სასამართლო სხდომაზე განვიხილე სს "ქუთბარიტი"-ს გენერალური დირექტორის დავით დავითულიანის განცხადება სს "ქუთბარიტი"-ს მიმართ გაკოტრების საქმის გახსნის წარმოების შესახებ.

დავადგინე:

1. სს "ქუთბარიტი"-ს მიმართ გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება.

2. მოვალე სს "ქუთბარიტ"-ს აეკრძალოს თავისი ქონების განკარგვისა და მართვის უფლება.

3. გაკოტრების მმართველად დაინიშნოს დავით დავითულიანი, დაბ. 1951 წლის 19 მაისს ქ. ქუთაისში, უმაღლესი განათლებით, სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსი, მცხოვრები ქ. ქუთაისში, ბაზაძის ქ. №19-ში.

4. გაკოტრების მმართველმა დაუყოვნებლივ მიიღოს მმართველობაში გაკოტრების მასა სს "ქუთბარიტი"-ს ქონება და კეთილსინდისიერად მართოს და განკარგოს იგი.

5. მოვალე სს "ქუთბარიტი"-ს ყველა კრედიტორმა ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში წარუდგინოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (ქ. ქუთაისი, ნიუპორტის ქ. №32) თავიანთი მოთხოვნები შესაბამის ვალუტაში თანხისა და ვალის საფუძვლის ჩვენებით. ვადის გასვლის შემთხვევაში განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.

6. ყველა იმ პირმა, რომელსაც სს "ქუთბარიტი"-ს ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში განაცხადონ გაკოტრების მმართველთან ამ უფლების შესახებ, ქ. ქუთაისი ნიკეას ქ. №21.

7. ყველა ის პირი, რომელიც ფლობს სს "ქუთბარიტი"-ს ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია მოვალის მიმართ რაიმის შესრულებაზე, აეკრძალოს ნივთის დაბრუნება ან ვალდებულების შესრულება და დაევალოს შესრულება მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიმართ.

8. სს "ქუთბარიტი"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება გაიხსნას 2006 წლის 13 სექტემბრის დღის 14 საათიდან.

9. 2006 წლის 18 ოქტომბერს 14 საათზე მოწვეულ იქნას ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სხდომათა დარბაზში, მესამე სართულზე, კრედიტორთა პირველი კრება. კრებაზე შემოწმდება კრედიტორთა მოთხოვნები, აგრეთვე მოსმენილი იქნება გაკოტრების მმართველის მოხსენება ვალაუვალი მოვალის, სს "ქუთბარიტი"-ს გადახდის უუნარობის წარმოშობის მიზეზების, არსებული მდგომარეობის და კრედიტორთა პირველ კრებამზე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

10. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ ეცნობოს ყველა იმ ბანკს, რომელთანაც სს "ქუთბარიტ"-ს აქვს საქმიანი ურთიერთობა.

11. განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილი გამოქვეყნდეს პრესაში, აგრეთვე სასამართლოს დაფაზე.

12. განჩინება გაეგზავნოს კავშირგაბმულობის განყოფილებას.

13. სს "ქუთბარიტი"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ მონაცემები შეტანილი იქნას სამეწარმეო რეესტრში, რის შესახებაც ეცნობოს მარეგისტრირებელ ორგანოს.

14. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა მხარეთათვის განჩინების ჩაბარებიდან 12 დღის ვადაში.

მოსამართლე ანა ღელეყვა



დავით კოვზირიძის სვეტი

# მაზალო ზაგალო

რონალდინიო ბურთს ვეღარ აჩერებს, აღარც პასი გამოსდის, აღარც ფინტი, შარშანდელივით სწრაფად ვეღარ დარბის, დაცვაში მუშაობაც ეზარება უკვე, ჯარიმები ძველებურად არ უვარგა და ხელების შლაც დაიწყო პრეტენზიული სახით. მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებიდან დღემდე ეს ფეხბურთალი საკუთარ თავს აღარ ჰგავს, რაც ჯერ ბრაზილიის ნაკრებს დაეტყო და მერე "ბარსელონას".

ბრაზილიას ფორმიდან ამოვარდნილი რონალდინიო კი დაეტყო, მაგრამ ეს იყო ჩემპიონების წარუმატებლობის მთავარი მიზეზი? იქნებ პირიქით, აუწყობელმა ბრაზილიურმა სისტემამ შეიწირა როგორც რონალდინიო, ისე სხვა ვარსკვლავები, რომელთა სწორ დიფუზიას, წესით, წინ ვერავინ ვერ უნდა დადგომოდა.

შესარჩევ ციკლში კარლოს ალბერტო პარეირამ, რომელსაც ტრადიციული ბრაზილიური პრობლემა - მაღალი ხარისხის მოწაფეთა სიმრავლე - აწუხებდა, უამრავ ექსპერიმენტს მიმართა. ცვლიდა შემადგენლობას, სტრატეგიას, განლაგებას, ეძებდა იდეალურ კომბინაციას და ვინაიდან მთელ ამ პროცესში პარეირას ფილოსოფიის დედააზრი იყო შეტევა, სილაღე, წმინდა წყლის ბრაზილიური სტილი, გუნდიც ზღაპრულად თამაშობდა და ირგვლივაც ყველა კმაყოფილი ჩანდა.

პარეირა ისე შორს წავიდა, რომ ბოლოდროინდელ ინტერვიუებში სულ ამბობდა, არ ვიცი, რამდენი ფორვარდით ვითამაშო, სამით, ოთხით თუ ხუთითო. ერთი ხანობა იმაზეც დაიწყო ლაპარაკი, რომ შექმნა სრულიად ახალი სქემა 4-6, სადაც ოთხი მცველი და ექვსი შეტევაზე ორიენტირებული ფეხბურთელი იქნება, ოღონდ ამ სიქსტეტის შემადგენლობამ მუდმივად უნდა ცვალოს ადგილები: ვთქვათ, კაკა ხან გამთამაშებელი იქნება, ხან მარჯვენა გარემარბი და ხანაც ცენტრფორვარდი. ზუსტად არ მახსოვს, ვისთან და როდის, მაგრამ პარეირამ ეს სიახლე პრაქტიკულად განახორციელა და ის თამაში 5:0, სულ ცეკვა-ცეკვით მოიგო.

2006 წლის ივნისამდე ბრაზილიის ეროვნული გუნდი, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, მართლა კოსმოსურ ფეხბურთს თამაშობდა და მას სულ უფრო ხშირად ადარებდნენ 1970 წლის ფორმაციის ნაკრებს, რომელიც, სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, საუკეთესო გუნდია ფეხბურთის ისტორიაში. მეტიც, ზოგს ახალი ნაკრები ულაპარაკოდ ერჩივნა და ამ "ზოგის" რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა 2005 წლის მოულოდნელად სოლიდური კონფედერაციათა თასის შემდეგ, როცა ბრაზილიამ ფინალში არგენტინას 4:1 მოუგო.

შესაბამისად, ჩამოყალიბდა აზრი, რომ პარეირას შემოქმედება გერმანიაში უკონკურენტო იქნება. ვინც ასე არ ფიქრობდა, ამტკიცებდა, რომ კი, ბრაზილია დიდებულად ითამაშებს და ყველას მოეწონება, მაგრამ განმეორდება ის, რაც 1982 წელს მოხდა. რადიკალური, ტოტალიზატორთა მაფიის არსებობის მომხრე გულშემატკივრები კი ირწმუნებოდნენ, რომ საბუკმეკერო დაწესებულებებში ბრაზილია ისე დაიგრუზება, შანსი არაა, ჩემპიონი გახდესო.

ერთი სიტყვით, გერმანიამდე უამრავი მოსაზრება იშვა, მაგრამ აზრად არავის მოსვლია ის, რაც მოხდა. რა მოხდა? ბრაზილიამ ყველაზე ცუდი ფეხბურთი ითამაშა არსებობის განმავლობაში. რატომ? ამ კითხვაზე ცოტა ვრცლად უნდა ვუპასუხოთ.

უპირველესი მიზეზი არის ის, რომ რაც კი პარეირამ წლების განმავლობაში აკეთა, ჩემპიონატის წინა შეკრებაზე ხელის ერთი მოსმით წყალში გადაყარა და გადაწყვიტა იმ მეთოდებით გასულიყო ფონს, რის ხარჯზეც 1994 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა. **პარეირას შეეშინდა**. შეეშინდა მთავარ გამოცდაზე წარმატებული ექსპერიმენტების გამოყენებისა და მაგრადაც მიქარა. რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ამ შიშისა და ზედმეტი სიფრთხილის აგიტატორი და შემოქმედი არა პარეირა, არამედ მარიო ზაგალო იყო.

საბოლოოდ ბრაზილიის ნაკრები დაემსგავსა არა 1970 ან 1982 წლის, არამედ 1994-ის წინამორბედს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ 12 წლის წინანდელი მშრალი გუნდი ჩემპიონი გახდა, ახლანდელი კი სტატისტიკურადაც უვარგისი გამოდგა. ეს იმიტომ, რომ მაშინ პარეირას მიზანი სწორედ ისეთი ნაკრების შექმნა იყო, ამ მიმართულებით მუშაობდა წლების განმავლობაში. ხოლო ამჯერად ის ცდილობდა მზეთუნახავის გამოძერწვას, ამას მიუძღვნა ბოლო სამი წელიწადი და საბოლოოდ, ორ კვირაში, ურჩხული გამოიყვანა. პარეირა უაზროდ და უდროოდ დაუბრუნდა წარსულს.

ამან მთლიანად არია დალაგებული და უკვე სხვა ფეხბურთის თამაშს მიჩვეული გუნდი. რამდენიმე დღეში მკვეთრად შეტევაზე ორიენტირებული ნაკრები გადაკეთდა დაცვაზე მიყურადებულ, უეშხო 4-4-2-ად. აორთქლდა თავისუფლება და ყველაფერი ჩარჩოებში მოექცა.

ამის ლოგიკური გაგრძელება იყო შეცდომები საკადრო კუთხით. პარეირა კაფუს და რობერტო კარლოსს ენდო, არადა, უფრო კარგი შემსრულებლები ჰყავდა. წინ ორი ერთნაირი, მძიმე ფორვარდი დააყენა, რამაც საგრძნობლად შეამცირა თავდასხმის პროდუქტიულობა. სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდნენ რობინიო, რომელიც ბრაზილიას ძალიან უხდება და ჟუნინიო პერნამბუკანო, ნებისმიერ დროს და ნებისმერი წერტილიდან გოლის გამტანი კაცი. გარდა ამისა, პარეირამ შეზღუდა რონალდინიო - უკან დახია და მარცხენა ფრთას მიაწება.

შედეგად გამოვიდა ის, რაც გამოვიდა. შეიძლება არსებობს წარუმატებლობის სხვა მიზეზებიც, მაგრამ მთავარი მაინც მარიო ზაგალოს სიბერე მგონია.

*მომავალ სამშაბათამდე*

# ფინალში "ავიამშენი" და "აზოტი" ითამაშებენ

დასრულდა დუდუ დადიანის სახელობის ტურნირის ჯგუფური ეტაპი. გუშინ ჯგუფური ტურნირის მესამე მატჩები გაიმართა. მოულოდნელობა არც ამჯერად დაფიქსირებულა. ფავორიტებმა იოლად გაიმარჯვეს.

"ავიამშენმა" და "აზოტმა" მესამე მატჩებიც მოიგეს და ერთმანეთს ფინალში დაუპირისპირდებიან. მესამე ადგილისთვის "დინამო" თსუ-ს უნდა ეთამაშოს, მეხუთე ადგილის ბედი კი "მაკაბისა" და სტუ-ს შეხვედრაში გაირკვევა.

**აზოტი - თსუ 83:72**
**მაკაბი - სოხუმი 86:64**
**ავიამშენი - სტუ 100:59**

# განცხადება

8 სექტემბერი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საოფისე და სამოსწავლო ავეჯის შეძენაზე ჩატარებულ ტენდერში, 1 ლოტში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. "ჩუქურთმა
"

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**სატენდერო კომისია**

# შერეკილები გაფრინდნენ

პირველი გვერდიდან



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

აბა, დოლ-გარმონის გარეშე როგორ გაფრინდებოდნენ?! ჩემპიონატის ორგანიზატორებმა მონასტრის მიმდებარე ტერიტორია ლენტებით შემოზღუდეს. დაცულ მინდორზე კი ცნობისმოყვარეთა ალყაში მოქცეული ჰაერნაოსნები აეროსტატებს ასაფრენად ამზადებდნენ.

"ბედნიერები ვართ, რომ აქ ხართ, - ჩემპიონატის მონაწილეებს ინგლისურად მიესალმა საქართველოს ჰაერნაოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი რევაზ უთურგაური, - საქართველოს ძველ დედაქალაქში, უძველეს მიწაზე დაიწყო საქართველოს ღია ჩემპიონატი. ჩვენ ახლა ვდგამთ პირველ ნაბიჯებს".

მანამდე ექსტრემალებს პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში ვასილ მაღლაფერიძე მიესალმა და იქვე ამცნო, საუკეთესო ეკიპაჟისთვის ჯილდოდ "ვეფხისტყაოსანი" გვაქვსო.

ღია ჩემპიონატის თაოსანმა და მასპინძელმა პირველად რუსთა გუნდი წარმოგვიდგინა.

რუსებს უკრაინელთა, ბრიტანელთა, იაპონელთა, ჩეხთა და ქართველი ჰაერნაოსნების წარდგენა მოყვა. "გმადლობთ, რომ მხარი დაუჭირეთ ჩვენს წამოწყებას. გმადლობთ, რომ დიდი გზა გამოიარეთ და ჩამოხვედით".

საქართველოს ღია ჩემპიონატზე არაბეთის გაერთიანებული სახალიფოდანაც ელოდნენ, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო მათი ქართულ მიწაზე დაშვება არ მოხერხდა, რუსებს კი, როგორც გვითხრეს, პრინციპულობა გამოუჩინიათ და საქართველოში ჩამოსვლაზე უარი არ უთქვამთ. თუმცა, თბილისში და შემდეგ მცხეთაში ჩამოსასვლელად გზა გაიმრუდეს. უფრო სწორად, გაუმრუდეს. ვინ? ვფიქრობ, უკვე იცით.

რუსთა ეკიპაჟი ერევანში ჩაფრინდა, იქიდან კი ჩემპიონატის მასპინძლებმა ჩარტერული რეისით თბილისში გადმოაფრინეს.

სანახაობა მართლა მაგარი. ჯერ გონდოლები აღკაზმეს. რამდენჯერმე შესახურებლად ცეცხლის ჭავლი გაუშვეს. მერე ტომრებიდან საფრენი ბურთები გადმოშალეს, სიგრძეზე გაშალეს და შიგ პროპელერის მეშვეობით ჰაერი შეუშვეს. პარალელურად ცეცხლის ჭავლსაც უშვებდნენ. ამასობაში ბურთები ფეხზე წამოდგნენ, გაიმართნენ. გონდოლებმა აქეთ-იქით ტორტმანი დაიწყეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ საჰაერო ბურთები გასაფრენ კონდიციამდე იყო მიყვანილი. სულ 12 ბურთი. პირველი, ვინც "ფრთები გაშალა", ქართველ ნაოსანთა სითბური აეროსტატი იყო, სახელად "ლომი". "ლომს" გზადაგზა სხვა ეკიპაჟებიც აჰყვნენ. ფერადი საჰაერო ბურთები მძიმედ და ტაატით მიიწევდნენ ზევით. დაახლოებით ერთ საათში ცაზე წერტილებივით ჩანდნენ, მერე კი მთებს მიეფარნენ და გაუჩინარდნენ - ნატახტრისკენ გაფრინდნენ.

ასპარეზობა გუშინ არ დაწყებულა. ეს, უბრალოდ, ჩემპიონატის გახსნის საზეიმო, საჩვენებელი გაფრენა გახლდათ. ასპარეზობა კი დღეს დილაუთენია დაიწყო.

და კიდევ. ჩემპიონატის მონაწილე თითოეული წევრი მსოფლიო რეკორდსმენი, საკუთარი ქვეყნის ჩემპიონი ან ეროვნული ნაკრების კაპიტანია. მათ შორის, ინგლისელი ფილ დანინგტონი 86-გზის მსოფლიო რეკორდსმენია, რუსი სტანისლავ ფიოდოროვი კი - შვიდგზის.

საქართველო ორი გუნდით იასპარეზებს. შეჯიბრება ჩატარდება ქართლის ველზე. საქართველოს ღია ჩემპიონატის მასპინძელიც და თაოსანიც საქართველოს ჰაერნაოსნობის ეროვნული ფედერაციაა.

აბა, თქვი, აბი გლუკოზა... ჰაერნაოსნობაში საქართველოს პირველი ღია ჩემპიონატი დაიწყო.

# ბლოხინი არასდროს წუწუნებს

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში, ჯგუფი, რომელშიც საქართველოსთან ერთად საბერძნეთის, უკრაინის, თურქეთისა და დანიის ეროვნული ნაკრები გუნდები გამოდიოდნენ, "სიკვდილის ქვეჯგუფის" სახელით მოინათლა და საკმაოდ სამართლიანადაც. მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ერთბაშად ოთხი გუნდი იბრძოდა, რომლებსაც საქართველოს ნაკრებმა ჯეროვანი კონკურენცია ვერ გაუწია. ჩვენმა მეგობარმა უკრაინამ კი არათუ წარმატებით დაძლია ეს საკვალიფიკაციო ბარიერი, არამედ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც ბრწყინვალედ იასპარეზა - მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა და მხოლოდ მომავალ მსოფლიო ჩემპიონთან, იტალიასთან დამარცხდა. საქართველო და უკრაინა კვლავაც ერთად არიან, თან როგორ კომპანიაში - მსოფლიო ჩემპიონატის ორ ფინალისტთან - საფრანგეთთან და იტალიასთან ერთად. ასე რომ, ჩვენმა შესარჩევმა ქვეჯგუფმა "სიკვდილის ჯგუფის" მეტსახელი დამსახურებულად შეინარჩუნა.

უკრაინამ ამ ჯგუფშიც დამაჯერებელი სტარტი აიღო, თუმცა, არცთუ დამაჯერებელი თამაშის ფონზე. პირველ მატჩში ბლოხინის გუნდმა საქართველოს ნაკრები 3:2 დაამარცხა, თუმცა თამაშის მსვლელობაში 1:2-ს აგებდა. ახლა უკრაინის ნაკრებს სერიოზული მატჩი ელის - 7 ოქტომბერს იტალიას სტუმრობს. ამ თამაშის მეორე დღეს იტალიელები საქართველოში გამოემგზავრებიან და მსოფლიო ჩემპიონებთან მატჩი თბილისში 11 ოქტომბერს გველის. საინტერესოა, რას ფიქრობს მომავალ თამაშებზე უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, რომელსაც იტალიური ვოიაჟის წინ ბევრი პრობლემა დაუგროვდა. უკრაინელებს ტრავმირებული ჰყავთ ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი - ფედოროვი, ვაშჩუკი, რებროვი და როტანი. დანარჩენებიდან უმეტესობა არცთუ ოპტიმალურ სპორტულ ფორმაშია. ბლოხინი მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი. როგორც ჩანს, სირთულეები მას ენერგიას მატებს, რაც ინტერვიუშიც ნათლად გამოჩნდა.

- არც ერთ სიტუაციაში არ ვწუწუნებ. საკადრო თვალსაზრისით გარკვეული პრობლემები დაგვიგროვდა. საკმაოდ ძნელი იქნება საწვრთნელი შეკრებისთვის 22 ფეხბურთელის შერჩევა. იტალიისა და შოტლანდიის წინააღმდეგ მატჩებისთვის (11 ოქტომბერს უკრაინა შოტლანდიას მასპინძლობს) იმ ფეხბურთელებს შევარჩევთ, რომლებსაც თამაში შეუძლიათ. ისინიც საკმაოდ კვალიფიციური მოთამაშეები არიან. ტრაგედია უფრო ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში უცხოელი ფეხბურთელების მოზღვავება მგონია.

**- ბოლო დროს ამ თემაზე ბევრს საუბრობენ. მიგაჩნიათ, რომ ამ უცხოელ ფეხბურთელებშია თქვენი ყველა უბედურება?**

- ლეგიონერების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ თუ უცხოელი ფეხბურთელი არაფრით არ ჯობნის ჩვენსას, მაშინ რა აუცილებელია ასეთის მოწვევა და მისთვის მაღალი ხელფასის გადახდა?

**- თქვენ მილევსკისთან, შუსტთან და პიატოვთან ერთად უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების კიდევ ერთი წევრი, კიევის "არსენალის" მცველი ალექსანდრ რომანჩუკიც გამოიძახეთ...**

- ჩვენ ამ ფეხბურთელს უკრაინის ჩემპიონატის თამაშებშიც ვაკვირდებოდით და ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაშიც. ვთვლი, რომ არანორმალურია სიტუაცია, როცა ახალგაზრდულიდან ეროვნულ ნაკრებში ფეხბურთელების მცირე რაოდენობას იწვევენ. ასეთი ფეხბურთელი რაც შეიძლება ბევრი უნდა იყოს.

**- რას ფიქრობთ უკრაინა-იტალიის მატჩზე?**

- იტალია მოქმედი მსოფლიო ჩემპიონია და ამით ყველაფერია ნათქვამი. ამ ბოლო დროს მას ზედიზედ ორჯერ შევხვდით. ასე რომ, ძალიან კარგად ვიცნობთ და სიურპრიზებს არ ველით. თუმცა, გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს და გარკვეული სიახლეებია. ის, რომ ამ შესარჩევ ციკლში "სკუადრა აძურამ" უფერული სტარტი აიღო, ძალიან გვირთულებს საქმეს. ჩვენთან ქულის დაკარგვა იტალიისთვის თითქმის საგზურის დაკარგვის ტოლფასი ქინება. ამიტომ დიდი მიხვედრა არ უნდა, რამდენად სერიოზულად ემზადებიან იტალიელები ჩვენთან სათამაშოდ და რომ დაგეგმილი აქვთ სამი ქულის მოპოვება. თუმცა, ამის თაობაზე ჩვენ ჩვენი მოსაზრებები გვაქვს.

# ბავშვისსახიანი მკვლელი

## ოლე გუნარ სოლსკიაერმა პირველი ოლდტრაფორდული გოლი გაიტანა

მარი ჯავახიშვილი



სერ ალექს ფერგიუსონი ავტობიოგრაფიულ წიგნში ოლე გუნარ სოლსკიაერს "ჯოჯოხეთურ სათადარიგოს" უწოდებს. თუმცა, როდესაც "ნიუკასლთან" ნორვეგიელმა დუბლი შეასრულა, "მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი ნამდვილად სამოთხეში იგრძნობდა თავს.

თავად ნორვეგიელი კი მიიჩნევს, რომ "კაჭკაჭებთან" გატანილი მისი ორი გოლი უბრალოდ საჭირო დროს საჭირო ადგილზე ყოფნის "წყალობაა".

პარადოქსია, მაგრამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ინგლისის პრემიერლიგაში სოლსკიაერს "ოლდ ტრაფორდზე" გოლი არ ჰქონდა გატანილი. 32 წლის თავდამსხმელმა "მანჩესტერის" შინაურ სარბიელზე ბოლო გოლი სამი სეზონის წინ "ლივერპულს" გაუტანა.

"რა თქმა უნდა, ყოველთვის სასიამოვნოა უსიამო ნავსის გატეხვა, - გამოტყდა მატჩის შემდეგ სოლსკიაერი, - მაგრამ აქამდე ერთხელაც არ მიფიქრია, რომ სამ წელწადზე მეტია, "ოლდ ტრაფორდზე" გოლი არ გამიტანია - მე მხოლოდ მომენტების რეალიზებაზე ვფიქრობ".

გარდა უსიამო ნავსის გატეხვისა, "მანჩესტერის" ფორვარდმა კიდევ ერთი არასასიამოვნო ტრადიცია დაარღვია - ამ სეზონში პირველად გაატარა მოედანზე 90 წუთი.

საკმაოდ გრძელვადიანი პაუზის შემდეგ ჩემპიონთა ლიგაზე სკანდინავიელის დებიუტიც ამ სეზონში "სელტიკთან" მატჩში შედგა. ამ დღემდე ნორვეგიელ თავდამსხმელს ორ წელი და 362 დღე უწევდა ლოდინი. ბოლოს ჩემპიონთა ლიგაზე 2003 წლის 16 სექტემბერს "პანათინაიკოსის" კარში გაიტანა გოლი. შოტლანდიის ჩემპიონთა კარში შეგდებული მისი ბურთი კი იმის დასტური იყო, რომ ტრავმები წარსულს ჩაბარდა.

ბერძნულ კლუბთან მატჩის შემდეგ "ბავშვისსახიანი მკვლელი" "მანჩესტერის" ლაზარეთში მუხლის ტრავმით მოხვდა. ეს ნორვეგიელის კარიერის ურთულესი პერიოდი აღმოჩნდა. პირველი ოპერაციის შემდეგ თავდამსხმელი გუნდს თებერვალში დაუბრუნდა. თუმცა, ფეხის ტკივილი ხშირად ახსენებდა თავს, რის გამოც იძულებული იყო მეორედ დაწოლილიყო საოპერაციო მაგიდაზე. 2004 წლის აგვისტოსა და 2005 წლის ივლისში ფეხბურთელს განმეორებითი ოპერაციები დასჭირდა.

გასულ სეზონში ერთი შეხედვით სოლსკიაერი თითქოს გამოჯანმრთელდა, თუმცა... ჯერ მუხლის მყესები დაიზიანა, შემდეგ ბარძაყის კუნთი, მერე კი სულაც ყვრიმალი გაიტეხა.

"ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ სოლსკიაერი მოედანს დაუბრუნდებოდა და არც გოლების გატანას მოუკლებდა. ეს პირველ რიგში მისი ძლიერი ხასიათის დამსახურებაა, - ამბობს ფეხბურთელის მკურნალი ექიმი, - ის თავდაუზოგავად მუშაობდა საკუთარ თავზე. ზოგჯერ ახალტრავმამოშუშებულ ფეხბურთელებზე ვღელავ ხოლმე, არ მინდა ძალიან გადაიტვირთონ, მაგრამ სოლსკიაერთან ეს პრობლემა არ მქონია. მან ბევრი სიძნელე გადაიტანა, მაგრამ მორალურად არ გატეხილა".

გრძელი პაუზის მიუხედავად, "მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივარს საყვარელი ფეხბურთელი წამითაც არ მივიწყებია. "შენ მაშინაც კი გვაბედნიერებ, როცა ცა ღრუბლებით სავსეა", - უმღეროდნენ ისინი ნორვეგიელს, რომელმაც სამუდამოდ დაიმკვიდრა თავი ინგლისური კლუბის ისტორიაში, როცა 1999 წლის ლიგის ფინალში "ბაიერნთან" გამარჯვების გოლი გაიტანა.

თავის დროზე "მანჩესტერ იუნაიტედმა" სოლსკიაერის სანაცვლოდ ნორვეგიულ "მიოლდეს" 2,3 მილიონი ევრო გადაუხადა. 1996 წელს ნისლიან ალბიონზე გადაბარგებულ ფეხბურთელს "ბლექბერნთან" შეხვედრაში ცხრა წუთი დასჭირდა პირველი პრემიერლიგური გოლის გასატანად.

მარტში 33 წლის გოლეადორმა "მანჩესტერთან" კიდევ ორი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი. წლევანდელი სეზონის სტარტმა კი დაამტკიცა, რომ შოტლანდიელი სპეციალისტის გადაწყვეტილება მცდარი არ ყოფილა. "ერთი ტაიმიც რომ ითამაშოს, აუცილებლად გაიტანს. სოლსკიაერი სხვებზე უსწრაფესად პოულობს ადგილს, სადაც ბურთი უნდა გაუშვას. ეს კი დიდებული თვისებაა", - ამბობს სერ ალექსი.

მისი მკურნალი ექიმი კი სოლსკიაერს "ფეხბურთის მცოდნეს" უწოდებს. მკურნალობისას ნორვეგიელი მუდმივად თვალს ადევნებდა თავისი გუნდის მატჩებს და ექიმს დაწვრილებით ურჩევდა თამაშის სქემასა და ტაქტიკას. როგორც ექსპერტები ამბობენ, სოლსკიაერი იმ ფეხბურთელთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც კარიერის დასრულების შემდეგ კარგად მოერგება "მანჩესტერის" სტრუქტურას. თუმცა, "ჯოჯოხეთური სათადარიგო" კარიერის დასრულებას არ ჩქარობს. მისი წლევანდელი გოლებიც სწორედ ამის დასტურია.

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:




## Morgan Stanley-იმ ჩინური Nan Tung Bank-ი შეისყიდა

ერთ-ერთმა უმსხვილესმა ამერიკულმა საინვესტიციო ბანკმა Morgan Stanley-იმ ჩინური ბანკის Nan Tung Bank-ის შესყიდვის შესახებ განაცხადა. გარიგების შედეგად, ამერიკული კომპანია ჩინურ საბანკო ბაზარზე თავისუფლად გავა. ჩინური Nan Tung Bank-ი, რომელსაც მხოლოდ ერთი, 40 კაციანი პერსონალი ემსახურება, ამერიკული Morgan Stanley-ისთვის საბანკო საქმიანობის ლიცენზიებს გასცემს. ამერიკული საინვესტიციო ბანკი კი ფინანსური პროდუქტის შეთავაზების ოფიციალურ უფლებას მიიღებს, რომელიც ნაციონალური ვალუტით იქნება ნომინირებული. ამერიკასთან დადებული გარიგება ჩინეთის საბანკო კომისიამ უკვე მოიწონა. ფინანსური პირობები კი ჯერ არ ხმაურდება.

Morgan Stenley-ის დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელისა და აღმასრულებელი დირექტორის თქმით, გარიგება "ჩინეთში ლიდერი ფინანსური კომპანიის შექმნის" სურვილით იყო განპირობებული.

## BenQ-Siemens გაკოტრების ზღვარზეა

კომპანია BenQ მობილური ტელეფონების წარმოებამ სერიოზულ ფინანსურ ზარალამდე მიიყვანა. კორპორაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე ისინი, კომპანიის გაკოტრების საკითხებს განიხილავენ. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული გერმანული კომპანია გასულ წელს კონცერნმა Siemens-მა შეისყიდა. "2005 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, გერმანული კომპანიის ტელეფონების წარმოების განყოფილებაში საკმაოდ სერიოზული კაპიტალდაბანდებები განხორციელდა, თუმცა ასეთმა ფინანსურმა მხარდაჭერამ სიტუაციაზე სახარბიელოდ მაინც ვერ იმოქმედა. ტელეფონების მწარმოებელი განყოფილება ისევ გაკოტრების ზღვარზეა." - აცხადებს BenQ-ს პრეზიდენტი. კომპანიის ფრანკფურტელი წარმომადგენელი ამბობს, რომ გაკოტრების პროცედურის დაწყების შესაბამისი დოკუმენტების გაფორმება, უახლოეს დროში, მიუნხენის სასამართლოში დაიწყება. BenQ-ს ბიზნესისთვის გაკოტრება, მობილური ტელეფონების წარმოების სრულ შეჩერებას არ გულისხმობს. ეს პროცესი კორპორაციის აზიის ქარხნებს არ შეეხება. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ბიზნესი არცთუ ისე მომგებიანია, კომპანიის წარმომადგენლობა მოლაპარაკებებს Foxconn-თან და Jabil Circuit-თან აწარმოებს. სავარაუდოდ აღნიშნული კომპნიები, მობილური ტელეფონების წარმოებას კომპიუტერული და საოჯახო ტექნიკის წარმოებით შეცვლის. ამ ეტაპზე BenQ Mobile-ის საბოლოო ბედი არ გადაწყვეტილა, თუმცა კომპანიის ხელძღვანელობა აცხადებს, რომ მობილური პროდუქციის წამგებიან ბიზნესში კაპიტალდაბანდებებს აღარ განახორციელებს. 2006 წლის აპრილიდან BenQ-ს ზარალმა 76,45 მილიონ დოლარს მიაღწია.

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,2972 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9817 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4726 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7356 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8104 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1309 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2967 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3028 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2115 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4137 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3338 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1586 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1477 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2775 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1886 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2491 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4047 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5545 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1329 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3715 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3129 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2650 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5586 |
| 1 | რუმინული ლეი | RON | 0,5831 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0649 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,0969 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4555 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5129 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4120 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4423 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8049 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0020 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1364 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4423 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2375 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3955 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0783 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2195 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2227 |




# მეტრომედიას საინვესტიციო მადა დაეკარგა

ნინო ნატროშვილი

*ამერიკულმა კორპორაციამ Metromedia International Group, Inc. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტელესაკომუნიკაციო კომპანიის კუთვნილი აქტივების გაყიდვის შესახებ წინასწარ შეთანხმებას მიაღწია.*

*კომპანიის ქართულ სატელეკომუნიკაციო აქტივებს 480 მილიონ აშშ დოლარად საერთაშორისო კონსორციუმი შეიძენს, რომელშიც ორი საინვესტიციო კომპანია და ერთი კომერციული ბანკია გაერთიანებული. კონსორციუმის შემადგენლობაში შედიან საინვესტიციო კომპანია Istithmar (არაბთა გაერთიანებული საემიროების რეზიდენტი), ოფშორული საინვესტიციო კომპანია Salford Capital Partners Inc. (ამ ბიზნეს-სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი აქვს ბადრი პატარკაციშვილს), კომერციული ბანკი Emergent Telecom Ventures (რომელიც საინვესტიციო ფონდის Gramercy Communications Partners თანამფლობელს მუჰამედ ამერსს ეკუთვნის).*

*აღნიშნული ოპერაციის შედეგად Metromedia კონსორციუმი ახალ მფლობელს მაგთის 50,1%-ს, Telecom Georgia-ს 21%-ს და ინტერნეტპროვაიდერის Telenet-ს 26%-ს გადასცემს. ხელშეკრულების საბოლოო გაფორმება და ფლობის უფლების გადაცემა, სავარაუდოდ, 2006 წლის დეკემბერში განხორციელდება.*



*მარკ ჰაუფი.*


B4


# "გირჩის ბიზნესი" რაჭაში

ეკა ქევანიშვილი

*რაჭული, კერძოდ კი, სოფელ თლუღში მოპოვებული გირჩის თესლისგან ამოსულ საშობაო ნაძვის ხეებს დანია, გერმანია და სხვა ევროპული ქვეყნები მთელ ევროპაში ყიდიან და ამ ბაზრის მოცულობა იქ დაახლოებით 700 მილიონ ევროს აღწევს. საქართველოში ე.წ "გირჩის ბიზნესი", საბჭოთა პერიოდს თუ არ ჩავთვლით, 90-იანი წლებიდან იკიდებს ფეხს და დღეს უკვე ბაზარიც დაკავებულია და ევროპელი პარტნიორებიც მოძებნილი. შარშან ამ ბიზნესიდან ამბროლაურის ადგილობრივ ბიუჯეტში, რომლის საერთო რაოდენობა 630 000 ლარი იყო, 115 000 ლარი შევიდა, გირჩის მომგროვებელ ადგილობრივ მუშახელს სეზონზე საშუალოდ 800-1000 ლარი რჩება, ამ ბიზნესით დაკავებული ფირმების საერთო ბრუნვა კი დაახლოებით 700 000 ლარია.*

**ხელისუფლებამ ბიზნესს მხარდაჭერა გამოუცხადა და გარკვეული გადასახადები შეამცირა, მაგრამ შემდგომში ბუნებრივი რესურსის გადასახადი თითქმის გაორმაგდა. მოხდა ერთგვარი ჩანაცვლება, რაც ბიზნესზე ძალიან არ აისახა. მაგრამ თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდა, ეს კომპანიებს სერიოზულ დარტყმას მიაყენებს და ამ სფეროს საფრთხის ქვეშ მოაქცევს.**




B2


# ფინანსური იმპერატორი

## უოლ სტრიტის ცოცხალი ლეგენდა სენფორდ ვეილი

გორჩა ქიმუცაძე

*სენფორდ ვეილი Self Made Men-ის - ადამიანის, რომელმაც საკუთარი პიროვნება შექმნა, ამერიკული ოცნების განხორციელების საუკეთესო მაგალითია. მან უბრალო კურიერობიდან დაიწყო და უოლ სტრიტზე გატარებული ნახევარი საუკუნის განმავლობაში შექმნა ყოვლისშემძლე ფინანსური იმპერია, თავად კი 1,4 მილიარდი დოლარის ოდენობის კაპიტალი დააგროვა, რომლითაც პენსიაზე გასვლის შემდეგ ღატაკნი განიკითხა.*

**2003 წელს ფინანსურმა მეტრმა პენსიაზე გასვლა საბოლოოდ გადაწყვიტა. ახლახან ცნობილი გახდა, რომ თავისი 1,4-მილიარდიანი ქონების უდიდეს ნაწილს ვეილი საქველმოქმედო ორგანიზაციებს შესწირავს, თავად კი პენსიით იცხოვრებს, რომელიც წელიწადში მილიონ დოლარს შეადგენს.**




B3

# ბლოკადის დღიურები

დიანა ჩაჩუა

*ნოვოროსიისკის ნავსადგურში საქართველოს დროშით მცურავი ორი ხომალდი დააკავეს. გემების შემოწმების შემდეგ ისინი სუბსტანდარტულად ცნეს. განმარტებისთვის, სუბსტანდარტული - ხომალდი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს არ აკმაყოფილებს. ამასთან, როგორც ჩანს, რუსეთი საბოლოოდ გადადის "ანტიქართულ დიეტაზე". გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეკატერინბურგში არსებული ქართული კაფეები და რესტორნები, შესაძლოა, დაიხუროს ან მათი მომსახურებიდან ქართული მენიუ გაქრეს.*

ნოვოროსიისკის საზღვაო პორტის ადმინისტრაციის უფროსმა ვლადიმირ ერიგინმა გუშინ ისიც აღნიშნა, რომ საქართველოსთან საზღვაო კავშირის შეწყვეტის მიუხედავად, ისინი არ დააკავებენ ქართული პორტებისკენ მიმავალ იმ გემებს, რომლებიც მესამე ქვეყნის დროშების ქვეშ ცურავენ, რადგან "არსებობს საერთაშორისო წესები, რომლის დარღვევაც არ შეუძლიათ".

**"არსებობს საერთაშორისო ნაოსნობის წესები, რომლებსაც ვერ დავარღვევთ. თუ ბულგარეთის დროშით მცურავ ხომალდს სომხეთისთვის მიაქვს ტვირთი, მას, რასაკვირველია, სატრანსპორტო კავშირის შეჩერება არ შეეხება,"** - აცხადებს ნოვოროსიისკის საზღვაო პორტის ადმინისტრაციის უფროსი.

სიტყვამ მოიტანა და, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მიერ საქართველოსთვის გამოცხადებული ავიაბლოკადით ყველაზე მეტად სომხებმა იხეირეს. ბოლო სამი დღის განმავლობაში სომხური ავიაკომპანია "არმავიას" მოსკოვი-ერევნის რეისზე მგზავრთა რაოდენობის საგრძნობი მატება შეინიშნება.

**"მოსკოვის მიმართულებით მიმავალ მგზავრთა რაოდენობა 30 პროცენტით გაიზარდა. რეისი ერევანი-მოსკოვი ყოველდღე "ვნუკოვოსა" და "დემოდედოვის" აეროპორტებიდან სრულდება,"** - აცხადებენ "არმავიაში" და იქვე აღნიშნავენ, რომ მგზავრთა ნაკადის ამგვარი მატება ერევანი-მოსკოვის რეისზე აქამდე არ დაფიქსირებულა.

თბილისიდან ერევანში ავიარეისები არ ხორციელდება, საქართველოდან სომხეთში მატარებლით ან ავტოტრანსპორტით შეიძლება მოხვედრა. მატარებელი ერევნის მიმართულებით თვის კენტ რიცხვებში მოძრაობს. სარკინიგზო ტრანსპორტით მოხვედრა აზერბაიჯანშიცაა შესაძლებელი - ყოველდღე.

აი, "აზერბაიჯანული ავიახაზები" კი, რუსეთ-საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლის შეწყვეტის მიუხედავად, მოსკოვისა და თბილისის მიმართულებით ავიარეისების რაოდენობის გაზრდას არ აპირებს. **"ამ დროისთვის მოსკოვისა და თბილისის მიმართულებით რეისები სრული დატვირთვით არ ხორციელდება და მათი ზრდის საჭიროებაც არ არსებობს. ბაქოდან მოსკოვში გამგზავრების მსურველთა რიცხვი არ გაზრდილა,"** - აცხადებს "აზერბაიჯანული ავიახაზების" წარმომადგენელი საბირ ილიასოვი. დღეისათვის ავიაკომპანია ყოველდღიურად ორ რეისს ბაქო-მოსკოვის მიმართულებით, ერთ რეისს კი ბაქო-თბილისისკენ ახორციელებს.

საქართველოდან რუსეთში მოხვედრა უკრაინის გზითაცაა შესაძლებელი. თბილისის აეროპორტის ცნობით, უკრაინის დედაქალაქის მიმართულებით კვირაში შვიდი რეისი სრულდება, დონეცკის მიმართულებით კი - ორი. აქვე ერთი დეტალი: კიევში გაფრენა, სამშაბათის გარდა, ყოველდღეა შესაძლებელი.

შაბათს კიევში მოხვედრა ქართული კომპანია "თბილავიამშენის" თვითმფრინავითაც შეგიძლიათ. თუ ეს დღე ხელს არ გაძლევთ, ხუთშაბათს და კვირას კომპანია "ნაციონალური ავიახაზები" მოგემსახურებათ. თბილისი-დონეცკის რეისებს კი "თბილავიამშენი" და უკრაინული "დონავია" ოთხშაბათსა და შაბათს ახორციელებენ. ამავე ავიახაზებით ხარკოვში, ოდესაში, სიმფეროპოლსა და დნეპროპეტროვსკშიც შესაძლებელია მოხვედრა. ამასთან, სამშაბათობით თბილისი-მინსკის, ხუთშაბათობით - თბილისი-აქტაუს რეისებიც სრულდება.

ავიაკომპანია "სიბირმა" უკვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოსკოვი-თბილისი-მოსკოვის რეისზე შეზღუდვების შემთხვევაში მგზავრების გადაზიდვას ერევნიდან და გიუმრიდან უზრუნველყოფს. განრიგით, "სიბირის" რეისი დღეისთვისაა დანიშნული.

## "ანტიქართული დიეტა" 2

მენიუდან ქართული ღვინოების და მინერალური წყლების ამოღებამ, როგორც ჩანს, ეფექტი ვერ გამოიღო, ამიტომ რუსეთი "ანტიქართულ დიეტას" ამკაცრებს. ეკატერინბურგში არსებული ქართული კაფეები და რესტორნები, შესაძლოა დაიხუროს, ან მათი მომსახურებიდან ქართული მენიუ გაქრეს. საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გუშინ კაფე "გრუზინსკაია კუხნიამ" უკვე შეწყვიტა ფუნქციონირება. მიზეზად მისი მფლობელები რუსეთ-საქართველოს შორის გამწვავებულ ურთიერთობებს და ამის გამო შესაძლო პრობლემებს ასახელებენ.

ეკატერინბურგში მხოლოდ ქართულ სამზარეულოზე ორიენტირებული კვების დაწესებულებები ცოტაა, უმრავლესობა რუსულ-ქართული ან კავკასიური სამზარეულოს სახელით მუშაობს. როგორც რესტორნების მეპატრონეები აღნიშნავენ, ქართული მენიუს მოყვარულ კლიენტთა რიცხვი ამ დღეებში მკვეთრად შემცირდა.

**"ზაფხულში ქართული ღვინის აკრძალვით ქართულმა კაფე-რესტორნებმა დიდი ზარალი განიცადეს. ქართული კერძებისთვის კი პროდუქტს ჯერჯერობით აქვე ვყიდულობთ და მენიუ არ შეგვიცვლია. თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ იდეოლოგიური თვალსაზრისით ქართული კერძებით ვაჭრობა აგვიკრძალონ,"** - აღნიშნავს რესტორან "არაგვის" ადმინისტრატორი. ამგვარი განკარგულების შემთხვევაში, ქართული მენიუთი მოვაჭრე რესტორნები ევროპულ სამზარეულოზე გადაერთვებიან.

## რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილები შეწყვეტილია

რუსეთის ფედერაციამ საქართველოს მიმართულებით ფულადი გადარიცხვები შეწყვიტა. მართალია, ამის შესახებ რუსულ ბანკებს ოფიციალურად ჯერ არ განუცხადებიათ, მაგრამ, როგორც "ინტერპრესნიუსისთვის" გახდა ცნობილი, საქართველოში თანხის გადმორიცხვაზე უარი თქვა "იუნისტორბანკმა" და "იუგობანკინამ".

"ინტერპრესნიუსი" რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრებ ქართველებს დაუკავშირდა. მათი განცხადებით, გუშინ თანხის გამოგზავნა დაახლოებით 16.00 საათამდე იყო შესაძლებელი. ამ დროის შემდეგ გადარიცხვები მოულოდნელად შეწყდა.

**"გუშინ ბანკებთან ქართველების რიგები იდგა, რადგან ვიცოდით, რომ დღეისთვის ფულის გადარიცხვა შეწყდებოდა..."** - განუცხადა "ინტერპრესნიუსს" მოსკოვში მცხოვრებმა ქართველმა თინა ჯიშკარიანმა.

# "გირჩის ბიზნესი" რაჭაში



პირველი გვერდიდან

რაჭის ტყეში ყოველწლიურად მოგროვებული 200-300 ტონა გირჩისგან დაახლოებით 20 ტონა თესლი გამოდის, რომელიც დამუშავების შემდეგ ევროპაში მიაქვთ. პატარა ქართული ბიზნესი იქ გაცილებით მასშტაბურ, თუმცა შრომატევად და მრავალწლიან საქმედ იქცევა. დანიის სანერგე მეურნეობაში კავკასიური სოჭის თესლისგან ამოზრდილი 12-15 წელი უნდა ზარდონ, რომ საშობაოდ გაყიდონ. შესაბამისად, კავშირი ამ ორ, ქართულ და დანიურ ბიზნესს შორის, მართალია, არსებობს, მაგრამ არცთუ ისე ხელშესახები (ისევე როგორც, მაგალითად, მეტალის გამომშვები, ჯართის შემგროვებელი კომპანიისა და ამ მეტალიდან "მერსედესის" ან "ტოიოტას" გამომშვებ კომპანიებს შორის).

გირჩის ბიზნესით დაკავებული ფირმების თავკაცები ამბობენ, რომ ამ საქმეში მათ ათ-თხუთმეტწლიანი შრომა ჩადეს, გზა გაიკვალეს ევროპელი პარტნიორებისკენ და ევროპული ბაზრისკენ და ქართული გირჩის თესლსაც დაუზარელ და, შეიძლება ითქვას, გადაჭარბებულ რეკლამასაც კი უკეთებენ დანიერ, გერმანულ და სხვა ევროპული ქვეყნების ბაზარზე. ისინი იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ ბიზნესს საქართველოსთვის მილიონები არ მოაქვს, მაგრამ თავისი ნიშა მაინც უკავია: სახელმწიფო ბიუჯეტში შედის გადასახადები, ადგილობრივ მოსახლეობას სეზონურად, მაგრამ მაინც უჩნდება შემოსავლიანი საქმე... და რაც მთავარია, მთავარი ბუნებრივი რესურსი - გირჩი ყოველწლიურად მოდის და, ქვანახშირის ან ნავთობისგან განსხვავებით, განახლებადი ნედლეულია. მეტიც, ამ სფეროში მომუშავე კომპანიები საქართველოში ყოველწლიურად მოსული გირჩის დაახლოებით 1-5%-ს იყენებენ გადასამუშავებლად - ევროპის ბაზარი შეზღუდულია და მეტი თესლის იმპორტს ვერ იტანს.

თუმცა, სანამ ეს ბიზნესი შედარებით ცივილიზებულ სახეს მიიღებდა, რაჭაში და ბორჯომში ყველას ახსოვს სწორედ 90-იანი წლების დასაწყისში ატეხილი "გირჩის ბუმი", როდესაც, ვისაც არ ეზარებოდა, ყველა ტყეში გარბოდა და გირჩს აგროვებდა. რამდენიმე ადამიანი ხიდან ჩამოვარდა და დაიღუპა, მაგრამ მაშინდელი გაჭირვების ფონზე ის თანხა, რასაც გირჩის მოგროვებაში მუშახელს უხდიდნენ, ხალხისთვის დიდი ფული იყო... თითქმის მთავარი შემოსავალი.

იყო ბევრი გაურკვეველი ფირმა, გირჩის ბიზნესით გამდიდრების მოსურნე ადამიანები, კრიმინალებიც, მაგრამ ადვილი ფულის შოვნის მსურველები მალე მიხვდნენ, რომ ეს ბიზნესი არც ისე ადვილი იყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა და თან მას არც მილიონების მოტანა შეეძლო. მიზეზი მარტივია და ეს მიზეზი დღესაც ძალაშია: დაინტერესებულ მხარეს არ სჭირდება დიდი რაოდენობით თესლი. დღეს, როგორც ადგილობრივი ხელისუფლება ამბობს, წელიწადში 20-25 ტონა თესლი გადის საქართველოდან.

სხვა ბიზნესში თუ ტანკერებით და გემებით მიაქვთ პროდუქცია, აქ ეს ნედლეული ერთ მანქანაზე შეიძლება დაეტიოს..

თან, ევროპულ ბაზარს მსგავსი ნედლეულით წარმატებულად ამარაგებს რუსეთი, სადაც იგივე ჯიშის - კავკასიური სოჭის, მაგრამ უფრო ყინვაგამძლე თესლი მოიპოვება და ქართულ კავკასიური სოჭის თესლს სერიოზულ კონკურენციას უწევს ასევე თურქეთი, რომელიც ასევე შესამჩნევად გააქტიურდა ამ ბაზარზე.

დანიაში თავადაც აწარმოებენ კავკასიური სოჭის თესლს სპეციალურად გაშენებული პლანტაციებიდან მოპოვებული გირჩიდან. ეს რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და თესლის ხარისხიც ძალიან მაღალია, რადგან ამ პლანტაციებს მხოლოდ მაღალხარისხიანი ხეებით აშენებენ (განსხვავებით ბუნებრივი პირობებისაგან, სადაც ტყეში ასევე უხარისხო ხეებიც მონაწილეობენ დამტვერვაში). იქ მუშახელი ძვირია, მაგრამ თესლის საბოლოო ფასზე ეს დიდად არ აისახება. მიზეზი მარტივია, იქ ტყეები გაშლილ ადგილებშია, სპეციალური მანქანები ადვილად უდგებიან და ერთი პიროვნება დღეში ათჯერ მეტ გირჩს აგროვებს, ვიდრე საქართველოში.

პრეზიდენტის რწმუნებული რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში ოთარ სირაძე, მაგალითად, ძალიან ამაყობს, რომ დანიაში ქართულ ნერგებს იარლიყზე აწერია "თლუღი, ამბროლაური". ფრანგმა, რომელიც საშობაოდ ქართული თესლისგან გაზრდილ ნაძვს ყიდულობს, არ იცის, სად არის ამბროლაური, თუმცა ამ საქმის ევროპელ პროფესიონალებს კარგად მოეხსენებათ, რომ ეს საქართველოა.

საბჭოთა კავშირის დროსაც გადიოდა თესლი საქართველოდან, თუმცა მაშინ ეს "ბიზნესი" ძალზე მიჩქმალული იყო და იმპერიის ნგრევასთან ერთად, მაშინდელი კავშირებიც დაინგრა. შპს "ჯადვარის" დირექტორი, ტარას ნიჟარაძე, რომელიც 1993 წლიდანაა ამ საქმით დაკავებული, ამბობს, რომ ხელახალი კონტაქტების დამყარებას საკმაოდ დიდი დრო და შრომა დასჭირდა. უფრო კი იმიტომ, რომ: "იმ ხალხმა, რომელსაც ამ ბიზნესის კეთების გამოცდილება არ ჰქონდა, მაშინ დიდი რაოდენობით უხარისხო, გადაუმუშავებელი პროდუქცია გაიტანა, რამაც საქართველოსადმი ისედაც შესუსტებული ნდობა საერთოდ გააქრო. ფაქტობრივად, ეს იყო ამ ბაზრის კოლაპსი. თესლი ვერ გაიყიდა, დაიწყო ფასის ვარდნა, ზოგიერთმა კომპანიამ ხალხს ფული ვერ გადაუხადა... ბოლოს ერთ კილო თესლს ზარალშიც კი, რამდენიმე დოლარად ყიდდნენ... მაშინ, როცა მანამდე 50 დოლარი ღირდა. ამის მერე ყველაფერი ისევ თავიდან გახდა დასაწყები, ეს დავარდნილი ფასი ნელ-ნელა ავწიეთ 30-35 დოლარამდე და დღესაც ასეა".

ტარიელ ნიჟარაძე ამბობს, რომ მის ფირმას ყოველწლიურად რამდენიმე ტონა თესლი გააქვს დანიაში - დაკვეთას გააჩნია.

საახალწლო ნაძვების ბაზრის მოცულობა ევროპაში მართლაც შეიძლება იყოს 700 მილიონი ევრო (რაც ნიშნავს, რომ საშობაოდ ნაძვის ხეზე ევროპული ოჯახი საშუალოდ 5 ევროს ხარჯავს, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ბიზნესია. მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოდან, რუსეთიდან და თურქეთიდან ნედლეული ევროპაში მოხვდება, ის უამრავი სხვადასხვა კომპანიის ხელში გაივლის (დაწყებული თესლის უცხოური დისტრიბუტორებით, 3-წლიანი ნერგების გამზრდელი კომპანიების, ამ ნერგებიდან საბოლოოდ ხეების გამზრდელი კომპანიების, ლოგისტიკური, სადაზღვევო კომპანიების და ბოლოს, ამ პროდუქციის საბოლოო რეალიზატორების - საბითუმო და საცალი ვაჭრობით კომპანიების ხელში).

12-15 წელი უვლიან და ზრდიან ნერგებს, კვლევებს ატარებენ, წიწვის დახრილობას, ტოტებს შორის მანძილს და ბევრ სხვა პარამეტრს ამოწმებენ და ა.შ.

თუმცა, ჯერჯერობით, კარგი რეკლამა და ამ ბიზნესში ჩართული ადამიანების მარიფათი ჭრის. თან, თესლის ხარისხი, რომელიც ამჟამად მიეწოდება უცხოელ პარტნიორებს, შეუდარებლად უკეთესია, ვიდრე საბჭოთა პერიოდში გადატვირთული პროდუქციისა. დღეს მომუშავე კომპანიები დღემდე ახერხებენ დაარწმუნონ ევროპელი პარტნიორები, რომ კავკასიურ სოჭს სხვა ჯიშებთან შედარებით ბევრი უპირატესობა გააჩნია.

გირჩის მომპოვებელი ყველა ფირმა რომ რაჭაში იყოს რეგისტრირებული, ადგილობრივი ბიუჯეტში შემოსავლები გაცილებით მეტი იქნებოდა. ოთარ სირაძის თქმით, შარშან ბიუჯეტში 115 000 ლარი შევიდა. ის ასევე შენიშნავს, რომ წინა წლებში ეს თანხა 60 000-სს არ ასცილებია, რადგან ჯერ კრიმინალების, შემდეგ კი ჩინოვნიკების ჯიბეში ილექებოდა. წელს გირჩის მოსავალი ყინვის გამო შედარებით მცირეა, ამიტომ, წინასწარი პროგნოზით, ბიუჯეტში 90 000 ლარს ელოდებიან. წლევანდელი ადგილობრივი ბიუჯეტის მოცულობა კი 850 000 ლარია, აქედან სახელმწიფო ტრანსფერი - 360 000 ლარი.

ცვლილებაა ბუნებრივი რესურსის გადასახადის ტარიფშიც. აქამდე თუ ერთ კგ თესლზე ბიზნესმენები 35 თეთრს იხდიდნენ ბიუჯეტში, დღეს ეს თანხა 60 თეთრამდე გაიზარდა. ფასის გაზრდის არგუმენტი კი ამ შემთხვევაში ისაა, რომ ბიზნესმენებს ამის მეტი თანხის გადახდა არსად მოუწევთ და "შავი ბუღალტერიაც" აღარ იარსებებს.

მთავარი მიზეზი, რატომაც ამ სატარიფო ცვლილებამ ბიზნესმენებს მუშაობის სურვილი არ გაუქრო, როგორც ირკვევა, სხვა სოციალური გადასახადების შემცირებაა, რომლითაც ხელისუფლებამ ბიზნესმენებს შეღავათი გაუკეთა:

"ხელისუფლებამ ბიზნესს მხარდაჭერა გამოუცხადა და გარკვეული გადასახადები შეამცირა, მაგრამ შემდგომში ბუნებრივი რესურსის გადასახადი თითქმის გაორმაგდა. მოხდა ერთგვარი ჩანაცვლება, რაც ბიზნესზე ძალიან არ აისახა. მაგრამ თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდა, ეს კომპანიებს სერიოზულ დარტყმას მიაყენებს და ამ სფეროს საფრთხის ქვეშ მოაქცევს. თან, ეს ისედაც სეზონური ბიზნესია და 4-5 თვეს გრძელდება.

წინა საგადასახადო კოდექსში ბუნებრივი რესურსის გადასახადის ოდენობა განისაზღვრებოდა რესურსის ღირებულების 10%. ახლა საგადასახადო კოდექსი აღარ არეგულირებს ამ საკითხს და ახლანდელი ფასი, 60 თეთრი, როგორც ხედავთ, გირჩის ღირებულების, 50 თეთრის 120%-ია.

რაც შეეხება ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას ამ ბიზნესში და მათ შემოსავლებს. როგორც ერთ-ერთი ასეთი ბრიგადის წევრი გაიოზ ჯაფარიძე ამბობს, ერთ კილო მოკრეფილ გირჩში მას 50 თეთრს უხდიან. სამუშაო საკმაოდ რთულია და ის ტყეში ერთკვირიან, ხანაც უფრო ხანგრძლივ ყოფნას მოითხოვს. წელს, მაგალითად, ერთ ბრიგადაში ექვსნი იყვნენ. აქედან ერთი კარავში რჩება, სამი 35-40-მეტრიან ხეზე ადის და კრეფს, ორიც დაბლა დგას და ჩამოყრილ გირჩს აგროვებს. გაიოზ ჯაფარიძე ამბობს, რომ დღეში, შესაძლოა, ასი კილო მოკრიფოს: "დღეში დაახლოებით ხუთ ხეზე ავდივარ, გააჩნია, რამხელაა. ძნელია, მაგრამ მაინც გვიღირს, რადგან ამ ერთ კვირაში გვრჩება ხან 400, ხან 500 ლარი. ზოგი სეზონზე 1000 ლარსაც აკეთებს."

კიდევ ერთი არცთუ ისე შორეული გეგმა, რომელიც ადგილობრივ მთავრობას აქვს, იმ ადგილების 50-წლიანი იჯარით გაცემაა, სადაც ეს ბუნებრივი რესურსი მოდის. ოთარ სირაძე ამბობს, რომ აპირებს გამოაცხადოს აუქციონი 8-10 მილიონი ლარის ფარგლებში: "ასე ტყე უფრო დაცული იქნება და უკანონოდ არც ხეს მოჭრის ვინმე, არც გირჩს მოკრეფს."

რაჭაში დღეს არაერთ ოჯახში ნახავთ მოგროვილ გირჩს, რომელიც არც ერთი იქ მომუშავე ფირმის დაკვეთით არ არის მოკრეფილი. შესაბამისად, არც რესურსის ან სხვა რაიმე გადასახადი არ არის გადახდილი ამ გირჩის ბრაკონიერული შეგროვებისას. ბიზნესმენები ამბობენ, რომ ისინი და ადგილობრივი ხელისუფლება ორ ცეცხლს შუა იმყოფებიან - ერთი მხრივ, ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება მეტ ოჯახს მისცენ მუშაობის საშუალება, მეორე მხრივ, მომუშავე პერსონალის რაოდენობის შეზღუდვა, როგორც კომპანიებს, ისე ხელისუფლებას მისცემდა ტყეში უკანონო კრეფის გაკონტროლების საშუალებას, პერსონალის მუშაობის წესების დაცვას, მათ უზრუნველყოფას უსაფრთხოების წესების ცოდნით და ტექნოლოგიით. მთლიანად მუშაობის კულტურა გადავიდოდა სხვა დონეზე.

კიდევ ერთი იდეა, რომელიც დიდი ხანია არსებობს, თუმცა, ჯერ ვერავინ განახორციელა, ადგილზე სანერგეების გაშენებაა. საქმე რისკიანია, რადგან რამდენად გაამართლებს ის, ჯერ არავინ იცის და ამის პასუხს 15 წელი უნდა ელოდონ, სანამ ხეები არ გაიზრდება. რაჭის ადგილობრივი ხელისუფლება აცხადებს, რომ ევროპიდან, ქართული თესლისგან აღმოცენებული და გაზრდილი ნაძვის ხეები ისევ საქართველოში იყიდება, როცა იგივეს გაკეთება, ადგილზეც შეიძლება: "ერთ-ერთმა მომპოვებელმა გვითხრა, აქ რომ სანერგე იყოს, ვიყიდდი ნაძვებს და სომხეთში გავიტანდიო, ასე რომ, ყველა დაინტერესებულ პირს ვთავაზობთ თანამშრომლობას," - ამბობს ოთარ სირაძე.

თუმცა, ვინც ამ ბიზნესს კარგად იცნობს, ვისაც დანიაში საკუთარი თვალით უნახავს რა შრომა სჭირდება სანერგე მეურნეობის გაძღოლას, ამ ყველაფრის მიმართ სკეპტიკურადაა განწყობილი და ამბობს, რომ ხელისუფლებამ ბიზნესმენებს ჯერ იმ ბიზნესში უნდა შეუწყოს ხელი, რომელიც უკვე არსებობს.

## სათამაშო ბიზნესიდან მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში 13 211 000 ლარი შევიდა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით სათამაშო ბიზნესის სფეროში გაიცა 725 ნებართვა, საიდანაც მოსაკრებლის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში შევიდა 13 211 000 ლარი, მათ შორის. როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, ყველაზე მეტი - 511 ნებართვა სათამაშო აპარატების სალონებზე გაიცა. ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ შეადგინა 2 044 000 ლარი. ტოტალიზატორების მოსაწყობად გაიცა 177 ნებართვა. ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ 1 062 000 ლარი შეადგინა. სამორინეების მოსაწყობად გაცემული 2 ნებართვიდან ბიუჯეტში შესულმა თანხამ 10 000 000 ლარი შეადგინა.

წამახალისებელი ლატარიების მოწყობაზე გაიცა 25 ნებართვა. ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ შეადგინა 75 000 ლარი; ლოტოს ორგანიზებისათვის გაიცა 9 ნებართვა. ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ შეადგინა 27 000 ლარი; ბინგოს ორგანიზებისათვის გაიცა 1 ნებართვა. ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ შეადგინა 3 000 ლარი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოსათვის ბიზნესრეიტინგში განკუთვნილ ადგილს, შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს

საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Standard & Poor's-ის ინფორმაციით, საქართველოსა და რუსეთს შორის მდგომარეობის გაუარესება საქართველოს ბიზნესრეიტინგზე ნეგატიურად აისახება. კომპანიაში აცხადებენ, რომ თუკი ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობები არ მოწესრიდგება, მაშინ საქართველოსათვის ბიზნესრეიტინგში განკუთვნილ ადგილს საფრთხე დაემუქრება. იმავე აზრზე არიან ექსპერტებიც და მიაჩნიათ, რომ რუსეთ-საქართველოს შორის არსებული დაპირისპირება დროულად უნდა დარეგულირდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საქართველოს ეკონომიკაზე სერიოზულ გავლენას მოახდენს. "როდესაც ქვეყანას დაძაბული ურთიერთობა უჩნდება მის რომელიმე პარტნიორთან, ეს ქვეყნის რეიტინგზეც შესაბამის ასახვას ჰპოვებს. ასეთ ფონზე კი უკვე ცხადი ხდება, რომ ქვეყნის შიდა ეკონომიკური სიტუაცია ჯანსაღი არაა. ემოციური განცხადებები პრობლემის მოგვარებისათვის პანაცეა არ არის," - განუცხადა სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" ექსპერტმა ეკონომიკურ საკითხებში გია ხუხაშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ კახეთში 12 ტონა ყურძენი შეიძინა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავის მოსახლეობისგან შეისყიდა 12 ტონა რქაწითელის ჯიშის ყურძენი, რომელსაც სააგენტოს ცენტრალური აპარატისა და თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომლებს დღეს უსასყიდლოდ დაურიგებს. ღონისძიება კახელი მევენახეების დახმარების მიზნით მოეწყო. გარდა იმისა, რომ სააგენტოს ხელმძღვანელობა გლეხებს მოსავლის რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაშიც დაეხმარა, თანამშრომლებსაც სასიამოვნო სიურპრიზი მოუწყო. ანალოგიური აქცია 27 სექტემბერს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომაც მოაწყო და თელავში შესყიდული ყურძენი იუსტიციის სამინისტროს 600-მდე თანამშრომელს დაურიგა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მცირე ბიზნესში 87390 პირია დასაქმებული

საქართველოს ბიზნესსექტორში მცირე ბიზნესში დასაქმებულ პირთა რაოდენობა, 2006 წლის მეორე კვარტლისთვის, 87390-ს შეადგენს და აღნიშნულ ბიზნესსექტორში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 25,5 პროცენტია. მათგან 41,5 პროცენტი ქალია, ხოლო 58,5 პროცენტი - კაცი. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, დასაქმებულთაგან 69921 პირი დაქირავებულია, საშუალო თვიური ხელფასი კი 152,2 ლარია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "თბილღვინოს" ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს გადასცემენ

კომპანია "თბილღვინო" მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული კონკურსის - IWSC-ს (International Wines and Spirits Competition) დაჯილდოების ცერემონიაზე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდება. როგორც კომპანიის გენერალურმა დირექტორმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, კომპეტენტურმა ჟიურიმ კომპანიის ორი პროდუქცია "განსაკუთრებული მარაგის - Special Reserve საფერავი" და "განსაკუთრებული მარაგის წინანდალი" გამარჯვებულად ჯერ კიდევ ზაფხულზე დააჯილდოვა. კომპანიის ინფორმაციით, International Wines and Spirits Competition-ზე თბილღვინოს 2002 წლის მოსავლის "განსაკუთრებული მარაგის საფერავმა" სპეციალური ვერცხლის მედალი Silver Best in Class მიიღო. "ღრმა, ზედაპირამდე მუქი მეწამული. მოცხარის სურნელის, მკვეთრად გამოხატული მუხის და მოტკბო არომატი. სრული, ძლიერი კენკროვანი სტრუქტურა და ცოცხალი მჟავიანობა. მოქნილი ტანინების ოდენობა, გრძელი დასასრული, რომელშიც მთავარ როლს მუხა თამაშობს ხილთან ერთად," - ასე დაახასიათა კონკურსის პროფესიონალმა და მკაცრმა ჟიურიმ "განსაკუთრებული მარაგის საფერავი". "თბილღვინოს" 2004 წლის "განსაკუთრებული მარაგის წინანდალმა" კი ბრინჯაოს მედალი მიიღო. როგორც კომპანიაში განმარტავენ, "თბილღვინოს" ახალი ბრენდის "განსაკუთრებული მარაგის - Special Reserve" ღვინოები განსაკუთრებულ პროცესში და თანამედროვე ტექნოლოგიებით მზადდება. ყურძენი ამ კატეგორიის ღვინისთვის სპეციალურად ირჩევა და სათუთად იკრიფება. დაწურვის შემდეგ ღვინო ფრანგულ მუხის კასრებში სახეობის მიხედვით 9, 12 ან 20 თვის განმავლობაში, თანამედროვე ტექნოლოგიების დაცვით ღვინდება, განიცდის დაძველებას და მხოლოდ ამ პერიოდის გავლის მერე ისხმება ბოთლებში. IWSC საკმაოდ რთული და ხანგრძლივი კონკურსია, რომელიც 1969 წლიდან ყოველწლიურად იმართება. მაისში შეტანილი განაცხადის შემდეგ, მსოფლიოს 74 ქვეყნის 10 000-მდე (ათი ათასამდე) სახეობის ღვინოები 3 თვის განმავლობაში ორსაფეხურიან შემოწმებას გადის გემოვნური და ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით. ამიტომ მასში გამარჯვება განსაკუთრებით საპატიო და მნიშვნელოვანია. დაჯილდოების ცერემონიალი 31 ოქტომბერს გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ალიევმა "შაჰდენიზიდან" გაზის მიღება დაადასტურა

აზერბაიჯანი მზადაა, ზამთრის პერიოდში, საქართველოს "შაჰდენიზიდან" 300 მლნ. კუბ/მ ბუნებრივი აირი მისცეს, - ამის შესახებ აზერბაიჯანის სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ნატიკ ალიევმა განაცხადა. მისი განმარტებით, ეს შესაძლებელი გახდება იმ შემთხვევაში, თუკი თურქეთი თავისი კუთვნილი გაზის მიღებას ვერ მოახერხებს. ცნობისათვის, თურქეთი ოფიციალურად ჯერ მზადა არაა, რადგან მილსადენი მის ტერიტორიაზე ჯერჯერობით ტექნიკურად გაუმართავად ითვლება. როგორც ჩანს, ბუნებრივი აირით ჩვენი მომარაგება თურქეთის საბოლოო პასუხზე ყოფილა დამოკიდებული, რომელიც ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებს და საბოლოო პასუხისაგან თავს იკავებს. არადა, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს ნიკა გილაურს 300 მილნ. კუბ/მ აირი "ჯიბეში" ჰგონია და თამამად აცხადებს, რომ ამ ზამთარს უმტკივნეულოდ გადააგორებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## Airbus-მა A380-ის წარმოება გადადო

ევროპულმა ავიაკონსორციუმმა Airbus-მა განაცხადა, რომ მისი ახალი გიგანტური ავიალაინერის A380-ის სერიულ წარმოებაში ჩაშვება, სულ მცირე, კიდევ ერთი წლით გადაიდო. კერძოდ, 2007 წელში მომხმარებლები ადრე დაგეგმილი 9-ის ნაცვლად მხოლოდ 1 ავიალაინერს მიიღებენ. 2008 წელში 13 თვითმფრინავი გაიყიდება, 2009 წელში კი უკვე 25 ლაინერი იფრენს. სავარაუდოდ, ყველაფერი ამის გამო, 2010 წლისათვის Airbus 3,5 მილიარდი დოლარის ოდენობის წაგებას ნახავს. საქმე იმაშია, რომ ავიაკოსორციუმს 16 ავიაკომპანიასთან 159 A380-ის, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი თვითმფრინავია, 800 მგზავრის გადაყვანა შეუძლია და 250 მილიონი დოლარი ღირს, მიწოდების კონტრაქტები აქვს გაფორმებული. სავარაუდოდ, ბევრი მათგანი Airbus-თან კონტაქტს გაწყვეტს, სასამართლოს მიმართავს და კომპანსაციას მოითხოვს.

# ფინანსური იმპერატორი

პირველი გვერდიდან

### არშემდგარი პილოტი

სენფორდ ვეილი დაიბადა 1933 წელს ბრუკლინში, აშშ-ში მეოცე საუკუნის დასაწყისში ემიგრირებული პოლონელი ებრაელების ოჯახში. მამამისი მაქსი საქსოვ ფაბრიკას ფლობდა, რომლის წყალობითაც ოჯახი საკმაოდ კარგად ცხოვრობდა. მოგვიანებით ვეილმა ფაბრიკამა გაყიდა და კომპანია American Steel-ი დააარსა, რომელიც აშშ-დან ფოლადის ექსპორტს ეწეოდა.



1947 წელს სენფორდი სკოლა-ინტერნატში გაგზავნეს; საქმე ის გახლდათ, რომ ცოლ-ქმარ ვეილებს შორის უსიამოვნებები დაიწყო და დედამ გადაწყვიტა, შვილი ოჯახური ორომტრიალისაგან განერიდებინა. ბიჭმა სკოლა წარმატებით დაამთავრა და მამამ ჰარვარდის ან კორნელის უნივერსიტეტში გაგზავნა შესთავაზა. სენფორდმაც ეს უკანასკნელი ამჯობინა, რადგან ებრაელებს კორნელში უფრო ლიბერალურად ექცეოდნენ.

ბიჭი მამის საქმის გაგრძელებას აპირებდა და ინჟინრობა გადაწყვიტა, თუმცა ერთი წლის შემდეგ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე გადავიდა. ამავე პერიოდში მას ამურმა ისარი სტყორცნა - ყმაწვილს ლამაზი, ჭკვიანი და კარგი ოჯახისშვილი ჯოან მოშერი შეუყვარდა. ბევრი ცდისა და ხანგრძლივი ტანჯვა-გოდების შემდეგ სენფორდმა ჯოანის გული დაიპყრო და ცოტა ხნის შემდეგ ახალგაზრდებმა ქორწინებაზე ფიქრი დაიწყეს.



მაგრამ 1955, გამოსაშვებ წელს გაუთვალისწინებელი შემთხვევა მოხდა: ერთ ღამეს სენფორდი სიგარეტის შესაძენად გავიდა და აღარ დაბრუნებულა. არა, კრიმინალური შემთხვევა არ მომხდარა, უბრალოდ, რამდენიმე საათით ადრე მამამ აუწყა, რომ დედამისს შორდებოდა და თავის ახალგაზრდა საყვარელზე დაქორწინებას აპირებდა. გარდა ამისა, ისიც უთხრა, რომ ოჯახისაგან მალულად კომპანია გაყიდა და უნივერსიტეტის შემდეგ უზრუნველ ცხოვრებაზე შეეძლო აღარ ეფიქრა.

დადარდიანებული დედის მხარდასაჭერად სენდიმ სწავლა დროებით მიატოვა. ყველაფერს ისიც დაემატა, რომ ჯოანის მშობლებმა, რომლებსაც სასიძო ისედაც არ მოსწონდათ, მისი მშობლების განქორწინებისა და მემკვიდრეობის გარეშე დარჩენის შემდეგ სენფორდს უარი განუცხადეს. საბედნიეროდ, ჯოანი მშობლების ნების წინააღმდეგ მიჯნურს ცოლად მაინც გაჰყვა, რითაც მათი რისხვა დაიმსახურა.

ვეილმა დიპლომი რამდენიმე თვის შემდეგ მაინც აიღო და მემკვიდრეობის გარეშე დარჩენილმა სამხედრო-საჰაერო ძალებში სამსახური გადაწყვიტა. მაგრამ ამ პერიოდში პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა არმიის დაფინანსება შეამცირა და რეკრუტთა მიღება შეიზღუდა. თანაც, ვეილს ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემები აღმოაჩნდა და მფრინავის კარიერა მაინც ვერ აეწყო.



### აუტსაიდერი

სენფორდმა უოლ სტრიტს მიაშურა, მაგრამ გარკვეული კავშირების გარეშე ბროკერის ან მენეჯერის თანამდებობაზე ოცნებაც კი წარმოუდგენელი იყო. საბოლოოდ, იგი საბროკერო კომპანია Bear Stearns-ში კურიერად მიიღეს და მათხოვრული ხელფასი - კვირაში 35 დოლარი დაუნიშნეს. მაგრამ ვეილმა ცხვირი არ ჩამოუშვა და ყველანაირად ცდილობდა, ბოსების ნდობა მოეპოვებინა. გარკვეული დროის შემდეგ მათ გადაწყვიტეს, მისთვის ბროკერის ლიცენზიის აღების შანსი მიეცათ და ერთი წლის შემდეგ სენფორდი ბროკერი გახდა.

საქმე მაშინვე როდი აეწყო. ვეილს კომპანიების ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, დასკვნების გამოტანა კარგად გამოსდიოდა, რასაც ადამიანებთან ურთიერთობაზე ვერ ვიტყვით. ამიტომაც იყო, რომ სენფორდის ერთადერთი კლიენტი კარგახანს დედამისი იყო. საბოლოოდ, ქმარს მხარში ჯოანი ამოუდგა, საკმაოდ სოლიდური კლიენტურა მოუგროვა და მალე ვეილი Burnham & Co-ში გადაბარგდა.

სენფორდის და ჯოანის მეზობლად ასევე ახალგაზრდა ცოლ-ქმარი არტურ და ლინდა კარტერები ცხოვრობდნენ. არტური Lehman Brothers-ში მუშაობდა და ისიც უოლ სტრიტის მეორეხარისხოვანი ადამიანი იყო. საღამოობით ის და ვეილი ხშირად ბაასობდნენ და მომავალი დიდი ბიზნესის გეგმებს აწყობდნენ. 1960 წლისათვის მათი იდეა საბოლოოდ მომწიფდა. მეგობრებმა ორი პარტნიორი: როჯერ ბერლინდი და პიტერ პოტომა იპოვნეს და ოთხივემ 60-60 ათასი დოლარი დადო. 240 ათასი დოლარი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ადგილი ეყიდათ და ღარიბული ოფისი დაექირავებინათ. ახალ ფირმას უბრალოდ Carter, Berlind, Potoma & Weill-ი უწოდეს.

ამ პერიოდში აშშ-ში ფინანსური ბიზნესი თანდათანობით ვითარდებოდა, საშუალო კლასი სულ უფრო შეძლებული ხდებოდა და ახალ ფირმასაც კლიენტები გამოუჩნდა. ვეილი აქცენტს, ძირითადად, ნაკლებად ცნობილ, მაგრამ სწრაფად მზარდ კომპანიებზე აკეთებდა. ერთ-ერთი ამგვარი გახლდათ Associated Transport Inc-ი, რომლის პოტენციალი სენფორმა დროულად შენიშნა და კლიენტებს მისი აქციების შეძენა შესთავაზა. კომპანიის აქციები 7 დოლარიდან ოთხიოდე წელში 43 დოლარამდე გაიზარდა. ამგვარად უოლ სტრიტის აუტსაიდერი ფირმის საქმეები კარგად წავიდა.

70-იან წლებში, როცა საფონდო ბაზარი კრიზისმა მოიცვა, ვეილმა თავისი საყვარელი სქემის გამოყენება დაიწყო: იგი ერთ დროს სოლიდურ, ცუდ დღეში ჩავარდნილ ფირმას ყიდულობდა, თავისსას უერთებდა და ახალი სახელით მოღვაწეობას აგრძელებდა. პირველი ნადავლი 1970 წელს შეძენილი უძველესი საბროკერო კომპანია Hayden Stone გახდა, სამი წლის შემდეგ ვეილმა იყიდა ასევე საბროკერო H. Hentz & Co, კიდევ ერთი წლის შემდეგ - Shearson Hamill-ი. 1979 წელს კი Shearson Hayden Stone-მ Loeb Rhoades-ი შეიძინა, რაც იმ დროისათვის უოლ სტრიტის ისტორიაში განხორციელებული უმსხვილესი შერწყმა იყო.

### მეორედ მოსვლა

ასე იქცა აუტსაიდერი, სულ რაღაც, 20 წელიწადში უძლიერეს კომპანიად. ვეილის შემდეგმა ნაბიჯმა კი ყველა გააოცა: მან Shearson Hayden Stone-ის კომპანია American Express-ისათვის 930 მილიონად მიყიდვა და იქ პრეზიდენტის პოსტის დაკავება გადაწყვიტა. მოგვიანებით სენფორდმა აღიარა, რომ ეს გარიგება მისი უდიდესი შეცდომა იყო. როცა თავის კომპანიაში პირველობას მიჩვეული ვეილი მიხვდა, რომ American Express-ის თავკაცი ჯიმ რობინსონი მისთვის ძალაუფლების განაწილებას არ აპირებდა, 1985 წელს პოსტიდან გადადგა.

52 წლის ვეილს ფული არ აკლდა და შეეძლო, დარჩენილი ცხოვრება გოლფის თამაშში გაელია. თითქოს ამას აპირებდა, ხელი ქველმოქმედებასაც მიჰყო, მაგრამ მთელი ცხოვრების განმავლობაში შრომას შეჩვეულმა ვერ მოისვენა და გადაწყვიტა, ყველაფერი თავიდან დაეწყო. 1986 წელს იგი სათავეში ჩაუდგა პატარა კომპანია Commercial Credit-ს, რომლის მთავარი ბიზნესი კერძო პირებზე კრედიტის გაცემა და დაზღვევა იყო და რომელშიც 7 მილიონი დოლარი საკუთარი ფულიც ჩადო.

1988 წელს Commercial Credit-ი ჯერ კიდევ ფეხზე დამდგარი არ იყო, რომ ვეილმა 1,5 მილიარდ დოლარად კორპორაცია Primerica შეიძინა, რომლის მრავალრიცხოვან განყოფილებებს შორის იყო საბროკერო კომპანია Smith Barney და სადაზღვევო ბიზნესი A.L.Williams. 1992 წელს ვეილმა Primerica-ს განსხვავებული პროფილის აქტივები გაყიდა და, სამაგიეროდ, განთქმული სადაზღვევო კომპანიის Travels Insurance-ს 27 პროცენტი შეიძინა.

ერთი წლის შემდეგ ვეილმა გადაწყვიტა, მთავარი ოცნება განეხორციელებინა და American Express-ისაგან მშობლიური Shearson-ი გამოესყიდა. 1993 წელს განხორციელებული ეს გარიგება 1,2 მილიარდი დოლარი დაჯდა. ამავე პერიოდში ვეილმა კიდევ 4 მილიარდად Travelers-ის დარჩენილი აქციები შეიძინა.

ამით ვეილის მადა არ დაკმაყოფილდა. 1997 წელს Travelers Group-ად გაერთიანებულმა კომპანიამ 9 მილიარდად Salomon Brothers-ი, მისი უმსხვილესი აქციონერის, განთქმული უორენ ბაფეტის კურთხევით, შეიძინა. ამ შერწყმის შედეგად წარმოიქმნა ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო ბანკი Salomon Smith Barney.

1998 წელს განხორციელდა ყველა დროის ერთ-ერთი უმსხვილესი გარიგება: Travelers-მა 70 მილიარდ დოლარად შეიძინა Citicorp-ი, რომლის ცენტრალური განყოფილება Citibank-ი იყო. ამგვარად წარმოიქმნა ფინანსური სუპერსახელმწიფო, რომელსაც ვეილმა, ჩვეულებისამებრ, უმსხვილესი კომპანიის პატივსაცემად Citigroup-ი უწოდა და რომელიც, გასული წლის მონაცემების მიხედვით, მსოფლიოს უმდიდრესი კომპანიაა.

2003 წელს ფინანსურმა მეტრმა პენსიაზე გასვლა საბოლოოდ გადაწყვიტა. ახლახან ცნობილი გახდა, რომ თავისი 1,4-მილიარდიანი ქონების უდიდეს ნაწილს ვეილი საქველმოქმედო ორგანიზაციებს შესწირავს, თავად კი პენსიით იცხოვრებს, რომელიც წელიწადში მილიონ დოლარს შეადგენს.

## ზრდა აშშ-ს ბირჟაზე










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა ნავთობის ფასის კლებამ და იმ გარემოებამ, რომ ექსპერტთა ვარაუდით, ბოლოდროინდელი მაკროეკონომიკური ინფორმაციები ფედერალურ სარეზერვო ფონდს ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდის საბაბს არ მისცემს.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,27 პროცენტით, 11.759,03 პუნქტამდე გაიზარდა. 0,61 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.257,24 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,22 პროცენტით, 1.337,01 პუნქტამდე მოიმატა.

## ნავთობის ფასი ისევ 60 დოლარი/ბარელს ჩამოსცდა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების კლება გაგრძელდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 59,01 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 59,12 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა. რაც შეეხება ბუნებრივ აირს, მისი ფასი ოდნავ გაიზარდა და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება, მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისის გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 5,759 დოლარი შეადგინა.

"შავი ოქროს" გაიაფების მიზეზი კვლავ გახლავთ აშშ-ში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დიდი მარაგის არსებობა და ფასების კლების წინააღმდეგ ოპეკის არასაკმარისი ძალისხმევა. მხოლოდ ნიგერიის და ვენესუელის მიერ ნავთობის მოპოვების შემცირება ბაზარზე გავლენას ვერ ახდენს. ამასთან, დამთავრდა საავტომობილო სეზონი და იკლო ბენზინზე მოთხოვნილებამ და დასასრულს უახლოვდება შტორმების პერიოდიც, რომელმაც აშშ-ს ნავთობის მოპოვებას წელს დიდი ზარალი ისედაც ვერ მიაყენა.

შედეგად, შემცირდა "ოპეკის სანავთობე კალათის" ფასიც და მისმა ღირებულებამ 55,27 დოლარი/ბარელი შეადგინა.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17.

1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი ძკალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა. "ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 71,71 დოლარი/ბარელი 2006 წლის 14 ივლისს დაფიქსირდა.

## ძვირფასი ლითონები კვლავ გაიაფდა

გუშინ ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების კლება გაგრძელდა. კერძოდ, ოქრო 3,8 პროცენტით გაიაფდა და 1 უნციის ღირებულებამ 578,5 დოლარი შეადგინა. ვერცხლის ფასმა 0,6 პროცენტით, 11,045 დოლარი/უნციამდე მოიკლო, პლატინა 2,5 პროცენტით, 1129,9 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 2,45 პროცენტით, 306,45 დოლარი/უნციამდე გაიაფდა.

ექსპერტთა აზრით, ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ფასზე კვლავ ავლენას ახდენს ნავთობის ბაზარზე არსებული სიტუაცია. ამასთან, გამყარდა დოლარის კურსი, რამაც ოქროს შეძენისადმი ინტერესის კლება განაპირობა.

## Toshiba-ს Westinghous-ის აქციების 77 პროცენტის შეძენა სურს

საყოფაცხოვრებო და საწარმოო აპარატურის მწარმოებელმა იაპონურმა კომპანიამ Toshiba Corp-მა განაცხადა, რომ კომპანია Westinghous-ის, რომელიც ატომური ენერგეტიკისათვის საჭირო ხელსაწყოების ბრიტანული მწარმოებლის British Nuclear Fuels-ის ამერიკული განყოფილებაა, აქციების 77 პროცენტის შეძენა სურს. სავარაუდოდ, მომავალი გარიგების ღირებულება 4,16 მილიარდი დოლარი იქნება.

გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ, სავარაუდოდ, Westinghous-ის აქციების დარჩენილ 23 პროცენტსაც იაპონელები იყიდიან. კერძოდ, გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, 20 პროცენტის შეძენა კომპანია Shaw Group Inc-ის, 3 პროცენტის კი კომპანია Ishikawajima-Marima Heavy Industries Co Ltd-ს სურს.

## რუსეთი, ინდოეთი და ჩინეთი მექრთამეობის ჩემპიონები არიან

კომპანია Transparency International-ის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად ცნობილი გახდა, რომ რუსული, ინდური და ჩინური ფირმების წარმომადგენლები სხვებზე უფრო აქტიურად მიმართავენ უცხოელი ჩინოვნიკების მოქრთამვას. ამგვარი დასკვნის გამოტანა შეიძლება მსოფლიოს 30 წამყვანი ექსპორტიორი ქვეყნის 2006 წლის მექრთამეობის ინდექსიდან.

პირველი ადგილი და განსაკუთრებით აქტიური მექრთამეების ტიტული არავის დაუთმეს ინდოელმა ბიზნესმენებმა, მეორეზე ჩინეთი გავიდა, მესამეზე კი რუსეთი. რაც შეეხება პატიოსან მსხვილ ექსპორტიორ ქვეყნებს, ყველაზე მექრთამეობის ყველაზე მცირე ინდექსი შვეიცარიას აქვს, მეორეზე შვედეთია, მესამეზე კი ბრიტანეთი.

## საქართველოს ბანკმა სიახლეების შესახებ გამოაცხადა

სალომე ძაძამია

"საქართველოს ბანკმა" ხელი მოაწერა 25 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ათწლიანი კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხის შესახებ ხელშეკრულებას "HBK Investments"-თან. "HBK Investments" მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ინსტიტუციონალური ინვესტორია და მართავს 10 მლრდ აშშ დოლარზე მეტ აქტივებს.

სესხის მთლიანი თანხა უკვე მიღებული იქნა "საქართველოს ბანკის" მიერ. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 4%-ს. სესხის პირობების თანახმად, "HBK Investments"-ს აქვს ოპციონი, ორი წლის განმავლობაში გადაცვალოს კონვერტირებადი სესხი "საქართველოს ბანკის" აქციაზე 20%-იანი პრემიით ლონდონის საფონდო ბირჟაზე "საქართველოს ბანკის" აქციების (სადეპოზიტარო ხელწერილების, ე.წ. GDR) განთავსების ფასთან მიმართებაში. "საქართველოს ბანკს" აქვს ოპციონი, წინასწარ დაფაროს სესხის თანხა კონვერტაციის პერიოდის გასვლისთანავე ან სესხის გაცემიდან ხუთი წლის შემდეგ. ამ გარიგებით "საქართველოს ბანკმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი აღიარებული მსესხებელია კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე.

"მოხარული ვარ, რომ წარმატებით ვაგრძელებთ ჩვენი საზედამხედველო კაპიტალის გაზრდას. ეს გარიგება, აგრეთვე, ნიშანდობლივია იმით, რომ პირველად ქართულმა ბანკმა მიიღო კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხი. ჩვენ მოხარული ვართ, რომ სესხი, რომლის გაცემაზეც რამდენიმე მხარემ გამოხატა ინტერესი "HBK Investments"-სგან მივიღეთ, რომელიც "გალტ & თაგგარტ სიქიურითის" ერთ-ერთი საუკეთესო ინსტიტუციონალური კლიენტია," - განაცხადა "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ლადო გურგენიძემ.

"საქართველოს ბანკისთვის" ეს გარიგება ამ წელს რიგით მეხუთე მოზიდული სესხია საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე წამყვანი ფინანსური ინსტიტუტებისაგან. დღეისათვის "საქართველოს ბანკის" კრედიტორთა სია, უკვე "HBK Investments"-თან ერთად, მოიცავს "WorldBusiness Capital"-ს, "Citigroup"-ს, "Merrill Lynch"-ს, და Thames River Capital"-ს, ხოლო აღნიშნული კომპანიებიდან მოზიდული დაფინანსება ჯამურად 90 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

რაც შეეხება მეორე სიახლეს, ბანკმა წარმატებით დაასრულა კაპიტალის გაზრდა და 400.000 ახლადემიტირებული აქცია გაყიდა. აქციების შეთავაზება გაუკეთდა ექვს ინსტიტუციონალურ ინვესტორს და მათზე მაღალი მოთხოვნა დაფიქსირდა. ერთი აქციის ფასმა 22,5 ლარი შეადგინა, რის შედეგადაც საბაზრო კაპიტალიზაცია 375,6 მილიონ ლარს გაუტოლდა. ორი წლის წინ, ბანკის სათავეში ახალი მენეჯმენტის მოსვლისას მისი საბაზრო კაპიტალიზაცია 37,6 მილიონ ლარს შეადგენდა.

"ჩვენ ვაგრძელებთ ბანკის ზრდის ტემპის შესაბამისად ბანკის კაპიტალის ზრდას. მინდა, მადლობა ვუთხრა ყველა იმ ფონდს, რომელმაც შეისყიდა ბანკის ახლადემიტირებული აქციები და, აგრეთვე, მოხარული ვარ, რომ ჩვენს აქციონერებს შეემატა ორი მეტად გამოცდილი ინსტიტუციონალური ინვესტორი, რომელიც რუსეთსა და დსთ-ს ქვეყნებზე სპეციალიზირდება. ჩვენ ვაგრძელებთ აქციონერთა ბაზის გაფართოებას ბანკის განვითარების ამ მეტად მნიშვნელოვან ეტაპზე," - აღნიშნა ლადო გურგენიძემ.

## თბილისში გაზის საუბნო მრიცხველების მონტაჟი დასრულდა

კომპანია "ყაზტრანსგაზ-თბილისმა" დედაქალაქის ძირითად ნაწილში საუბნო მრიცხველების მონტაჟი დაასრულა. როგორც "ინტერპრესნიუსს" კომპანიაში განუცხადეს, აღნიშნული მრიცხველებით შესაძლებელი გახდება თითოეული უბნისთვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ზუსტი მოცულობის აღრიცხვა. ამავდროულად, კომპანია თითოეული ბიზნეს-ცენტრის მენეჯერთა მუშაობის უკეთესად გაკონტროლებას შეძლებს, რადგან ეცოდინება, რა ოდენობის აირი მიაწოდა ამა თუ იმ უბანს. მრიცხველების დამონტაჟების გარდა, კომპანია რეაბილიტაციისა და განვითარების სტრატეგიის ფარგლებში სხვა სამუშაოებსაც ატარებს. წლის ბოლომდე დაგეგმილია მაგისტრალური გაზსადენის 11-კილომეტრიანი მონაკვეთის გამოცვლა, დანარჩენი 149-კილომეტრიანი მონაკვეთი კი ეტაპობრივად, 2011 წლამდე შეიცვლება. საინვესტიციო პროგრამით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში გარემონტდა გაზის გამანაწილებელი ერთი სადგური და გაზის მარეგულირებელი 20 პუნქტი. სულ კაპიტალური რემონტი ჩაუტარდება გაზის მარეგულირებელ 648 პუნქტს და გაზის გამანაწილებელ სადგურებს, ასევე რეკონსტრუქცია გაუკეთდება მიწისქვეშა ჭებს და ჩამკეტ არმატურას. პარალელურად, განახლდება კომპანიის ავტოპარკი. "ჩვენი მუშაობა 4 ძირითად მიზანს ემსახურება. ესენია თბილისის უწყვეტი და უსაფრთხო გაზმომარაგება, გაზის სისტემის რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია, თბილისის ახალი განაშენიანების გაზიფიკაცია და დანაკარგების შემცირება," - აცხადებენ კომპანიაში. **ინტერპრესნიუსი**

## ამინდი

| | 5/10 | 6/10 | 7/10 |
|---|---|---|---|
| კიევი | 20 | 17 | 18 |
| რიგა | 16 | 13 | 15 |
| ვილნიუსი | 12 | 15 | 11 |
| მოსკოვი | 13 | 12 | 12 |
| მინსკი | 16 | 13 | 15 |
| პარიზი | 13 | 13 | 14 |
| რომი | 22 | 23 | 22 |
| ლონდონი | 12 | 15 | 12 |
| მადრიდი | 21 | 23 | 23 |
| ბონი | 13 | 13 | 16 |
| ვარშავა | 14 | 13 | 14 |
| ათენი | 28 | 28 | 28 |
| ბერნი | 16 | 20 | 15 |
| ამსტერდამი | 11 | 15 | 11 |
| ოსლო | 13 | 8 | 14 |
| ანკარა | 30 | 30 | 28 |
| ვარნა | 25 | 25 | 17 |
| დელი | 43 | 43 | 42 |
| ტოკიო | 23 | 23 | 25 |
| კოპენჰაგენი | 9 | 7 | 11 |
| ბაქო | 18 | 24 | 25 |
| ერევანი | 25 | 26 | 28 |
| ასტანა | 5 | 7 | 11 |
| ჰელსინკი | 13 | 11 | 10 |
| დუბლინი | 10 | 13 | 10 |
| ლისაბონი | 20 | 21 | 24 |
| პრაღა | 12 | 11 | 15 |
| სოფია | 26 | 14 | 20 |
| ბუდაპეშტი | 18 | 19 | 20 |
| ბუხარესტი | 29 | 22 | 20 |

# მეტრომედიას საინვესტიციო მადა დაეკარგა

პირველი გვერდიდან

"24 საათი" ამ გარიგების და საქართველოს კომუნიკაციების ბაზარზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ "მეტრომედიის" წარმომადგენელს საქართველოში მარკ ჰაუფს ესაუბრა.

**- რამ განაპირობა "მეტრომედიას" ასეთი რადიკალური გადაწყვეტილება ქართული აქტივების გაყიდვის შესახებ?**

- "მეტრომედია ინტერნეიშენელ ჯგუფი" ამერიკაში საჯარო აქციონერების მფლობელობაშია. ამ კომპანიას მფლობელობაში აქვს სხვა ამერიკული კომპანიასთან - "მეტრომედია ინტერნეიშენელ ტელეკომუნიკეიშენ"-თან ერთად, "მაგთიკომის", "საქართველოს ტელეკომის", "ტელენეტისა" და "აიეტის" აქციები. ეს არის კომპანიები, რომლებიც მოქმედებენ საქართველოში. სამი საინვესტიციო კომპანიით წარმოდგენილმა ჯგუფმა წამოაყენა წინადადება, "მეტრომედია ინტერნეიშენელ ტელეკომუნიკეიშენი" თავისი მეპატრონისაგან შეიძინოს. საუბრები იმაზე, რომ ამ ბიზნესჯგუფს პატარკაციშვილი აკონტროლებს, გადაჭარბებულია.

თუ ეს გარიგება შედგება, მაშინ ისინი ამერიკული კომპანიის მეპატრონეები გახდებიან. გამოდის, რომ კომპანია ამერიკელი დამფუძნებლების ერთ ჯგუფს იცვლის მეორეთი. მე საჯარო კომპანიის უმაღლესი აღმასრულებელი პირი ვარ და, ამავე დროს, ვარ "მეტრომედია ინტერნეიშენელ ტელეკომუნიკეიშენის" აღმასრულებელი პირი. თუ ეს ტრანზაქცია მოხდება, მე ისევ ვიქნები ამ კომპანიის აღმასრულებელი. ჩვენ როგორც წარსულში, ახლაც გავაგრძელებთ ბიზნესის განვითარებას. იმის ნაცვლად, რომ ექვსი თუ შვიდი ათასი აქციონერი გვყოლოდა, გვეყოლება სამი კერძო კომპანია, რომლებიც ჩვენი დამფუძნებლები იქნებიან. ფაქტობრივად, მოხდება დამფუძნებელთა შეცვლა. ამერიკულმა კომპანიამ უნდა გააგრძელოს "მაგთიკომის", "ტელეკომის", "ტელენეტისა" და "აიეტის" აქტივების ფლობა. ამერიკული კანონმდებლობის თანახმად, ჩვენ გავაგრძელებთ თანამშრომლობას და განვითარებას. ჩვენი ინვესტირება ამ კომპანიების განვითარებაში, ალბათ, 150 მილიონს აჭარბებს. მხოლოდ 2006 წელს "მაგთიკომში" 60 მილიონი დოლარის ინვესტირება განვახორციელეთ. მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩავდეთ ქსელის მშენებლობაში.

**- რამ განაპირობა ამ კონსორციუმის ინტერესი?**

- კერძო ინვესტორთა ერთი ჯგუფი, რომელიც რეგიონში ბიზნესის გაფართოებას და განვითარებას ცდილობს, ითვალისწინებს რისკებს და მიაჩნია, რომ შეუძლია გააგრძელოს ინვესტირება. ამ ჯგუფმა თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გამოთქვა. შეიძლება, ისინი ცოტა უფრო მეტი სიფრთხილით ეკიდებიან ჩვენს ქვეყანაში ფულის დაბანდებას, მაგრამ ახალი შემოთავაზება ისეთ პირობებს გულისხმობს, რომელიც შეიძლება ორივე მხარისთვის მისაღები აღმოჩნდეს. ჩემი შეხედულებით, როგორც ამ კომპანიის უმაღლესი აღმასრულებელი პირი, პროექტის სასარგებლოდ ბევრ უპირეტესობას ვხედავ. ამ ტრანზაქციის ბოლომდე დახურვამდე კიდევ ბევრი ეტაპია გასავლელი.



მარკ ჰაუფი.

**- რა მოხდება, თუკი ვინმემ მეტის გადახდა მოისურვა?**

- რა თქმა უნდა, მათ მოვუსმენთ. პასუხის გაცემა მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ეს ჯგუფი კომპანიაში და საქართველოში შექმნილ სიტუაციას შეისწავლის და დასტურებით იტყვის, რომ სურს დაწესებული ფასის გადახდა. შეძენის განზრახვა სხვა ფირმებისგან ნამდვილად არსებობს, მაგრამ ეს არის რთული ბიზნესი და რთული ტრანზაქცია. უცხოელი აქციონერები, ჯერჯერობით, ვერ იგებენ, რა ხდება საქართველოში, რაც მათ ინვესტირების სურვილს ანელებს.

**- როგორ აფასებთ საქართველოში არსებულ ბიზნესგარემოს. მეტრომედიის გადაწყვეტილება, გარკვეულწილად, პირობების შეცვლამ ხომ არ განაპირობა?**

- როგორც კომპანიის ხელმძღვანელს, მაწუხებს ორი საკითხი. პირველი, როგორ ვითარდება ქვეყანაში ბიზნესი. მეორე, მინდა ვიყო დარწმუნებული, რომ საინვესტიციო კაპიტალი რენტაბელური იქნება. არსებობს ჯგუფი ადამიანებისა, ვისაც ჩვენი აქტივების ყიდვა სურს. მათ მიაჩნით, რომ საქართველოში ბიზნესგარემო უმჯობესდება. "მეტრომედიას" აქციები ყოველდღიურად იყიდება. ეს არის კომპანიის საჯაროობის ბუნება. "მეტრომედიას" მთელი კაპიტალი საქართველოში აქვს. "მეტრომედია", პრაქტიკულად, საქართველოში კონცენტრირებული ინტერესების მფლობელი კომპანიაა. გვქონდა აქტივები აღმოსავლეთ ევროპაში, რუსეთში და ყაზახეთში, მაგრამ დღეს აბსოლუტურად სხვა რეალობაა. ჩვენი კაპიტალის საქართველოში კონცენტრირება მოვახდინეთ.

**- თქვენს მფლობელობაში არსებულ კომპანიებში წილების მფლობელებს თუ აქვთ მთლიანი პაკეტის ყიდვის სურვილი?**

- გია ჯოხთაბერიძეს აქვს "ტელეკომში" 50 %, "მაგთიში" - 46,9 %. თუმცა მას კომპანიის სხვა აქციების შესყიდვის შესახებ განცხადება არ გაუკეთებია. "აიეტის" 15 პროცენტს ჩიგოგიძეების ოჯახი აკონტროლებს და დარჩენილი 85 პროცენტი აქვს "მეტრომედიას". სულ ეს არის ადამიანების სია, ვინც შეიძლება ჩვენი აქციების შეძენის სურვილი გამოთქვას.

**- არის საუბარი, რომ ქართული ბაზრით დაინტერესდა რუსული კომპანია "ბილაინი". თქვენი შეფასებით, გაუწევს თუ არა კონკურენციას ის თქვენს ბიზნესს?**

- მათი გეგმები მხოლოდ საქმიანობის დაწყების შემდეგ გამჟღავნდება. პროგნოზების გაკეთება რთულია. პირველ ეტაპზე, უბრალოდ, შემიძლია ვთქვა, რომ სიხშირის დაფარვის არეალი, რომელიც მათ შეიძინეს, არის იმის მეათედი, რასაც "მაგთი" ან "ჯეოსელი" იყენებს. "ბილაინი" კარგად ჩამოყალიბებული კომპანიაა, თუმცა რას გააკეთებს ეს კომპანია, წინასწარ ძნელად წარმომიდგენია, რადგან საქართველო პატარა და სპეციფიური ბაზარია.

**- რაც შეეხება "მეტრომედიის" მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, მათ ბაზრის რა სეგმენტი უჭირავთ?**

- "ტელენეტი" არის ინტერნეტპროვაიდერი და მისი წილი ბაზარზე საკმაოდ მცირეა. აღნიშნულ ბაზარზე ბევრი მოთამაშეა, თანაც, ინტერნეტმომსახურების ბაზარი საკმაოდ ფრაგმენტირებულია და ჯერჯერობით არ არის კარგად განვითარებული. "საქართველოს ტელეკომის" წილი, საერთაშორისო ზარების თვალსაზრისით თუ გავითვალით, საკმაოდ წარმატებულია. მაგრამ ბოლო 11 თვის განმავლობაში "ტელეკომი" ხან პირველ, ხან კი მეორე ადგილს იკავებს. მისი ძირითადი კონკურენტია "გლობალ ერთი". რაც შეეხება "მაგთის" და "ჯეოსელს", ისინი ბაზარს მეტ-ნაკლები უპირატესობით ინაწილებენ.

# "თელიანის ღვინის ფესტივალი" უნარშეზღუდული ბავშვებისათვის...

სალომე ძაძამია

"თელიანი ველის" ღვინის ფესტივალი გრძელდება და საზოგადოებას აქტუალურ, ღვინის თემას სხვადასხვა ჭრილში წარმოუდგენს. ფესტივალის ფარგლებში შარდენის ქუჩაზე უნარშეზღუდულმა ბავშვებმა და მოზარდებმა ღვინის თემაზე შექმნილი სპექტაკლი "დიონისია" წარმოადგინეს. სოციალური რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრ "აისის" აღსაზრდელებმა ღია ცის ქვეშ საკუთარი ნახატებიც გამოფინეს, რომლებიც მსურველებმა შეიძინეს.

სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი "აისი" 2001 წელს დაარსდა. "აისში "30 უნარშეზღუდულ ბავშვი და მოზარდი სწავლობს. ისინი ერთად ეუფლებიან მუსიკას, ერთად ხატავენ და ერთად ცდილობენ იმ ბარიერების გადალახვას, რაც მათ საზოგადოებისაგან აშორებს.

"აისი" შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მშობლებმა დააარსეს. არაჩვეულებრივი შემოქმედებითი გუნდი გვყავს, სპეცპედაგოგები, ფსიქოლოგები, ხატვისა და მუსიკის მასწავლებლები. მათი შრომა, ვფიქრობ, ამ სპექტაკლზეც დადებითად აისახა. "თელიან ველთან" ჩვენი კავშირი პირადი კონტაქტების საფუძველზე შედგა. ჩვენი მიზნები მათ ამოცანაში ჩაჯდა და ასე გადაწყდა ჩვენი ბავშვების "ღვინის ფესტივალში" ჩართვა. მათ ნამდვილად სჭირდებათ ყურადღება, რათა იოლად შეძლონ საზოგადოებაში ინტეგრირება," - განაცხადა სოციალური რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრ "აისის" დირექტორმა ნანა ცინცაძემ.



გიგო შიუკაშვილი 11 წლისაა. მას სპექტაკლში "დიონისეს" როლი ერგო და ძალიან ბედნიერია. მოსწონს მაყურებლების წინაშე გამოსვლა და საჩუქრები.

გიგო შიუკაშვილი: "ძალიან მომეწონა სპექტაკლი, ბევრი ხალხი იყო და ყველა ჩვენ გვიყურებდა. მე "დიონისე" ვიყავი. კიდევ მივიღებ ასეთ სპექტაკლში მონაწილეობას. ყველაზე მეტად ის გამეხარდა, რომ საჩუქრები დაგვირიგეს და ტაშს გვიკრავდნენ. ძალიან მომეწონა მაყურებლები."

"დღეს ბავშვები ძალიან თავისუფლად არიან, უხარიათ აქ გამოსვლა და ეს სახეებზეც ეტყობათ. ძალიან მომეწონა სპექტაკლი, დიდი შრომა ჩადეს მასში პედაგოგებმა. ამ ბავშვებს ძალიან სჭირდებათ საზოგადოებასთან ურთიერთობა, თუნდაც ამ ფორმით. მისასალმებელია, თუ კიდევ ჩართავენ მსგავს ღონისძიებებში ჩვენს ბავშვებს. დიდი მადლობა "თელიან ველს," - აღნიშნა "აისის" აღსაზრდელის მშობელმა ინგა სარჯველაძემ.

პედაგოგი ლაშა როსტაბაია: "ბავშვებთან მუშაობა რთული სულაც არ იყო, უკვე მეორე სპექტაკლი დავდგით მათი მონაწილეობით. თვითონ ბავშვებში საოცარი განწყობაა, ათვისებაც არ გასჭირვებიათ. ვფიქრობ, უფრო ჩვენშია პრობლემა, სწორად უნდა ავუხსნათ, რომ სწორად გაიგონ. სპექტაკლის შესახებ სექტემბერში გავიგეთ, ამ დროისათვის ქალაქში მხოლოდ ეს ბავშვები იყვნენ და ასე მოხდა მათი შერჩევა."

"ამ ბავშვებს ვიცნობთ, რადგან მათთვის საქველმოქმედო ღონისძიებები ჩაგვიტარებია. სპექტაკლი ძალიან მომეწონა. მათ ბედნიერ სახეებს რომ ვხედავ, ძალიან მიხარია. მოხარული ვარ, რომ "თელიანი ველის" ღვინის ფესტივალში ეს ბავშვებიც ჩაებნენ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა "ჯეოსელსაც", რომელმაც სპეციალური ნომერი გამოჰყო ამ ბავშვების დასახმარებლად. "თელიანი ველის" ღვინის ფესტივალი არა მარტო მეღვინეებისთვის, არამედ ყველასთვისაა," - განაცხადა "თელიანი ველის" დირექტორის მოადგილემ გიო ხუციშვილმა.

ყველას, ვისაც სურს, მხარდაჭერა გამოუცხადოს უნარშეზღუდულ ბავშვებს, "ჯეოსელი" საშუალებას აძლევს, საქველმოქმედო ზარი განახორციელოს "ჯეოსელის" ნომერზე 7005; ზარის ღირებულება 1 ლარია. შემოსული თანხით უნარშეზღუდულთა მშობელთა კავშირი "ნადი" გეგმავს თბილისის გარეუბანში შენობის ყიდვას, სადაც უახლოეს მომავალში უნარშეზღუდული ადამიანები დასაქმდებიან.

## თბილისის გარეუბანში ცათამბჯენები აშენდება

მშენებლობის ბუმი, რომელიც თბილისში რამდენიმე წლის წინათ დაიწყო, სერიოზულ მასშტაბებს იძენს. 7-8 წლის წინათ, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ დედაქალაქში არათუ ცათამბჯენები, არამედ ელემენტალურად, ნორმალური ბინები თუ აშენდებოდა. სამაგიეროდ, ცოტა ხნის შემდეგ, ცათამბჯენები და სხვა გრანდიოზული მშენებლობები არავის გაუკვირდება არა მხოლოდ თბილისის ცენტრში, არამედ გარეუბნებშიც. ამ მხრივ პიონერი ის ორი ცათამბჯენი იქნება, რომელთა აშენებას კომპანია "ცენტრ-პოინტი" დიდუბის რაიონში, ხოშარაულზე აპირებს. სხვათა შორის, ამ პროექტს ორი საკმაოდ ახალგაზრდა მენეჯერი - ნოდარ ადეიშვილი და ლევან გურგენიძე ხელმძღვანელობენ. როგორც **ლევან გურგენიძე** აცხადებს, თბილისში მშენებლობის ბუმი კიდევ ერთხელ ადასტურებს სამშენებლო ბიზნესის რენტაბელურობას.

- საქართველოში ბიზნესი ვითარდება. რაც შეეხება სამშენებლო ბიზნესს - ქალაქის ყველა უბანში აქტიური მშენებლობა და ფასების ზრდის ტენდენცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სამშენებლო ბიზნესი რენტაბელურია. სხვათა შორის, ამ საქმეში ბიზნესის სხვა სფეროს წარმომადგენლებიც აქტიურად ჩაერთვნენ.

**- ხოშარაულზე ცათამბჯენების აგება როდის დაიწყება?**

- დაახლოებით ერთ თვეში. პროექტის მოცულობიდან გამომდინარე, მშენებლობა ეტაპობრივად განხორციელდება. მოსახლეთა პირველ ნაკადს ცათამჯენები 2008 წელს მიიღებს. საბოლოოდ მშენებლობა 2009 წელს დასრულდება.

**- თუ არ ვცდები, აღნიშნული ცათამბჯენები თბილისში პირველი იქნება?**

- მათი საცხოვრებელი დანიშნულებიდან გამომდინარე, ეს მართლაც ასე იქნება. სხვათა შორის, ჩვენმა კომპანიამ საკმაოდ დიდი ხნის წინ დაისახა სტრატეგია, რომ აქცენტი გაეკეთებინა ნაკლებად პრესტიჟული ტერიტორიების ანუ გარეუბნების განაშენიანებაზე და დაეკმაყოფილებინა იმ მომხმარებლის მოთხოვნილება, რომელთაც ბინების ცენტრალურ უბნებში შეძენის საშუალება არ აქვთ. ამიტომაც, დავიწყეთ ისეთი უბნების განაშენიანება, როგორიცაა ნაძალადევი, გლდანი, დიდი დიღომი და ა. შ. ამ სტრატეგიის ნაწილია დიდუბის რაიონიც. ჩვენი პროექტის მიხედვით, "ელიავას" ბაზრობაც, ბოლოს და ბოლოს, უნდა გახდეს ცივილიზებული სავაჭრო ცენტრი. ამიტომაც, ჩვენ სახელმწიფოსგან პრივატიზაციის გზით 7 ჰექტარი მიწა შევიძინეთ. ამ ტერიტორიაზე იქნება როგორც საოფისე და კომერციული ფართები, ისე საცხოვრებელი ბინებიც.

**- ეს თქვენი პირველი პროექტია "ცენტრ-პოინტში"?**

- ამ მასშტაბის პროექტი თვითონ "ცენტრ-პოინტისთვისაც" პირველია.

**- სამშენებლო კომპანიები გარეუბნებშიც აქტიურად მუშაობენ, მაგრამ, ალბათ, გარკვეული ელიტარული უბნები მაინც გამოიკვეთება.**

- სხვათა შორის, უკვე აქტიურ ფაზაშია ჩვენი პროექტი, რომელიც ბაგებში სამსართულიანი სახლების განაშენიანებას ითვალისწინებს და ეს, ასე ვთქვათ, ელიტარული დასახლება იქნება. ბაგები მწვანეშია ჩაფლული და ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა სწორედ ის არის, რომ მწვანე ზოლი არ დამახინჯდეს. **მედიანიუსი**

## საქართველო რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს იწყებს

"გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" დღეიდან რუსეთის ფედერაციიდან ელექტროენერგიის იმპორტს იწყებს. როგორც "ინტერპრესნიუსს" ენერგოკომპანიაში განუცხადეს, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზით "კავკასიონით" საქართველო დღეღამეში 480 000 კვტ\სთ ელექტროენერგიას მიიღებს, რაც დაახლოებით 20 მეგავატს შეადგენს. ელექტროენერგიის იმპორტი 15 ოქტომბრამდე განხორციელდება. ენერგოკომპანიაში აცხადებენ, რომ იმპორტთან დაკავშირებით შეთანხმება ყოველგვარი დაძაბულობისა და შეფერხების გარეშე იქნა მიღწეული. ელექტროენერგიის იმპორტის დაწყების მიზეზი, ძირითადად, ენერგოსისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფას უკავშირდება. ამ დროისთვის სისტემაში ენერგორესურსის დეფიციტი თითქმის არ არის, თუმცა მისი გამართულად ფუნქციონირებისთვის ტექნიკურად საჭიროა იმპორტის განხორციელება. **ინტერპრესნიუსი**